

საქართველო

საქართველო




საქართველოს მხარეთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЫЛИ САКАРТВЕЛО

9 აპრილი, 2013 წ. №56 (3666) ბამოცემის 77-ე წელი ვასი 1 ლარი

არა, მაყვალაუ! თამაზ ნივნივაძე

ანუ მაყვალა გონაუვილი როგორც ისეთი!



ამიტომ, გულწრფელად მინდა ვკითხო ჯანსუღ ჩარკვიანს: რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის ქვეყანაში მაყვალა გონაუვილი, ვაჟა ოთარაშვილი და დავით ტაკიძე რომ იქნებიან საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, ის მწერალთა კავშირი იმ დღესვე არ უნდა დაიქცეს?!
აი, ჯანსუღ! სწორედ ამიტომ დაეარსეთ მწერალთა კავშირის ფუძეზე ქართველი მწერლების აკადემია და გვინდა, მწერალს მწერლის სახელი დაუბრუნდეს!

თქვენ კი რა ჰქენით? მთელი ამ წლების განმავლობაში მშობელ ერთან კი არ თანამშრომლობდით, არამედ „მშობელი ერის“ რძალთან, ქალბატონ რულოვსთან, რომელიც ქართველ მწერალთა სახელში საპატიო წევრად მოიწვიეთ!..
და კიდევ, მაყვალაუ! მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა მწერალთა ბოლო ყრილობამ – ალბათ, ყველაზე სასაცილო ყრილობამ, რაც კი ოდესმე ჩატარებულა! – სამი წლის ვადით არ აგირჩიათ?!
თქვენ კი ვინ ხართ, ხალხო, ასეთი, ამ საქმეში თვით სააკაშვილსაც რომ გადააჭარბეთ და, თუ მან ერთი წელი დაამატა თავის საპრეზიდენტო ვადას, თქვენ პირდაპირ ორი წელი მიიმეტეთ?!

„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად ჯერ მწერალთა კავშირის პრეზიდენტმა დამამტკიცა და მერე რედაქციის თანამშრომლებმა ამავე პოსტზე ერთსულოვნად ამირჩიეს!..
კარიერის თვალსაზრისით, ჩემი შემდეგი „გაჩერება“ იყო მწერალთა კავშირი!

თავდაპირველად სამი მდივანი – ელგუჯა მალრადე, რეზო ჭეიშვილი, დავით მჭედლური მომადგნენ „ლიტერატურულ საქართველოში“ და სრული მხარდაჭერა აღმოთქვეს, თუკი თავმჯდომარეობაზე ვიყრიდი კენჭს!

ამათ შემდეგ მწერალთა კავშირის პრეზიდენტმა ოფიციალურად „მომთხოვა“, მონაწილეობა მიმელო არჩევნებში!..

აი, ძვირფასო მკითხველო, და თქვენს გასაგონადაც ვამბობ ამას, ქალბატონო მაყვალაუ, როგორც ზემოთ ვთქვი, დიდი მიპატივების გარეშე მე ჯერ არც ერთ თანამდებობაზე არ მივსულვარ!..

მაგრამ მისვლა – არაფერი! თქვენ ის უნდა გენახათ, თუ რომელიმე სამსახურიდან წამოსვლას გადაწყვეტილი – გეგონებოდათ, ქვეყნის დაქვევა თუ იწყებოდა!

ბატონ **ჭაბუა ამირეჯიბს** მწერლებისთვის არ დაუმაღლავს:

„თამაზ ნივნივაძის ვადამდე გადადგომა, რბილად რომ ვთქვათ, ლალატი იქნებოდა, რადგან მის ამგვარ საქციელს მოჰყვებოდა ის, რომ ქართველ მწერალთა კავშირი საქართველოს დაუძინებელი მტრების ხელში ჩავარდებოდა, რასაც ქართული მწერლობის კასტრაცია – პირადად ჩემი და სხვა მწერლების კავშირიდან გასვლა მოჰყვება“.

ისე აგიხდეს ყველაფერი კარგი, მკითხველო, როგორც დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ეს სიტყვები ახდა! – ის არ ვიცი, რამდენმა მამაკაცმა მწერალმა დაიკოდა თავი, თორემ ის კი ვიცი, ჩემი გადადგომის შემდეგ რამდენიმე ათეულმა წევრმა მყისიერად რომ დატოვა მწერალთა კავშირი!..

კიდევ უფრო კატეგორიული **მურმან ლებანიძე** ბრძანდებოდა!

„თამაზ-ბატონო! ვერსად ვერ წახვალთ! არჩევანი ახლა ჩვენზეა და არა თქვენზე! – ეს გითხრათ ჭაბუა ამირეჯიბმა და მეც ამავეს გეუბნებით!.. ერთი სიტყვით, არ გიშვებთ! თქვენი წასვლა იმას განაპირობებს, რომ მწერალთა კავშირი მოხალისე, ტახტის მაძიებელ „მწერალთა“ ჯგუფს ჩაუვარდება ხელში. ცოტანი როდი არიან ისინი...“

მაყვალაუ! როგორ გგონიათ, დიდი მურმანი „მოხალისე მწერალთა ჯგუფში“ პირადად თქვენ, რეზო მიშველაძეს, ბალათერ არაბულს, ვაჟა ოთარაშვილსა და დავით ტაკიძეს ხომ არ გგულისხმობდათ?

►► გაგრძელება მე-2 გვ.

ძვირფასო მკითხველო!
მართლაც უცნაურ დღეში აღმოჩნდა დღეს ქალბატონი მაყვალა გონაუვილი!
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი ილხან ალიევი „პერსონა ნონ-გრატად“ აცხადებს და აზერბაიჯანის ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებში არ უშვებს!
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „პერსონა ნონ-გრატად“ აცხადებს და თავის „სამუშაო უბანზე“ – მწერალთა კავშირის შენობაში არ უშვებს!..
მაგრამ ისევ ჯანსუღ ჩარკვიანს უშველის მაღალი ღმერთი! ეს მშვენიერი ქალბატონი თავიდანვე იმ პანაწინა ყვავილად მოჩვენებია, იმერეთში „საპოვნელას“ რომ ეძახიან, და მთელი ამ ხნის განმავლობაში გულამოსკენილი უგალობდა:
მეც სათუთად მივიბნიე იგი მკერდზე, ჩემს გულშიაც მივუჩინე მყუდრო ბინა. ვენაცვალე! სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა. და დღეს ჯანსუღ ჩარკვიანის ეს „საუნჯე“ – რეზო მიშველაძესთან, ვაჟა ოთარაშვილთან, ბალათერ არაბულთან და დავით ტაკიძესთან ერთად, – საქართველოს მწერალთა კავშირის უდგას სათავეში!
მართალია, შიგნით არავინ უშვებს, მაგრამ გარედან ხომ მართავენ?!

ძვირფასო მკითხველო!
განვაგრძოთ საუბარი „გონაუვილის თემაზე“!
მე ჩემს მშობლიურ, იმერულ კილოზე ამ ქალბატონს ვერაფერი შევასმინე. ამიტომ ახლა, ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟივით, მოხევეურად მოვუქცევე და იქნებ მაშინ მაინც გაიგოს, რასაც ვეუბნები!
არა, მაყვალაუ! თანამდებობის გულისთვის მე ფეხებში არავის ვებლანდები!
ამას წინათაც ასე იყო! ქართველი მწერლების ერთმა დიდმა ჯგუფმა მთხოვა, მწერალთა იმ ეროვნულ აკადემიას ჩავდგომოდი სათავეში, რომელიც სულ ახლახან დააფუძნეს!..
ესეც ჩემს უნებურად მოხდა და არც ამ შემთხვევაში „არ მიდევს ბრალი!..“
თქვენ კი, ქალბატონო, სადაც დამინახავთ, ხელს ჩემკენ იშვერთ და ხალხს ეუბნებით: „აკადემიის შექმნის ერთადერთი მიზანი ბატონი თამაზის არა აკადემიის, არამედ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედაც დაბრუნების მცდელობაა“-ო!
ისევ მოხევეურ კილოზე ვაცხადებ: არა, მაყვალაუ! ჩემი ერთადერთი მიზანი ის კი არ არის, თავმჯდომარედ რომ დავბრუნდე, არამედ ის, რომ საქართველოში, ამ მწერლების ქვეყანაში, მწერალს ღირსება დაუბრუნდეს, მის სიტყვას ფასი დაედოს და კიდევ: „რომ ერისა მოძმედ იყოს ჭმუნვასა და სიხარულში!..“

ძვირფასო მკითხველო!
მიხვდებოდით, ალბათ, მე ჩემი წერილის შესავალ ნაწილში „მაყვალაუ“ თემა შეგნებულად შემოვიტანე, თქვენთვის მხიარული განწყობა რომ შემექმნა, თორემ, მე რომ ახლა მეცინება, თქვენმა მტერმა იცინა ისე!
დანა პირს არ მიხსნის – ისეთი რამ დამწამეს, რასაც მთელი ჩემი ცხოვრება ვებრძოდი!..
არადა, არა ვარ მე ის კაცი, თანამდებობის გულისთვის ვინმეს ფეხებში ვებლანდებოდე!
მუდამ პირიქით ხდებოდა – დიდი მიპატივების გარეშე არც ერთ თანამდებობაზე ჯერ არ მივსულვარ!..
ჩამოვთვლი რამდენიმეს! –
კარიერის დასაწყისში თითქმის ძალად წამიყვანა გურამ ფანჯიკიძემ თავის მოადგილედ თუ პასუხისმგებელ მდივნად ქუთაისში გამომავალ აღმანახ „განთიადში“!
ქუთაისში რა გინდა, ახლა არ ჩამოხვედი იქიდანო? – მითხრა ჯანსუღ ჩარკვიანმა და „ცისკრის“ ბაზაზე ახლად დაარსებულ ახალგაზრდულ „ნობათში“ დამინიშნა რედაქტორად!..
მალე „საუნჯის“ რედაქტორად დაინიშნა მუხრან მაჭავარიანი და, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, თავისი ფეხით მომაკითხა და ამ აღმანახის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თანამდებობაზე განმანესა!..

პირველი გვირგვინი

ამათ კიდევ, ჭაბუა ამირეჯიბი და მურმან ლებანიძე, „ნამუსზე შესაგდებად“ ღვთაებრივი ანა კალანდაძე მომიგზავნეს! –

„ქართველ მწერალთა მიერ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ თამაზ ნივნივაძეს არა აქვს მორალური უფლება, გადადგეს თანამდებობიდან“ –

მაყვალაუ! არ ვიცი, გოგო, ვის გულისხმობს ჭაბუა ამირეჯიბი, როცა მე მაფრთხილებს – შენი წასვლით ქართველ მწერალთა კავშირი საქართველოს დაუძინებელი მტრების ხელში ჩავარდება!

ან ბატონი მურმან ლებანიძე ვის გულისხმობს აქ, როცა მე მაფრთხილებს – შენი წასვლის შემდეგ მწერალთა კავშირი მოხალისე, ტახტის მაძიებელ „მწერალთა ჯგუფის“ ხელში აღმოჩნდება!.. ნეტა, მართლა არ წავსულიყავი! – ან მე არ ვიქნებოდი ახლა ცოცხალი, ან საქართველოს მწერალთა კავშირი იქნებოდა დღეს ეროვნული და ავტორიტეტული ორგანიზაცია!..

ძვირფასო მკითხველო!

იქნებ შეძლოთ და დამიჯეროთ, იმ უხერხულობის შეგრძნებას, საკუთარი ნამოღვანარის სხვათაგან შექებას რომ ახლავს თან, მე ვერ გავანტიტრალებდი, მაგრამ თუ ამ ფრაზების გადმონერას არ მოვერიდე, მხოლოდ იმიტომ, თქვენთვის რომ მეჩვენებინა – სხვების დასაცინი მიყავო!

ეს ჩვენი თავმჯდომარე კი ამკარად „მაღადავებს!“

„რა კარგი და იოლი რამ არის ეს არჩევნები... მეც მოვიწვევ რამდენიმე გულშემმატიკვარს და გავხდები ინგლისის დედოფალი!“

მაყვალაუ! სწორედ ამაზე იყო, რომ გითხარი: ჯერ სოფელ თობლიაურის დედოფალი მაინც უნდა იყო, ინგლისის დედოფალი რომ გახდეს – მეთქი!

არადა, მე რომ პატრონად არ გამოგჩენოდი და ჩემი მოადგილის, გურამ ბენაშვილის მიერ ქუჩაში გაგადებული უკან არ დამებრუნებინე და რიგით მდივნად არ დამენიშნე, რა ინგლისის დედოფალიც გახდებოდი, მაგასაც ვნახავდი!..

დანარჩენი შენი კარიერა კი რეზო ჭეიშვილის სისულელეს უნდა მიენეროს – ის ნამდვილად „ქართულად“ მოიქცა: კაცი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე იყრინა კენჭს და ქუთაისიდან ჩამოსულ კოლეგებს „თითო ჭიქა“ ღვინის დასალევიად გაჰყვა!..

ამასობაში კი შენ და შენმა „მეგობრებმა“ ამ მართლაც ბრწყინვალე მწერალსა და მეტისმეტად გულუბრყვილო კაცს თავმჯდომარეობა მოპარეთ!..

მეტს ნურაფერს მათქმევინებ, მაყვალაუ! შენს მაშინდელ საქციელს მწერალთა კავშირი დღესაც დასცინის!

ანდა ჩემთან რა ხელი გაქვთ – მე ერთხელ ვთქვი, თავმჯდომარეობაზე კენჭს არ ვიყრინ-მეთქი და კინაღამ ქვეყანა დაიქცა!

აი, მაყვალაუ, მოგუსმინოთ ჩვენი დროის დიდ ქართველ მწერლებს!

„ოტარიდმა“ თავის დროზე, საქართველოში შექმნილი საერთო კრიტიკული მდგომარეობის გამო, მიიჩნია, რომ თამაზ ნივნივაძე ყველაზე მეტად გაამართლებდა მის ნდობას. ჩვენ ახლაც გვჯერა, რომ ბატონი თამაზი ვალდებულია არა მარტო „ოტარიდის“ ან მწერალთა კავშირის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების წინაშე, ბოლომდე მიიყვანოს ახალი ქართული სახელმწიფოს შესაფერი შემოქმედებითი ორგანიზაციის სტრუქტურის შექმნის საქმე, მიუხედავად დიდი სირთულეებისა და გარკვეული დაპირისპირებისა როგორც ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის, ასევე მედროვე პოლიტიკოსთა თუ ყვითელი

პრესის „მუშაკთა“ მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ოტარიდი“ მომავალი ყრილობის მუშაობაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს“.

ჭაბუა ამირეჯიბი გივი გეგუჭკორი გურამ დორჩანაშვილი ანა კალანდაძე ემზარ კვიციანიძე მურმან ლებანიძე ლია სტურუა დავით წერეთლიანი ტარიელ ჭანტურია ვახტანგ ჭელიძე თამაზ ჭილაძე ოთარ ჭილაძე ბესიკ ხარანაული ვახტანგ ჯავახიძე

მაყვალაუ! ჩემი ბედისა მე თვითონ ვერაფერი გამოვიკა – რაც უფო დიდი მწერლებია საქართველოში, მით მეტი პატივით მექცევიან!..

„ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ ლიტერატურული გაერთიანება „ოტარიდის“ წევრები – თანამედროვეობის გამოჩენილი მწერლები.“

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია მთლიანად და სავსებით იზიარებს მათ შეხედულებას და აცხადებს, თუკი ბატონი ნივნივაძე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე უარს იტყვის და კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, აჭარის მწერალთა ორგანიზაცია ყრილობაზე არ გამოცხადდება“.

აჭარის მწერალთა ორგანიზაციის დავალებით და მათივე სახელით, ჯემალ ჯავაყელი.

„ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილი მწერლები მხარს ვუჭერთ ბატონ თამაზ ნივნივაძის კანდიდატურას საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე და უფლებამოსილი ვართ, განვაცხადოთ:“

თუკი ბატონი თამაზი კენჭს არ იყრის თავმჯდომარის თანამდებობაზე, აფხაზეთის სამწერლო ორგანიზაცია მონაწილეობას არ მიიღებს ყრილობის მუშაობაში“.

აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციის სახელით, გენო კალანია.

მაყვალაუ! აჭარისა და აფხაზეთის იმედი მე ყოველთვის მქონდა! ახლა მაინტერესებს, ქუთაისი რას იტყვის – ჩემი ქუთაისი!

„ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის, იმერეთის რეგიონში მცხოვრები ყველა მწერლის სახელითა და დავალებით გვინდა დავარწმუნოთ ბატონი თამაზი, რომ ჯანსაღად მოაზროვნე ერის უპირველესი წარმომადგენლები მას უჭერენ მხარს.“

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი თამაზ ნივნივაძე კენჭს არ იყრის თავმჯდომარის პოსტზე, იმერეთის მწერალთა რეგიონული ორგანიზაცია მომავალი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებს“.

იმერეთის მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის დავალებით, თეიმურაზ ლანჩავა.

ყოჩაღ, ქუთათურებო! რაც მე თქვენთვის მიმღერია: „ქუთაისო, ქუთაისო, შენთან არის გული ჩემი“, – ეტყობა, ამანაც გაჭრა!

„რუსთავისა და ქვემო ქართლის მწერალთა ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს, განაცხადოს შემდეგი: ბატონი თამაზ ნივნივაძის უარი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობაზე – ეს ნიშნავს იმ ძალების გამარჯვებას, ვინც ებრძვის არა მარტო პირადად მას, არამედ, საერთოდ, მწერლის სახელს, მთელ ქართულ კულტურას და ყველაფერს ქართულს...“

ამიტომაც, თუ ბატონი თამაზი მოხსნის თავის კანდიდატურას, ჩვენ, რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის წევრები ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას არ მივიღებთ.

რუსთავისა და ქვემო ქართლის რეგიონული ორგანიზაცია.

„ჩვენი აზრია, ბატონმა თამაზ ნივნივაძემ კვლავ ძველებური შემართებით გააგრძელოს მოღვაწეობა, რადგან დღევანდელ მუშაობაში მხოლოდ ის გვესახება მწერალთა წინამძღოლად და გადამრჩენად. თუ იგი კენჭს არ იყრის თავმჯდომარის თანამდებობაზე, ცხინვალის რეგიონის სამწერლო ორგანიზაცია მონაწილეობას არ მიიღებს ყრილობის მუშაობაში“.

ცხინვალის მწერალთა რეგიონული ორგანიზაცია.

„დღევანდელ მძიმე ცხოვრების პირობებში თამაზ ნივნივაძემ იმედი ჩაუსახა კოლეგებს, რომ არსებობს დედაქალაქში სახლი მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც ფიქრობენ მათზე...“

ამ ზრუნვის დაუნახაობა გაუგონარი უმადურობა იქნებოდა ჩვენგან და, თუ თქვენ, ბატონო თამაზ, ოქტომბერში დავგემოლ მწერალთა ყრილობაზე კენჭს არ იყრით თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად, ჩვენი განყოფილება კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს“.

შიდა ქართლის მწერალთა რეგიონული ორგანიზაცია.

ძვირფასო მკითხველო!

აღბათ, მატყობდით, ხანდახან მეცინებოდა კიდევ, ჩემდამი მოძღვნილი ამდენი ქება-დიდების სიტყვებს ქალბატონ მაყვალას რომ ვასმენინებდი, მაგრამ რა მექნა? „არ მაიშალა მაყვალამ მაყვალივით თვალების ბრიალი“ და, სადაც კი წამასწრებდა, ყველგან დამცინოდა:

„რა კარგი და იოლი რამ არის ეს არჩევნები... მეც მოვიწვევ რამდენიმე გულშემმატიკვარს და გავხდები ინგლისის დედოფალი!“

კარგი ხარ, მაყვალაუ! როგორც ჩანს, ყარაბახშიც ხშირ-ხშირად იმიტომ დაბრძანდებოდა, მანდაური დედოფალიც გინდოდათ გამხდარიყავით!

არადა, იმაზეც უნდა გეფიქრაო, როგორც ორ-ქვეყანაგამოცვლილი დედოფალი – ინგლისისა და ყარაბახისა, – ბეკინა სამანიშვილის კონტროლის არეალშიც მოხედებოდი!

ჰოდა, ვიდრე მთლად არ ჩამოგეკინებულხარ, ანუ არ ჩამოსამანიშვილებულხარ და ზედა სიმონეთში ჯერ კიდევ არ დაგიწეა ფეხით სიარული, მინდა ხმამალა შემოგძახო:

არა, მაყვალაუ, ანუ დედოფალი ინგლისისაო! არ ვყოფილვარ, გოგო, მთლად შენი დასაცინი – სამწერლო ორგანიზაციებში, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, რაღაც ავტორიტეტი მეც კი მქონია! ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მწერალთა არც ერთი ორგანიზაცია მომავალი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებდა, თუ მე მათ თავმჯდომარეობაზე კენჭს არ ვიყრდი!

მით უმეტეს, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, მე რომ თავმჯდომარეობიდან ჩემი ნებით გადავდექი და შენ რომ ეს პოსტი „ჭიქა ღვინოზე“ დასალევიად ნასულ რეზო ჭეიშვილს მოპარე, იმდენმა მწერალმა გამომტირა კავშირიდან, რომ მათი საცოდაობით გული დღესაც მენვის!..

პირველი კოზა იმედაშვილი იყო, ვინც მწერალთა კავშირის გაყინული ოთახები დატოვა და თბილი ქვეყნებისკენ გაფრინდა!

სხვა მემამოხეთა გვარებს და განცხადებებს კი ქვემოთ გაგაცნობთ!

ძვირფასო მკითხველო!

სიების სიდიდის მიუხედავად, ეს განცხადებები აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – ჯერ ერთი, ეს ისტორიაა და კიდევ, აქ კარგად ჩანს თითოეული განცხადებელი მწერლის საიმდროო განწყობილება!

ამის გარდა, ქალბატონი თავმჯდომარის ტყუილიც კარგად გამოჩნდება – 2014 წელს არჩევნებში კენჭისყრას არ ვაპირებ, თორემ, თუ ვიყარე... გავიმარჯვებო!

მაყვალაუ! ისე დაურჩი შენ დედამენს, როგორც ამას მართალს ამბობ – გოგო, აგერ ახლა არ იყო, მწერალთა დარბაზში შეკრებილმა მწერალთა კავშირის სამასმა წევრმა სამივე მდივანი ერთსულევად რომ წაგშალათ?! ეს – სერიოზულად, ახლა ხუმრობითაც გეტყვი!

– ეს რომ მოხდეს, მე ან ახალი მოკლული უნდა მყავდეს ვინმე და ციხეში ვიჯდე, ან კიდევ მე თვითონ უნდა ვიყო მკვდარი და კვახტარის სასაფლაოზე მაჩემის გვერდით ვინვე!..

არა, მაყვალაუ! ეს არ გამოვა – ჩემი კეთილი რჩევაა, ახლა მთელმა სამდივნომ ერთობლივად მოხიოთ მწერალთა კავშირიდან!..

მე კიდევ ძვირფას მკითხველს ამასობაში იმ განცხადებების ტექსტს გავაცნობ, ამა თუ იმ მწერალმა პროტესტის ნიშნად რომ დაწერა კავშირიდან გასვლის წინ!..

თამაზ ნივნივაძე

ბატონებო! ის, რაც მე თქვენი ნებსების ერთ-ერთ პუნქტში წავიკითხე, ფელიქს ძერყინისკის დანერვილი მგონია! ამიტომ გითხოვთ, ჩამთვალათ მწერალთა კავშირიდან გასულად.

რევაზ თვარაძე

თამაზ ჩხენკელი ორმოც წელიწადზე მეტია, მწერალთა კავშირის წევრები ვართ, მაგრამ იმგვარი ყოვლად აბსურდული ვითარება, დღესდღეობით ამ კავშირში რომ შეიქმნა, არ გვახსენდება... ამან გადაგვანწყვეტინა უარი ვთქვათ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობაზე.

რეზო ამაშუკელი

მწერალთა კავშირში ამჟამად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვერ მივცემ, ვიყო ამ ორგანიზაციის წევრი.

სხვა ღირსეული მწერლების მსგავსად, მეც ვტოვებ მწერალთა კავშირის რიგებს.

ლია სტურუა

ტარიელ ჭანტურია გივი ალხაზიშვილი გავდივართ ე.წ. საქართველოს მწერალთა კავშირის შემადგენლობიდან, ვფიქრობთ, კომენტარი არ არის საჭირო, ისედაც ყველაფერი ნათელია.

გურამ გვერდნითელი

„თქვენს კავშირში“ არაფერი მესაქმება, ამიტომ ვუერთდები იმათ გრძელრიგს, ვინც დატოვა და ტოვებს კავშირს. პატივისცემას ვერ გითვლით...“

მურმან ჯგუბური

ვინაიდან აწინდელი მწერალთა კავშირი ვარდასისა იმ ორგანიზაციად, რომელსაც ვერ ძალუქს შეინარჩუნოს ჩვეული ღირსება, ჩემი შემდგომი იქ ყოფნა უაზრობად მიმაჩნია.

ჯანსუღ ჩარკვიანი
 მაშ, რამ ამაღლდება? რამ და „ქრონიკა-ში“ დაბეჭდილმა ინტერვიუმ ვაჟა ოთარაშვილთან. ამ გზით არ გირჩევთ ბრძოლას არც მწერალთა კავშირის ყოფილ თავმჯდომარესთან, და არც არავისთან. მწერლის საქმე მწერლობაა. ამ ავრესიულმა ინტერვიუმ გზა გადამიკეტა მწერალთა კავშირისაკენ.

ვახტანგ ხარჩილავა
 მწერალთა კავშირში გენეროკურატურის შემოსვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. ასეთი რამ ოცდაჩვიდმეტიანი წლების მერე მწერალთა კავშირში არ მომხდარა...

ამის ჩამდენ მწერალთა კავშირში კი ნამდვილად არ გავჩერდები.

დავით მჭედლო
 ... ველარ დავრჩები იმ კავშირის ნევრად, რომელსაც ჩემგან შემოქმედებით ორგანიზაციასთან აღარაფერი აქვს საერთო და რომელიც უკვე დატოვებს (ან უახლოეს მომავალში დატოვებენ) საუკეთესო ქართველთა მწერლებმა.

ჯემალ დავლიანი
 ამჟამინდელი მწერალთა კავშირის ნევრობა სამარცხვინოდ მიმაჩნია. ჩემთვის სამარცხვინოა იმ მწერალთა კავშირის ნევრობა, რომლის ყრილობას ბოლომდეც კი არ დავსწრებივარ.

თემურ აბულაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
ანდრო ბედუკაძე
უნა შერაზადიშვილი
 თავს ვალდებულად ვთვლით, უარი ვთქვით საქართველოს მწერალთა კავშირის ნევრობაზე.

ალექო გაბელაია
 ვინაიდან მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობა ჩატარდა მთელი რიგი დარღვევებითა და წინასწარ დადგმული სცენარით, სინდისისა და მორალის წინაშე მოვალე ვარ გავიდე აღნიშნული კავშირიდან.

მიხო მოსულიშვილი
 ორგანიზაციაში, რომელსაც თუნდაც რომელიმე იუმორისტულ შოუში მოიხსენიებენ „მკვდარი პოეტების საზოგადოებად“, არ არის იმ ადამიანთა ადგილი, რომელთაც თავიანთ ერთადერთ პროფესიად სიტყვის მსახურება აურჩევიათ. ამის გამო, მრავალი ჩემი კოლეგის მსგავსად, დავტოვე მწერალთა კავშირის ნევრობა რიგები.

ვაჟა ყუბუსიძე
 ... მოვითხოვ, შეურაცხყოფა არ მომაცნოთ და დღეიდან ამ „ახლად აგებული სადამსჯელო ლაბორატორიის“ ნევრად არ მომიხსენიოთ.

გურამ სხირტლაძე
 მთელი ჩემი ცხოვრება იმ ჟანდარმულ-რეაქციულ რეჟიმს ვებრძოდი, რომლის აღდგენაც ახლა თავიდან მოგისურვებიათ, ბატონებო!
 მწერალთა კავშირში ასე არ გამოვალ!
 თუმცა, მე გამოვალ... დანარჩენი კი თქვენ იცით...

ლევან ბაბუხაძე
 ამერიიდან ყველამ ჩამთვალოს ამჟამინდელი მწერალთა კავშირიდან გასულთა რიგებში.

P.S. ქალბატონო მაყვალა, მართლაც რა ბრძენი კაცი ყოფილა ჭაბუა ამირეჯიბი, რა ზუსტად განუსაზღვრავს – თამაზ ნივნივანის წასვლას მოჰყვება ის, რომ ქართველ მწერალთა კავშირს საქართველოს დაუძინებელი მტრების ხელში აღმოჩნდება, რასაც ქართული მწერლობის კასტრაცია მოჰყვებაო!
 და... მოჰყვება კიდევ!
 მურმან ლებანიძესაც რა სწორად გაუთვლია! – თამაზ ნივნივანის წასვლა

ნაზი თარგამაძე
 გავდივარ საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებიდან, საბედნიეროდ, ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, არსებობს ყურნალ „დილის“ რედაქციაში მყუდრო „ოაზისი“.

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია
 ... ჩემს სანუკვარ მწერალთა კავშირიდან დიდად გულდანყვეტილი გავდივარ. ეს სულ სხვა რამ არის, ამიტომ ღიმილს ველარ ვახერხებ.

ქეთევან ჭილაშვილი
 დღეს ვტოვებ მწერალთა კავშირს და ჩემი დარჩენილი დრო მინდა ვითანამშრომლო ყურნალ „დილასთან“ შექმნილ მწერალთა გაერთიანებაში...

ტარიელ ხავთასი
 მწერალთა შორის ბოლო დროს ლანძღვა-გინება გახშირდა, უცებ ეს წმინდა კავშირი იქცა ჩამშვებთა კავშირად.

უკეთუბების მორევში, შეხედეთ, რა შორს გასცურებს, ოცდაჩვიდმეტის თოფები, ალბათ, კვლავ გაიტკაცუნებს...

მურად ჭანტურია
 ჩემი ამ განცხადებით ჩემს ფაქტობრივ მდგომარეობას ოფიციალურად ვაფიქსირებ: გავდივარ მწერალთა კავშირიდან.

საინფორმაციო ცნობა – ტელეფონით:
 მაშ, ასე: მწერალთა კავშირის რიგები კიდევ ერთმა ნევრმა, ამჯერად **ჯანო ჯანელიძემ** დატოვა.

საინფორმაციო ცნობა – ტელეფონით:
 მაშ ასე: მწერალთა კავშირის რიგები კიდევ ერთმა ნევრმა, ამჯერად **რევაზ სირაძემ** დატოვა.

გურამ კლდიაშვილი
 კარგად ვიცი, არც არავის მოვაკლდები და არც არავის მივემატები..
 რასაც დღეს მწერალთა კავშირიდან ვისმენ და მწერალთა კავშირზე ვგებულობ, ნამდვილად არ მინდა ასეთ კავშირთან მქონდეს კავშირი.

გურამ გეგეშიძე
 მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ჩემთვის შეუძლებლად მიმაჩნია დღევანდელ მწერალთა კავშირის ნევრად ყოფნა...

თამაზ ნივნივანი
 თავმჯდომარის პოსტიდან ჩემი ნებაყოფლობითი გადადგომის შემდეგ ქართული მწერლები ისეთივე ენთუზიაზმით ტოვებენ კავშირის რიგებს, რა ენთუზიაზმითაც მონინალმდევე გუნდის მცველები გამორბიან თავიანთი საჯარო მოედნიდან ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შესაქმნელად!
 ბუნებრივია, მე მწერალთა კავშირის ახლად არჩეულ ხელმძღვანელობას ვუთანაგრძნობ, მაგრამ ასევე ვწუხვარ, რომ ამ ადამიანური გრძნობის გამოხატვის იქით მათი დახმარება არაფრით შემიძლია!

იმას განაპირობებს, რომ მწერალთა კავშირი მოხალისე, ტახტის მაძიებელ „მწერალთა ჯგუფს“ დარჩებაო!
 და... დარჩა კიდევ!..

ძვირფასო მკითხველო! მე აქ ვამთავრებ კავშირის ხელმძღვანელებზე ლაპარაკს, მწერალთა რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც „ამინისტიას“ ვუცხადებ, გაზეთის შემდეგი ნომრიდან კი უფრო სერიოზულ თემებზე გვსაუბრებით!..

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ ნივნივანს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას,

ჭიათურა-საჩხერის მწერალთა გაერთიანება მიესალმება გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას და ქართული მწერლობისთვის ესოდენ საჭირო ჟამს მწერალთა ეროვნული აკადემიის დაფუძნებას.

ბატონო თამაზ!
 ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქართული მწერლობა ყოველგვარი მზრუნველობის გარეშე დარჩა. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითა კავშირმა“ თავი ვერ გაართვა მისთვის დაკისრებულ მისიას, რის გამოც ჩვენ, ქართველი მწერლები, გაურკვეველ სიტუაციაში აღმოვჩნდით. მწერლის მისია – ყოფილიყო ერის წინამძღვარი – დაკნინებულ იქნა.
 ჩვენდა საბედნიეროდ, თქვენი და მწერალთა რჩეული ნაწილის ინიციატივით შეიქმნა ორგანიზაცია, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ღირსეულად წარუძღვება წინ ქართულ მწერლობას. ჩვენი გაერთიანება გამოთქვამს სურვილს, გავერთიანდეთ „საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიაში“. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა მთელ ქართულ მწერლობას ნაადგება.
 პატივისცემით,
 „ჭიათურა-საჩხერის მწერალთა გაერთიანების სახელით:

- დარეჯან ხვედელია**
- ივარი თაბაგარი**
- პატრა ჯაჯანიძე**
- კახა შაყილაძე**
- დოდო აბაშიძე**
- მედა ღულუნიშვილი**
- იზო ცარციძე**
- ოთარ მაჭავარიანი**
- მაია ტყემალაძე**
- ხატია სამხარაძე**
- ამირან ტყემალაძე**
- ლელა აბაშიძე**
- ზურაბ ჭიოქაძე**
- ელისო აბაშიძე**
- სალომე შაყილაძე**
- თეკლა გოცაძე**
- გაბული დეკანოიძე**
- ლავა ფანჩიკი**

გამოგზავნილი შეხიანიება ჭიათურა-საჩხერის მწერალთა გაერთიანებას!

ძვირფასო კოლეგებო!
 საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი სალამს გითვლით და სიყვარულით მოგიკითხავთ!
 მაქვს პატივი, გაერთიანების 18-ვე წევრს გიცნობთ: ზოგს პირადად, ზოგსაც – შემოქმედებით!
 იმის აღნიშვნაც მსიამოვნებს, რომ ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციიდან ამას წინათ აკადემიას შემოუერთდა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი: ცირა შალაშვილი, ნაზი ხელაია, სიმონ არველაძე, ზაალ ებანოიძე, გონერი ჭეიშვილი, ეკა ქაჯაია!
 ასევე ჩვენთან არიან: რეზო ნაჭყეზია, ავთანდილ ყურაშვილი, თემურ ამყოლაძე!
 სამწუხაროდ, ოტია იოსელიანი ახლახან გარდაიცვალა და არავისთან არაა.
 ამდენად, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ქუთაისსა და იმერეთში დარჩა მწერალთა კავშირის ერთადერთი წევრი – თემურაზ ლანჩავა!
 ამ კაცს კიდევ ათასი მადლობა უნდა ვუთხრათ იმისთვის, მარტო იმერეთის ორგანიზაციიდან საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიას 30-მდე წევრი რომ ალუზარდა!

პატივისცემით, თამაზ ნივნივანი
 საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

თამაზ ნივნივანს

გტკივა მამულის სატკივარი, უნდა გტკიოდეს!
 უნდა ებრძოლო ცრუ ქართველებს, ცრუ პატრიოტებს.
 უნდა ებრძოლო ამ დროებას დამბალს, გაზეთილს, უნდა იბრძოლო შენი კალმით შენი გაზეთით.
 ენას გიყოფენ – ჰომინიდი მაიმუნები, გებრძვიან, მაგრამ არცა ტყდები, არც ილუნები.
 არ შეგეშლება როგორც კაცს და როგორც ქრისტიანს: ვინ არის კაცი და ვინ კიდევ აფერისტია.
 ისევ ცხენი გყავს შესაკაზმი, შეკაზმე დროზე.
 შენს გვერდით ვდგავართ, შენი სპა ვართ ჩვენო მედროშე.

ანდრო განთიადელი

საქართველოს მწერალთა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ ნივნივანს

ჩამოკახილი ფავ-ხევისურათიდან

ყველას პრემიას აძლევენ, – მაყვალას უნდა მოვსთხოვო, –
 ზოგს როდის, ზოგსაც როდისა, ის თავის სახელობისა,
 მე კი აღარვის ვახსოვარ, მგონი არ მეტყვის უარსა,
 რა მეშველება ცოდვილსა! ნუთისოფლისგან გმობილსა!

ფავ-ხევისურეთშიც მიულწევია ე. წ. მწერალთა კავშირის მესვეურების მიერ პრემიების მისაკუთრებას. ამას მოწმობს შემოთქმული კაფია, რომელსაც ხატობა-დღესასწაულებზე ბალღები უკვე ზეპირად ამბობენ!

„ყველა დიდი ქართველი მესიქვე ჩემი სულიერი წინაპარია“

მოგესალმებით, ბატონო თამაზ!

უპირველესად გილოცავთ თქვენ და სრულიად საქართველოს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას და კვლავ ერის სამსახურში დაბრუნებას. გაზეთისა, რომელიც ყოველთვის იდგა ჩვენი ქვეყნის სულიერების სადარაჯოზე და მუხლჩაუხრელად ზრუნავდა ქართველობაზე. ვფიქრობ და არა მარტო მე... გაზეთთან ერთად სამშობლოსთვის ზრუნვასა და სამსახურში თქვენი წვლილი განუზომელია.

წერილი, რომელსაც ვამზადებ, მინდა შთამბეჭდავი იყოს, მაგრამ ვიცი, არ გამოივა, ერთი იმიტომ, რომ ისეთი კალმის ოსტატთან, როგორც თქვენ ბრძანდებით, ჩემი მხრიდან ამო მცდელობა იქნებოდა სიტყვით თავის მოწონება და მეორე, ძნელია წერო ქალბატონზე, თვითონ სიტყვის დიდოსტატზე, ქართული პოეზიის დედოფალზე, რომელიც თავიდანვე ჩამოყალიბებულ პოეტად მოეწონა ქართველ მკითხველს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში პოეზიის იქით სხვა ცხოვრება არ გააჩნდა.

ყოველივეს გათვალისწინებით, ყოველგვარი წერტილებისა და ეპითეტების გარეშე, ჩემი, უბრალო მოკვდავის, და ჩემ თანასოფელთა სახელით დიდი იმედით მოგმართავთ თქვენ და არა ვინმე სხვას – დღეს, საუბედუროდ, ძალიან ცოტა მამულიშვილი თუ მეგულება ისე უსახლვროდ შეყვარებული თავის ერსა და მის მწერლობაზე, როგორც თქვენ ბრძანდებით.

„ყველა დიდი ქართველი მესიქვე ჩემი სულიერი წინაპარია“, წერდა ქალბატონი ანა და ამ წინაპართა „უბის წიგნაკის“, მოსიყვარულესა და მოამაგეს... თქვენ, თქვენ მოგმართავთ, ბატონო თამაზ, გვიმედობით და ამიტომაც განუხებთ.

„ჩემი პირველი პოეტური შთაგონება, ჩემი პირველი პოეტური სიტყვა ჩემ მშობლიურ სოფელ ხიდისთავს უკავშირ-

დება, იგი გურიაშია, ჩოხატაურის რაიონში, ამ სოფელში ვარ დაბადებული“ (ანა კალანდაძე). თავს უფლებას ვერ მივცემ, გესაუბროთ ანა კალანდაძეზე.

გურულებს გვაბრალებენ, ტრაბახი გიყვართო... მოდი და ნუ მოიწონებ თავს – ამ მაღლიანი მიწიდან სამი მოღვაწე განისვენებს მთანმინდის პანთეონში:

დიდი ნიკო ბერძენიშვილი, რომლის სახელი 2006 წ. რაიონის მაშინდელმა გამგებელმა ბატონმა გ. ცინცაძემ მიანიჭა ჩოხატაურის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

მწერალი ნოდარ დუმბაძე, რომელიც ამბობდა: სულ ზუთი წელი ვიცხოვრე გურიაში, აგერ 50 წელი ვწერ და ვერ ამოვწერე სათქმელი. ბატონი გ. ცინცაძის ინიციატივით განახლდა ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა, 1996 წელს გაიხსნა პირველი ექსპოზიცია.

გული მტკივა, სასიხარულოს ვერაფერს გეტყვით ქართული პოეზიის დედოფალზე. როცა ქართველი მკითხველი გულისტკივილით იგონებდა კაი ყრმათა არდაბრუნებას ბრძოლის ველიდან (1946 წელი). ქალბატონი ანა კალანდაძის ლექსები სულის მოთქმად, შვებად აღიქვა ქართველმა ხალხმა.

„... ასე დამკვიდრდა ქართული მწერლობის მდიდარ და მყარ წინადაგზე იგი, ხიდისთაველი ქალიშვილი, ჩვენი ღვიძლი თანასოფელი – რომლის მგზნებარე და პოეტური ფანტაზიით აღვსილი გული ვინ იცის პირველად იქნებ, ხიდისთავში ამღერდა?“ (მერი ცხოიძე).

ბატონო თამაზ, მქონდა ბედნიერება, რამდენჯერმე პირადად შევხვედროდი ქალბატონ ანას. კითხვაზე თუ რას იფიქრებდა ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მისი კუთხის გახსნაზე, გაიღიმა და მოთხრა, რომ ყველა, ვინც მასთან მიდის, ყველაფრით ინტერესდება ამ საკითხის გარდა. სიამოვნებით დამთანხმდა, კუთხე გავაკეთე. მეორე შეხვედრაზე ჩოხატა-



ურში სტუმრობა ვთხოვე, მიზნად მქონდა, მისი თანდასწრებით მეტხოვა რაიონის ხელმძღვანელობისთვის სახლ-მუზეუმის დაარსება. სამწუხაროდ, ეს საქმე ვერ მოესწრო.

ბატონო თამაზ, ჩვენი რაიონისა და სოფლის მოსახლეობის უდიდესი სურვილია, სოფელ ხიდისთავში გაიხსნას ანა კალანდაძის სახლ-მუზეუმი, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში მობრძანებული ვიზიტორები ხშირად თხოვენ თანამშრომლებს, ასწავლონ გზა ანას სახლ-მუზეუმისაკენ. სამწუხაროდ, ეს გზა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ეზო და სახლი, სადაც ქალბატონმა ანამ გაატარა ბავშვობის წლები.

ბატონო თამაზ, თუ გვერდში დაგვიდგებით, თქვენ ხომ საოცარი უნარი გაქვთ, კალმით უდიდესი გავლენა მოახდინოთ ადამიანებზე. დარწმუნებული ვარ, თქვენი მცდელობა მიაღწევს მიზანს, ამ პატრი-

ოტულ საქმეს ფრთებს შეასხამთ და ღირსეულ პატივს მივაგებთ ქალბატონ ანას და მის სწორუპოვარ შემოქმედებას.

გვჯერა ქართველი კაცის საყვარელი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, კეთილი საქმეების უზადლო ტრიბუნი პირველ ნაბიჯს ჩვენს დასახმარებლად გადადგამს.

დახმარებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას, პატივისცემით, ჩოხატაურელთა სახელით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნათია კალანდაძე.

P. S. 2014 წელს ანა კალანდაძის დაბადებიდან 90 წელი სრულდება. შევხვედეთ ამ თარიღს ღირსეულად.

პრესულტონაგა საქართველოსთვის გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ მთავარ რედაქტორს, გ-ნ თამაზ წივნიშვილს

მესხეთ-ჯავახეთი! – მრავალტანჯულ, მრავალჭირნახული, მრავალ დამპყრობელგადავლილი მიწა, რომლის მკვიდრნი საუკუნეები იბრძოდნენ მშვიდობისთვის, მომავლისთვის, საქართველოსთვის!..

...ათასი ჯურის გუთიელი!.. ათასი ჯურის მანქურთი!..

მოდოდნენ დედანულიანად ჩვენი წმიდა მიწის დასაპყრობად, ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაზე დასამკვიდრებლად. დიდი ტიციანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდიოდნენ ყველა, „ვინც იცოდა სიარული და ვინც ფეხი აიდაგა სასიარულოდ, მაგრამ „გზა მათი იყო საქართველოზე და საფლავი მათი საქართველო.“

ამ მიწის შვილებს საუკუნეების განმავლობაში, არ მოკლებიათ გულის ტკენა, იმედგაცრუება; არ დაკლებიათ მუქარა, შიში, ტანჯვა-წამება!

მე, როგორც XXI საუკუნის ადამიანს, მაინც მიმაჩნია, რომ ამ მიწაზე ყველაზე დიდმა შიშმა და ტანჯვამ იმ დანჯეულილი 9 წლის განმავლობაში დაისადგურა, როცა ქვეყანას სააკაშიელები, მერაბიშვილები, უგულავები, ზოკერიები, ადგიშვილები... უდგნენ სათავეში.

საქართველო კუთხებდა დაინანილეს, თითქოსდა მათი პირადი საკუთრება და საფეოდალოები ყოფილიყოს. პირადად ჩვენს კუთხეს მერაბიშვილის რისხვა დაატყდა თავს. მისი სახელის და გვარის გაგონებაზე ადამიანებს თავზარი ეცემოდათ. მართავდა ყველას და ყველაფერს. ყველა სტრუქტურაში, ყველა ორგანოში თავისი ხალხი ჩასვა

და სულ ზეპირად იცოდა, რომელ კუნჭულში, რომელ სახლში რა ხდებოდა, ვინ რითი სუნთქავდა!.. ართმევენენ, აპატიმრებდნენ და სულიერად რყენიდნენ ადამიანებს, რომლებსაც ტანჯვით მოპოვებულ ქონებას უცერემონიოდ, დაუსაბუთებლად, უსინდისოდ ართმევენენ.

ამ ავანაკების ხელში ასე ტანჯვა-წამებით მივედით 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე. ამ პერიოდისთვის მუქარამ, შანტაჟმა და დაპირისპირებამ იმატა. ადამიანები ვერ გამოთქვამდნენ თავისუფალ აზრს, თუმცა გულში ყველა ნატრობდა მათ დამხობას, თავიდან მოცილებას.

1 ოქტომბერი ნაციონალური მარნუხებიდან განთავისუფლების დღედ უნდა ჩაინეროს საქართველოს ისტორიაში.

ღმერთმა მხსნელად მოგვივლინა სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლი – ბიძინა ივანიშვილი!

ბატონი ბიძინას მოსვლით ხელისუფლებაში ბევრი რამ შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, გაქრა შიში, ადამიანების სახეზე ღიმილი გაჩნდა, ჰაერშიც სხვანაირი სიო დატრიალდა – თავისუფლების სიო!

ბატონო თამაზ! როგორც მაცხოვარმა ლაზარეს, ისე აღადგინა მკვდრეთით

თავისუფლების სიომ „ლიტერატურული საქართველო“, რომელიც სწორედ თავისუფალი სიტყვისა და სიმართლისთვის დამარხეს. ვსარგებლობ შემათხვევით და მინდა ეს სასიხარულო ფაქტი მოგილოცოთ პირადად თქვენ, გაზეთის რედაქციას და თქვენი წყალობით ჩამოყალიბებულ საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიას.

დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ მესხეთ-ჯავახეთში ყველაფერი მაინც უცვლელი რჩება!

მიუხედავად იმ ბევრი სიკეთისა, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე ქვეყანაში ხდება, ერთი რამ მაინც მაღლელებს – მესხეთ-ჯავახეთის ბევრ სახელმწიფო ორგანოში ისევ „ნაციონალები“ სხედან, ისევ ისინი იძლევიან განკარგულებებს. ავიღოთ თუნდაც ბოლო დროის მოვლენა, როცა მოსამართლე ჯეირონაშვილმა სასამართლო დარბაზიდან მამუკა ახვლედიანი გაანთავისუფლა.

სამართლიანობის აღსადგენად და დასამკვიდრებლად მესხეთ-ჯავახეთის ინტელიგენციისა და საზოგადოების თხოვნით ჩამოვყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაცია – „ერთსულლოვება სამართლიანობისათვის“.

ჩვენი საზოგადოების მიზანია, მხარში ამოვუდგეთ მთავრობას, რომელმაც გვაჩვენა სამართლიანობის გზა მთელ

საქართველოში, რაც ჯერაც ვერ დამკვიდრებულა მესხეთ-ჯავახეთში.

ორგანიზაციის, – „ერთსულლოვება სამართლიანობისათვის,“ – დამფუძნებლები არიან: გენადი ენდელაძე, ქეთევან ხმალაძე (თავმჯდომარე), ბესიკ კაპანაძე. ჩვენ სრულ მზადყოფნას გამოვხატავთ შეგვბრძოლოთ შემორჩენილ უსამართლობას უშუალოდ მესხეთ-ჯავახეთში და, რა თქმა უნდა, სრულიად საქართველოში. ვიღებთ ვალდებულებას, გავაკონტროლოთ ის უსამართლობის კერები, რომლებიც მრავალი დანაშაულის ბუდე იყო და ახლაც ბოგინებენ ადგილობრივ მმართველობაში. ამ ქმედებით მათი მიზანი ნათელია – იმიჯი შეულახონ არსებულ სამართლიან მთავრობას.


ჩვენი წესდების თანახმად, ვალდებული ვართ, განვმუხტოთ ის დაძაბული ურთიერთობები, რაც ბოლო 9 წელიწადში ვერაგულად ჩანერგა სააკაშვილის მთავრობამ.

პატივისცემით –
გენადი ენდელაძე,
არასამთავრობო ორგანიზაციის, – „ერთსულლოვება სამართლიანობისათვის,“ – ლიდერი, ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ჩვენთან, ჩვენთან, ჩვენთან!

უმწიფეობა, სირცხვილი, სინანული – აი, ის, რასაც განვიცდიდით 2008 წლის აგვისტოს ცხელ, მძიმე, აბსურდულ დღეებში. როგორც ყველა კომმარის, ის ბლიცკრიგიც მოულოდნელი და საზარელი იყო თავისი დასაწყისით, განვითარებითა და ფინალით. ხუთდღიანი ომის ექვსდღეა, ხუთი წლის შემდეგაც, ავისმომასწავებლად გაისმის, რადგან არ ვიცით, რას გვიქადის მყიფე რეალობა, რომელიც ომმა შექმნა.

როგორც საკენკი ფრინველის წინაშე – ჩვენი მდგომარეობა მაშინ და, სხვათა შორის, ახლაც. თავზევით ძალა არ არის. ძალა და სულიერი საფანელი თავში, საკუთარ ნებელობაში უნდა მოვიძიოთ. ძიების გზა სიტყვით იწყება. მეც სიტყვას მივყავ და დავწერე წიგნი „თამადა“, რომელიც აგვისტოს ომში ბრძოლის ველზე მომწყდართა ხსოვნას მივუძღვენი. გადავწყვიტე, გადმომეცა ჩემი უდიდესი ხედვა ამ უაღრესად რთული კონფლიქტისა. ცდილობდი, ვყოფილიყავი ობიექტური. სულ მახსოვდა ციცირონის უანგარო შეგონება: „შენ დაიბადე არა შენტვის, არა ჩემთვის, არამედ სამშობლოსათვის“.



გიორგი აბაბიძე


უკანასკნელი რუსი

ნახევარი საუკუნის წინათ ცხოვრებულმა დედაჩემმა ეზოში დაფნა დარგო. იზარდა პატარა ხე, იზარდა და ავერ, უკვე მეთხე სართულს მოაღწია.



ლხინი ჟამიანობისა

ვახუშტი კოტეტიშვილს ვეთხოვებოდით იმ დღეს... პოეტს, სიტყვის ოსტატს, რომანტიკოსს, რომელმაც იცოდა მამულის, სიყვარულის ფასი... მასთან ერთად ვეთხოვებოდი რაღაც ძალიან ძვირფასს და ახლობელს ჩემთვის – ძველი თბილისის გულიცემასა და სურნელს. ქაშუეთის ეკლესიაში იყო დასვენებული ვახუშტის ცხედარი. ტაძრის ეზო სავსე იყო მისი დამფასებლებით, მისი იდეალების გამზიარებელი დარღიანი ქართველებით, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო იქვე, ქუჩის გადაღმა, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ ზღვა ხალხთან. ხელისუფლებას მოეხმო ისინი, რათა ეთქვა მთელი მსოფლიოსთვის, ნახეთ, რა ხალხი ვართ, თბილისიდან 30 კილომეტრში ცეცხლია გახსნილი, ხალხია დაღუპული, ჩვენ კი იხიბვართ არ ვიტყვით, ვმღერით და ვტამაშავდებით... საგანგებოდ აღმართულ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უკრაინის, პოლონეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის პრეზიდენტები... თავიანთი გასაჭირი აქვთ... შიშობენ, ეტყობა, მათი ჯერი რომ არ დადგეს... მათკენ რომ არ გადაბრუნდეს ქართული სისხლით გამძლარი თეთრი დათვი და ქვეშ არ მოიყლოს რიგ-რიგობით... ტაძრიდან ისე გამოასვენეს სასახლე, საპირისპირო მხარეს ცეკვათამაში და სკანდირება არ შეწყვეტილა...



იური როსიტსკის ფოტო

იმ დღით მისი ფოთლებისგან დიდი გვირგვინი გავაკეთებინე, ზედ ორი ლენტი მივამაგრებინე წარწერებით: „Лондон – Тбилиси“ და „РОСТ-2008“ და ხელდამშვენებულმა გავნიე შამპანურის ქარხნისკენ, სადაც შორეული ქვეყნიდან დაძრულ მოგზაურთა დასახვედრად ხალხი იყო შეკრებილი. ლონდონიდან 12 თუ 14 ქვეყნის გავლით თბილისისკენ ექვს თანამოაზრესთან ერთად ჩემი ძმა, სამოცდაათს მიტანებული იურა როსტი მოემართებოდა – მოტოციკლით!

მოადგენ თუ არა საქართველოს საზღვარს სარფში, „თავგადასავალთა მაძიებლებს“ ჩემი გაგზავნილი პირველი პლაკატი შეეფეთათ წარწერით: „Родина приветствует великого путешественника Юрия Роста“. პლაკატის იქ ჩამტანამა მოყვა მერე: იურას კითხვისას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსეო. თბილისადე, კიდევ რამდენიმე ადგილას დავახვედრე სხვადასხვა შინაარსის ტრანსპარანტი. უკანასკნელი – გორში: „Стой, сука! Это Гори – Родина „Лица России“. Поклонись!“ თბილისში, ორივენი თვალცრემლიანი ვიდექით, იურა – დაფნისგვირგვინოსანი, მე – მისი ჩამოსვლით გაბრწყინებული.

სალამოს, როგორც შინაურებს შეეფერებათ, ოჯახურ წრეში ჩაი დავლიეთ. დღით უწინდესი გველოდა. საოცარია საქართველოს პატრიარქი. ყველა უყვარს, ცუდიც და კარგიც, ყველას ღვთის შვილად მიიჩნევს. მაგრამ მგონია, რომ ზოგჯერ გამოინაკლის მაინც უშუალოდ კარგები ცოტათი უფრო უყვარს. ისიც მგონია, რომ მე და იურას ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიგვაკუთვნებს. იურა ყოველი ჩამოსვლისას პატრიარქს თავის წიგნებს ჩუქნის. ამჯერად წიგნი არ ყოფილა. იყო საუბარი – ხანგრძლივი, თბილი, დაუფიქარი. ყველაფერს შევეხეთ, პოლიტიკის გარდა. დამშვიდობებისას უწინდესმა, როგორც წესად აქვს, დაგვლოცა...

იქიდან გამოსულებმა, ჩვენი წესისამებრ, „ნაცნობ“ ადგილებს მივაკურეთ და დაფურეთ... დღით დაფნისგვირგვინგადაკიდებული იურა თვითმფრინავში ავიდა და გაფრინდა... 7 აგვისტო იყო 2008 წლისა. დარჩენილი დღე და ღამე, როგორც მთელმა საქართველომ, მეც ტელეკრანთან გავატარე. საინფორმაციო სამსახური სიტუაციის უკიდურესად გამწვავების შესახებ იუწყებოდა. იმდენად შეშფოთებულ-აფორიაქებული ჩანდა პრეზიდენტი სააკაშვილი, ინფორმაციაც იმდენად გაუგებარ-დაულაგებელი იყო, ჭირდა გაგება, რა ხდებოდა სინამდვილეში.

„– გონს მოდი, ჩვენ ომი არ გვინდაო, – ამ სიტყვებით მიმართავდა რუსებს, რომლებსაც უკვე გადმოეკვეთათ საქართველოს საზღვარი და ცხინვალში შესულიყვნენ. სიტუაცია სწრაფად იცვლებოდა და იძაბებოდა, ნელ-ნელა თხოვნა-გაფრთხილების ინტონაცია შეიცვალა და გაისმა განცხადებები ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსული სამხედრო ნაწილებისათვის წინააღმდეგობის განხორციელების თაობაზე... დღით იურამ დარეკა, ძლივს ამოღერდა: – Неужели война?! ნამდვილად ასე იყო: 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო.

იმავ დღეს ჩვენგან ძალიან შორს, ჩინეთში, ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდა. ნამდვილ ოლიმპიელს ჰგავდა თბილისიდან გაფრენის დღეს დაფნისგვირგვინოსანი იურა როსტი, რომელიც ის უკანასკნელი რუსი აღმოჩნდა, საქართველოდან პურმარილით, სიმღერითა და სიყვარულით რომ გააცილეს.

ძველ საბერძნეთში გადავინაცვლოთ ცოტა ხნით. რატომ? ოლიმპიური იდეალები იქ ჩამოყალიბდა, იქვე გაიშალა პირველი ოლიმპიური თამაშები და იმიტომ. ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ – ძველი ნელთალრიცხვის მე-7-8 საუკუნეებში ხდებოდა. ასეთი გადმოცემა არსებობს: ერთმანეთის მტრობითა და შინა ომებით დასუსტებულ ელადში – ათენისა და სპარტას მმართველებს დელფოსის ორაკულმა უჩრჩია, მშვიდობის დასამყარებლად მივიწყებული ოლიმპიური თამაშები აღედგინათ და მათი მიმდინარეობის დროს ეკეიხერია, ანუ „წმინდა ზავი“ გამოეცხადებინათ. მეომარმა მხარეებმა ყურად იღეს მისნის რჩევა, თამაშების აღდგენაც მოახერხეს და მათი მიმდინარეობის პერიოდში „წმინდა ზავის“ დაცვაც. საუკუნეების მერე მშვიდობის „დროშის ქვეშ“ უკვე მსოფლიო ხალხებმა იწყეს ასპარეზობა. ოლიმპიური თამაშების ხელმოწერად აღდგენის იდეის ავტორმა და განმანორციელებელმა, ბარონმა პიერ დე კუბერტენმა ხმაშაფარა განაცხადა, რომ ოლიმპიადი და ოლიმპიელები ადამიანის უფლებათა და ღირსების დაცვის სამსახურში ჩადგებოდნენ, ხალხების შერიგება-დაახლოებას, „წმინდა ზავის“ პრინციპებს დაუდგებოდნენ ქომადე.

მაგრამ პოლიტიკა ყველგან ახერხებდა და ახერხებს შეჭრას. 1936 წელს ბერლინის ოლიმპიადი გერმანიის მაშინდელმა კანცლერმა, ადოლფ ჰიტლერმა გახსნა და ის ასპარეზო არიული რასის სრულყოფილებისა და ახალი წესრიგის სადემონსტრაციოდ გამოიყენა. იყო შემთხვევებიც, როცა პოლიტიკური დაპირისპირების გამო ქვეყნები უარს აცხადებდნენ ოლიმპიადიში მონაწილეობაზე. ლოს-ანჯელესში სოციალისტური ბანაკის არც ერთი ქვეყანა არ ჩავიდა... გაეუბნენ ამერიკელებს... არც ამერიკელები ჩამორჩნენ და ავღანეთის გამო მოს-

დაკრძალვის შემდეგ ვთქვით, თითო ჭიჭა წავუქცი-ოთ-თქო ვახუშტის და მართლა ასე მოხდა: მხოლოდ ჭიჭები ავნიეთ. არც საუბარი გამოვიდა და ვერც ერთად ყოფნამ გავიყურა ტკივილი. ასეთ დროს თამადა კისრულობს ხოლმე სუფრის წარმართვის სირთულეს და ჩვენმა თავკაცმაც, ქართული ტრადიციისამებრ, ღირსეულად გაგვაცილებინა მეგობარი უკანასკნელ გზაზე.

ისე, თავკაცი მხოლოდ სუფრას არ ამშვენებს, ქვეყანას ამშვენებს, ქვეყანას ადგამს გვირგვინს პირველ რიგში. ჭკვიან მეთაურზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ნიჭი, მოხერხება და გამჭრიახობა, რომ სუფრა – ქვეყანა უფსკრულში არ გადაჩხონ ღვინოს – სისხლს დახარბებულმა თანამოსუფრე-თანამმართველებმა. როგორ სჭირდება საქართველოსა და რუსეთს ბრძენი წინამძღოლი – თამადა – რომელიც აჭრილ-ატორტ-მანებულ, გამომთვრალ ხალხს ჭკუაზე მოიყვანს. დავიშალებთ... სახლებში დავბრუნდით. მთავრობის სასახლის წინ კი ისევ გრძელდებოდა ქართული და უკრაინული დროშების ფრიალი, სკანდირება: „საქართველოს გაუმარჯოს“, „შეაჩერეთ რუსეთი“, „სარკოზი! სარკოზი! სარკოზი!“, ისევ სჭექდა რეპროდუქტორებში საქართველოს ჰიმნი...

ჰიმნს, რამდენადაც ვიცი, გამარჯვებული ან ომში მიმავალი მღერის. აქ რა ხდება? საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დაკარგულია, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნით... ცხინვალში დაღუპულთა ცხედრები ჯერ მიწისთვის არ მიგვიბარებია... ესენი რას ზეიმობენ, რა ემღერებათ? რას აღნიშნავენ ასე მონდომებით?

დათრგუნვილი, დამცირებული, საკუთარ უმწიფესთან მარტო დარჩენილი ვფიქრობდი: თუ ეს „ჯოს, ჯოს“ მოღრიალე ბრბო ჩემი ხალხია, მაშინ მე უარს ვამბობ მათზე!

კოვის ოლიმპიადი გამოტოვეს. დღეს რა ხდება? 2008 წლის 8 აგვისტოს ერთდროულად შემოჰკრეს სადღესასწაულო და საბრძოლო დაფ-დაფებს პეკინსა და საქართველოში. იქ ოლიმპიადი გაიხსნა, საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. ეს ოლიმპიადი ყველა ქართველის ცნობიერებაში სისხლისფრად დარჩება. აქ ჩვენ ყველანი ერთნი ვართ – ისინიც, ვინც სისხლი დაღვარა, ვინც სახლ-კარი დაკარგა და დევნილად იქცა; ისინიც, ვინც თბილისის დაბომბვის მოლოდინში გარბოდა ან არ გარბოდა თავისი ქალაქიდან; და ისინიც, ვინც საქართველოს ღირსებას იცავდა პეკინში. მოკლედ, ვიღაცამ არც „წმინდა ზავი“ გაითვალისწინა, არც სხვა პრინციპები და ომი დაიწყო. დამთხვევაა თუ საგანგებოდ დაგეგმილი ოპერაცია? ყურადღების მიქცევის თუ პირიქით, მისი გადატანის მცდელობა? როგორც არ უნდა იყოს, შედეგი მძიმეა! მაგრამ ყველაფერი ნაგებული არაა! ყველაფერი არ დაგვიკარგავს! მიუხედავად სამგლოვიარო ნიშნისა, რომელიც მკლავზე ჰქონდათ შემოული, ქართველებმა მაინც მოახერხეს სამი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მოპოვება. რიგრიგობით ავიდნენ კვარცხლბეკზე ცირეკიე, კვირკველია, მინდორაშვილი და ოქროთი მკერდდამშვენებულები დაბრუნდნენ პეკინიდან. ზემოთკენ მიცურავდა ხუთჯვრიანი ქართული დროშა, დარბაზი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს, იღვრებოდა საქართველოს ჰიმნი... თავად გამარჯვებული ბიჭები ტუჩების ძლივს შესამჩნევ მოძრაობას აყოლებდნენ მუსიკას: „ჩემი ხატია სამშობლო... სახატე მთელი ქვეყანა...“ გულში მღეროდნენ... ჰო, ძლიერს, გამარჯვებულს, ღირსეულს რაში სჭირდება ყვირილი, ხმის მოდულაცია, ზედმეტი მანქვა-გრეხა... ერთი ახლა დამანახა გუმინდელი დროშების მოფრიალე, მომღერალ-მოზეიმებელი-მეთქი, ვიფიქრე.

მკითხველო ჩემო, გულთამხილაო! უპირველეს გულშემატკივრად და მსაჯულად კვლავ შენ მეგულები, უწინარესად შენ მოგმართავ. ჩვენი სამშობლოს უსამშობლობით გულნატკენსა და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება-განმტკიცების მონადინედ შემართულს, ვისაც, უთავებლო განუკითხაობის მიუხედავად, სიმართლის მოთხოვნა არ გაგნებია, ხალხის მასად მონათლულს ერის დანიშნულება არ დაგვიწყებია და ქართული მწერლობის ბედი გულწრფელად გაღელვებს. დიდი დრო არ არის გასული, რაც ჩემი პუბლიცისტიკა ლიტერატურულ სივრცეში დამკვიდრდა. წინასწარი მოლოდინი გამართლდა. „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ წიგნის თაროზე შემოსაღები მორიგი, საინტერესო კრებულის ფარგლებს გასცდა და კასტებად დაყოფილ მწერლურ ჯუნგლებში გვარიანი ვნებათაღელვა გამოიწვია. საჯარო პროტესტის წაყრუების პოლიტიკა დასრულდა. მავანთა ყბადაღებული ფრაზა: „საქართველოში კრიტიკა არ არსებობს“ დასაბუთებულად გაბათილდა. შესაბამისად, ჯანსაღი, მიუკერძოებელი კრიტიკის მოთხოვნა გაიზარდა.

მით უფრო, როდესაც წიგნის გამოცემის შემდეგ ქართულ მწერლობაში გაბატონებული სინამდვილე უკიდურესად დაიძაბა. პარადოქსული მოვლენების წყებაში გაუთვალისწინებელ სიურპრიზებზე დამეცადინებული საზოგადოება საჩოთირო სიმართლის ლაბირინთში შეიჭყუა. საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობის კვლევა-გაშუქებამ ცხადყო, სიყალბის ტოტალურ გარემოში მწერლობას რა ბედი ენა, მისი არის როგორ გარდასახა. ხელოვანის დამოუკიდებლობის ხარისხისა და ღირსების დაცვის, შემოქმედებითი წინსვლის, ეროვნული ღირებულებებისა და ერის ზნეობის შენარჩუნების ნაცვლად მან იმ პარტიული (საბჭოური) ზედამხედველის დანიშნულება გადაიხარა, ვინც „დიად“, საბჭოური ხანაში მწერლები შერისხა, სატანური იდეოლოგიის წინააღმდეგ მწერლობის ბუნებრივი განვითარება შეაფერხა და სახელოვანი მამულიშვილების წამებით, გადასახლება და დახვრეტით ერის საუკეთესო ნაწილი წარმუხრებლად გაანადგურა.

დღეს, როცა ავბედითი ეპოქის შედეგს ვიმკით და შემზარავი ფაქტებით გაჯერებული სექტანტის ნაშრომებს მგზნებარე პროტესტით ვეხმარებით, ბედისწერის ჩარხი კვლავ უკულმა ბრუნავს: სანამ უთვალავ ნაწილად დაქუცმაცებული რიგით ათასმეერთე ჯგუფი პირადი პრივილეგიების მოსაპოვებლად იბრძვის, ხელმძღვანელთა „ხელდასმული“ დასი დროს უქმად არ კარგავს და საყოველთაო ძალადობით გატანჯულ თანაოკლემებს აშკარად დევნის და დასცინის. ამა თუ იმ გამოცემლობასა თუ რედაქციაში ზემდგომი ქვემდგომს ამცირებს, ემუქრება გროშიანი სამსახურიდან გაშვებით, აშინებს, მორიგ პომპეზურ, ძმობიჭური ანგარიშით უდგენილ ანთოლოგიაში მოაქვს დასაჯებელი უარით ისტუმრებს, საბჭოთა პრეზიდენტის ხელწერით ჩატარებულ მუმიფიციკრებულ წარდგინებებზე ოფიციალურად ამასხარავებს, საეჭვო გზით მოპოვებულ ფინანსურ შეჯიბრში ჩართულ მწერლებს წინააღმდეგ აქეზებს, შიდათათბირებზე მომხდარ „ძმათა სასაკლავოს“ აღწერას კი მოცლილი გრაფომანის კალამი ცერ გასწვდება.

„ხელდასმულთა“ დასი მასმედიის თვალწინ წამიერად „კეთილშობილდება“ და გულსამრევი მალაღმარდოვნებით ალჭურვილი ხალხს თვალში ნაცარს აყრის.

მწერალთა კავშირზე მომზადებული საგანგებო გადაცემები ეთერში რომ გავიდა, ჩემთან სატელეფონო ზარები არ ცხრებოდა – აღფრთოვებული ადამიანები თავიანთ გულსწყობასა და იმედგაცრუებას იმავე მორიდებლობით ავლენდნენ, როგორც ერთ დროს და-ძმად გაფიცული მწერლები ერთმანეთს საჯაროდ ამკობდნენ.

შეძრწუნებული ხალხის პროტესტმა უმძიმესი სინამდვილე გამოკვეთა: თანა-

მედროვე მწერალი რიგით თაღლითთან და მოძალადესთან გაიგივების საფრთხის ქვეშ დადგა, უკიდურესი დაქვეითების სინონიმად იქცა. მან პირწმინდად დაკარგა არათუ წინამძღოლის, არამედ მისაბაძი, პატივსაცემი პიროვნების დანიშნულება. საჯარო „გამოქენების“ ფონზე უამრავი სიმახინჯე წამოტივტივდა; არნახული ჩავერის, გაუტანლობის, ტოტალური სივრცისა და შიდადაპირისპირების პარალელურად სერიოზული ფინანსური დარღვევები გამოაშკარავდა, რამაც აღფრთოვებული ადამიანების უნდობლობა გამოიწვია. საბჭოურ უღელს გამოტარებული საზოგადოება ხელახალმა პანიკამ მოიცვა: თვით ყველაზე შეგნული რეალობის დაბრუნების საფრთხე გაჩნდა, როდესაც კავშირში არსებული ვითარების დასადგენად საქმეში სახელ-

რედ ამ მწვავე, დაუთმობელი სიმართლის წყურვილის გაცხადებაა. კრიტიკული სტატიებიდან გამორჩეული, აკრძალული ღია წერილის მღელვარე თავგადასავლის განზოგადებაა, რომელიც ეპოქალური სულისკვეთებისა და მსოფლმხედველობის თანმდევ წინაღობებს დაუფარავად ასახავს. ღია წერილის „დატუსალება“ წიგნის გამოცემამდე მიბიძგა, მაიძულა, სივრცის ძალმოსილებას წინ აღვდგომოდი და არაკეთილსინდისიერი მედროვეების მეთოდების საპირწონედ პუბლიცისტიკური კრებული გამომეცა. წესით, დემოკრატიულ საზოგადოებაში სიტყვის აკრძალვა გაუქმებულია, სინამდვილეში საპირისპირო სინამდვილეს შევეჯახებ: დიპლომატიურად შედგენილმა წერილმა დამოუკიდებელი აზროვნების დამცველი ავტორიტეტული მოღვაწეები იმდენად

იკა ქალაბიძე
სხდომაზე ლამის ნიურნბერგის პროცესი გამიმართა. ორმოცი მორჩილი თანამშრომლიდან ერთადერთი ან განსვენებული პროზაიკოსი ეთერ ყამბეგივილი მომემხრო. სხვათა შორის, მან ბ-ნი მიშველაძის „საგმირო საქმეებს“ მოთხოვნა მიუძღვნა და ამის გამო რეპრესია იწვნია – უმალ ჩამოაქვეითეს და თავიდან მოიშორეს. „ძლევა მოსილის“ კრიტიკას



ქალი მიმინოს აპონაკუნესი

მწიფო ჩაერია. მწერალთა დაპირისპირების მასშტაბმა მთელი ქვეყანა აახმაურა.

ხალხი მწერლებს შორის დასადგურებულმა ქიშპმა აიძულა, ეღიარებინა, რომ დროის წინეს მწერლობამაც ვეღარ გაუძლო და სიძნელეებთან შეჯახებისას უმალ ჩაიშრება, იმად გადაკეთდა, რასაც საუკუნეების განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდა.

მწერლობის ასპარეზზე დანიშნულნი მათნამედროვე ლიბარტი ბალუაშების ორგანიზებულ ჩაგვრას ღირსებაშეღებულ „წერილფეხობა“ მხოლოდ მაშინ აუფანყდა, როდესაც უსიამოვნება პირადად შეეხო – არ დაბეჭდეს, სამსახურიდან დაითხოვეს, ადრეული პრივილეგიები შეუწყვიტეს და მეზობელ რედაქციებში თუ გამოცემლობებში გადაბარგების შესაძლებლობა მოუსპეს. ამ გარემოებამ ცხადყო: ქვეყნის მუდმივი მოუწყობლობით თავმოყვრულ მწერალს მოქალაქეობრივი შეგნება ზედმეტ, არასაჭირო ბარგად მიეჩნია და უყოყმანოდ დაეთმო. ის მრავალთა მსგავსად პირადი კეთილდღეობისათვის მებრძოლ „ობივალტელად“ გარდაქმნილიყო და საკუთარი „პროდუქციის“ გასაღების გარდა აღარაფერი აღარდებოდა.

მწერალთა შორის მომხდარმა განხეთქილებამ მწერლობას სერიოზული დარტყმა აგემა. მწერლის, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნების, შეგნება ათასი ჯურისა და პროფესიის ადამიანთა განსჯისა და განქიქების საგნად იქცა. ბანაკებად დაყოფილი კოლეგები ერთმანეთს ნიშნს უგებდნენ და უამრავ ცოდვას უხსენებდნენ. ლაფში ამოსვრილი მწერლობის ღირსების საკითხი განზე დარჩა, პასუხგაუცემელი კითხვების მორევში ჩაიძირა.

XXI საუკუნის ხელოვანებს თანამედროვე მიღწევებით თავი მოგვაქვს და ვერ ვაცნობიერებთ, რამდენმაც ბოროტის ვატარებთ: მონის, გახარებული მეშხანის, გაკოტრებული მწერლისა თუ ვირტუალური გრაფომანის, რომელიც ფულიხვეჭია მაგნატის ჯიბეზე ოცნებობს და მწერლობის განვითარების იდეა მხოლოდ მომგებიან სარეკლამო ლოზუნგად წაუშმძვარებია.

აქედან გამომდინარე, სიმართლის მოთხოვნა კვლავ მწვავედ დგას. „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ ესოდენ მნიშვნელოვანი, წინააღმდეგობრივ და მტკიცებულ ქარტახილებში იშვა. მკითხველს აღვუთქვი, „ყველაზე მებრძოლი წიგნის“ შეულამაზებელ ისტორიას მომდევნო პუბლიცისტიკურ კრებულში მოვუთხოვობდი. მტკიცედ მწამს: მკითხველის უზენაესი უფლებაა, ეპოქალური კატაკლიზმების ნიაღში გამოტარებული სიმართლე იცოდეს, რათა მიუკერძოებელი დასკვნა დამოუკიდებლად გამოიტანოს, თვითონ გაარჩიოს, ვინ ვისი გორისაა, რისთვის იბრძვის, რა მიზანს ემსახურება და რამდენად უფროსილდება ქართული მწერლობის ოდინდელ ავტორიტეტსა და მნიშვნელობას. „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ სწო-

დააფრთხო, მის მისაჩქმალად ყველა თავისებურად ამოქმედდა.

ცნობილ მწერალს, ბ-ნ მიშველაძეს მივმართე და ვთხოვე, ღია წერილი გაზეთში“ დაბეჭდეს. მწერლის ორი თვე ფუჭ მოლოდინში მიიწურა. განმეორებით თხოვნას რუსთაველის პრემიის ლაურეატმა კვლავ ტკბილი დაპირება დაუხვედრა. ერთ-ერთი კოლეგისადმი მიმართულ საიუბილეო მისალმებაში ბ-ნი მიშველაძე საკუთარ თავს უღალ მიმინოს ადარებდა – გამოცდილ, დაბრძენებულ მიმინოს, ვისაც ახალი თაობის განერთნა დამსახურებულად მიუთვნივდა. სხვათა შორის, მას ჩემი ღია წერილის ადრესატი თავის გაზეთში ისე უხამსად შეემკო, რა გასაკვირია, ჩემი ხელწერა არ მოსწონებოდა. მე მიმინოსებრი აღლო ვერ გამოვამყლავნე და მავანთა გულის საამებლად აკრძალული ილეთების უმალღესი პილოტაჟი „ვერ გამოვავლინე“

„უძლიერესი წერილია, ძალიან მყარი არგუმენტებითაა გამაგრებული. რეზო მიშველაძემ არ დამბეჭდინა. ახლა ვნანობ, წინააღმდეგობა რომ არ გავუწიე. გაკრიტიკებული მწერლის ავტორიტეტსა და გავლენას მოვერიდებ, მაღლობის მაგივრად რა მივიღე? შენი კრიტიკის ობიექტმა საქებარი წერილის ნაცვლად მიწასთან გამასწორა. წერილი უნდა გამოქვეყნებინა. ცამდე მართალი იყავი!“ – ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, სოსო სიგუას გულახდილობას ჩემული გულწრფელობა დაუხვედრე. კერძოდ, „შევასხენე“, რომ სიმართლე ყოველთვის სიმართლეა, ის მხოლოდ საკუთარ ტყავზე გამოცდისას არ დგინდება, სიმართლის დაცვის სურვილი ყოველთვის უნდა გამოირავებდეს!

ტაძარში სახელოვანი მწერლის პანამვიდს ვესწრებოდი და, სანამ ბ-ნ სოსოს შეხვედებოდი, შესასვლელთან ბ-ნ რეზო მიშველაძეს გადავყავარე. მან თავაზიანი ღიმილით მამცნო, რომ ჩემი წერილი სადღაც „დაიკარგა“, რის გამოც უზომოდ ნუხდა. ჩვენს ამღვრულ დროში მრავალტანჯული მწერალთა კავშირის მეზობლად მდებარე სადალაქოს აკრძალული სტატია დანდობილად ჩავაბარე (მონმედ რეპრესიული პოეტის ვაჟი მახლდა). ამღვრულ დროში, მოვეხსენებათ კეკელუცი პარიკმახერი კი არა, მიაბიტი ბავშვიც აღარ ინდობა, „დაკარგულმა წერილმა“, მისტიფიკაციის მიუხედავად, დანიშნულების ადგილამდე მაინც მიაღწია, სოსო სიგუას მონაყოლი სწორედ ამ „უმნიშვნელო უზუსტობას“ ადასტურებდა.

ჩვენ, სამივე მწერალი მრავალთა მსგავსად ტაძარში ვიდექით და ჩვენს მწერლურ ბავთავან „სამი დამოუკიდებელი სიმართლე“ მოედინებოდა.

უღალ მიმინოდ სახელდებულმა „ხელდასმულმა“ არც ის მაპატია, თავის დროზე სადისერტაციო თემად მიხილ ჯავახიშვილის რომანები რომ ავირჩიე და ძალად შემოჩენებული რომელიც ნომენკლატურული მწერლის შემოქმედების შესწავლას არ დაეყაბუდო. მახსოვს, ამასთან დაკავშირებით კათედრის

ცოცხალი თავით ვინ დაანებებდა!

დისერტაციის დაცვამდე ასპირანტს საგანგებოდ შერჩეულ ჟურნალებში, სულ მცირე, სამი სტატიის გამოქვეყნება ევალეობდა. ამ მიზნით ჩემი ერთ-ერთი წერილი „პირველი სხვისთვის“ ბ-ნ მიშველაძეს გადავეცი, თუმცა პუბლიკაციის გამოქვეყნებას საშველი არ დაადა (ყველაფერი განსაზღვრულ ვადაში უნდა მოგვესწრა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვაზე არავინ გავგიშვებდა). ბუნებრივია, კათედრის გამგეს ამის თაობაზე სიტყვა ჩამოვუგდე. რას ვიფიქრებდი, წერილის ბედით დაინტერესება დანაშაულად თუ ჩამეთვლებოდა. პასუხად მან მომიგო, „სატისთვის“ არ ჩაგებარებია და ახლა შენ უპასუხისმგებლობას მე მომანერო. ტყუილით გამოწვეული განცვიფრება რომ გამინელდა, შევახსენე, რომ წერილი შეთანხმებისამებრ ყველას თანდასწრებით გადავეცი, ის კი ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო მის გამოქვეყნებას განგებ აფერხებდა. ჩემმა პასუხმა კოლეგები დაზაფრა. აჟიოტაჟის ჩაცხრობისთანავე კათედრის წევრებმა გამაფრთხილეს, რომ სიმართლის დაუფარავი განცხადება ძვირად დამიჯდებოდა. პარადოქსისაგან არავინაა დაზღვეული. ის იყო, თადარიგი დავიჭივრე და „დაპატიმრებული“ პუბლიკაცია რის ვაი-ვაგლახით სხვაგან დაბეჭდეს, რომ მალე წერილი „პირველ სხვისთვის“ გამოჩნდა!

ეს შემთხვევა ბ-ნი მიშველაძის „მამობრივი“ მზრუნველობის დაუინყარი მაგალითია. --- მეთოდი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების წინააღმდეგ იყენებდა. მის მიერ „ურჩი“ ახალგაზრდების დასაშოშინებლად მიმართული სადამსჯელო ექსპედიციითა აღწერას სოლიდური --- ვერ გასწვდება.

ვინც „ხელდასმულებს“ განღმრთობას არ მისდევს, გაუთვალისწინებელ განსაცდელთანაა წილნაყარი და, თუ არ იფხიზლებს, უღალი მიმინოს კლანჭებს ვერასგზით ასცდება.

აკადემიკოსობას ვინც ელტვის და უმიზნებს, საზოგადოებისთვის ცნობილია. ასე რომ, ამ მავთულხლართიანი მწვერვალის მაძიებელთა რიგში ჩემი ჩაყენება მტყენარი სიცრუეა! მე მწერლობაში დასაკვირვებლად განსხვავებული გზა მესახება, რომელსაც კავშირის უფროსობა ათასგვარი ჩინ-მედლის საეჭვო წარმომავლობისა და ჟღარუნის მიუხედავად ვერასოდეს მიჰყვება და ვერაგზის ურთულესს. ეს ფაქტია და ამას წყალი არ გაუვა!

წარსულში ერთობ ბოხოლა აკადემიკოსი-პოეტის ნაავკაცარი დღეს საყოველთაოდაა გაცხადებული. სიმართლე არასდროს იმალება ამ უკანასკნელს თავისი შესადარი რუსთაველიც აღარ ეგონა და მთანწინაზე შერჩეული „პრეს-

►► გაგრძელება მე-10 გვ.

►► გე-9 გვერდიდან

ტიფული“ ადგილი ცეკა-ტეკასა თუ რა-იკომის მდივანს წინასწარ ზარ-ზეიმით გამოსთხოვა. „ჩვენი“ აკადემიკოსი „უნი-ჭო“ გალაკტიონს, ლადოს თუ დანარჩენ თვალსაჩინო კოლეგებს სიცოცხლეში სრულყოფილად ასამარებდა და გულში ეჭვადაც ვერ გაივლებდა, დრო და შთა-მომავლობა კუთვნილს რომ მიუზღავდა.

ცნობისთვის: ჰადესში პრემიების მა-გიური ძალა გაუქმებულა და გამონაკ-ლისს ჟღალი მიმინოს ხათრითაც ვერ დაუშვებენ! ჩემი სტუდენტობის დროს ერთ-ერთ ლექციაზე ბ-მა მიშველაძემ ჩვეული ოხუნჯობით კბილი გამოჩენილ მწერლებსაც გაჰკრა. სხვათა შორის, ამ მხრივ თავის მეგობარსაც არ ინდობდა და ზურგსუკან გესლიანად ამასხარავებ-და. კერძოდ, „დათა თუთაშხიას“ ავტორი ერთობ საჩოთირო კონტექსტში მოიხსე-ნია. ჩვენი კურსის ყველაზე მამაცმა და გამორჩეულმა მოაზროვნემ ვედარ მო-ითმინა და კატეგორიულად მოსთხოვა, თავისი სიტყვები უკან წაეღო ან გარეთ სალაპარაკოდ გაჰყოლოდა. სტუდენტის სამართლიანი პროტესტით აღშფოთე-ბული მწერალი აყვირდა, თუმცა „მეამ-ბოხის“ ფრაზამ: „ყურებზე ხახვი არ და-მაჭრა“ მთელი აუდიტორია მოიარა და მიახვედრა, რომ თავისი „ჩასტუშკები“ აქ არ გაუვიდოდა.

ბუნებრივია, ჟღალი მიმინო ამ მარცხს უბრალოდ არ შეეგუებოდა. მართლაც, მან იმდენი მოახერხა, გაბედულ, უნიჭიერეს და ღრმად ერუდირებულ სტუდენტს ლამის გასარიცხა და გაუხადა საქმე, თუმ-ცა ჩვენც არ დავთმეთ და, ან განსვენ-ებულმა დეკანმა კორნელი დანელიამ თავისი კომიტეტის წინ 230 მტკიცედ შე-მართული ახალგაზრდა რომ „დალანდა“, ფარ-ხმალი დაყარა და დიპლომატიის ან-ბანს დასჯერდა.

ჩვენში დარჩეს, „მამობილის“ მიერ დიდოსტატურად ჩახლართული ინტრი-გების აღწერა ერთ ჭკუადაძმადარ კა-ლიგრაფს ნამდვილად იმსახურებს.

ჟღალი მიმინოს შეფასება (მან უნიჭო მწერალი მიწოდა) რა მოსატანია, როცა ყველა პრემიის მფლობელმა „ცოცხალ-მა კლასიკოსმა“ არც აცია, არც აცხელა და ასი ათასი ქართველი მონამის გამირუ-ლი თავგანწირვა „დაჩოქილ უძღურთა შიშად“ მონათლა და ქართველ ერსა და მართლმადიდებლობას ლიბერასტებზე უარესი შეურაცხყოფა მიაყენა! ამ გაუ-გონარი და შეუწყნარებელი მკრეხელო-ბის ავტორის შინაგანი ბუნება იმდენად გაშიშვლდა, კომენტარი ზედმეტია!

ღმერთს ვმადლობ, მის დამქაშთა სა-ხოტბო ნიაღვარში რომ მოვსკდი! ასეა, როცა ჩურჩულს გადაჩვეული კაცი წი-ნამძღოლობას აჩემებს და ზნეობრივ ფასეულობებზე „ორიენტირებულს“ სხვების დასამდაბლებლად ლანძღვის რეფლექსი არ ღალატობს. ერის გაძლო-ლა, სხვისი პარტბილეთის ჩაბარება სწყურია და შევბნეული საქმეების გადა-ფარვის მიზნით ისტერიკას მიმართავს. ცილისწამებას ამრავლებს და „კრიტი-კულ ბრალდებას“ საკუთარ სახელსა და გვარს არ აწერს, აქაოდა, უსახელო უფ-ლისციხელის „შეუმწნეველობა“ ატარეს კვალს აურევსო!

დასასრულს ჟღალ მიმინოდ სახელ-დებულ კოლეგას შევახსენებ, რომ ქარ-თული მწერლობის მონოპოლიზების ხანა წარსულს ჩაბარდა. ყველა საკუ-თარი თავისა და შემოქმედების იმედად წარსდგეს მკითხველის წინაშე, და სი-მართლის შიშით ატანილი ყოველგვარ ეთიკურ ნორმას არ უნდა გადასცდეს – ეს, უპირველესად, მისთვისაა საზიანო, რადგან ვერავის ვერაფერს გამოაპარებ. ჩინ-მედლებზე შეყვარებულ „ცოცხალ კლასიკოსს“ ნამდვილი კლასიკოსისა და მონამის, სწორუპოვარი მამულიშვილის: მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილ გამოთქ-მას „შევაპარებ“: მართალია სამართალი ურმით დადის, მაგრამ ბოლოს დანიშნუ-ლების ადგილამდე აუცილებლად მიაღ-წევს! ■

ჩრდილები

ვფანტავ სტრიქონებს ნაწილ-ნაწილად, დავატრევ ლაგამს და უნაგირებს, ჩვენ შეგვაჩვიეს ჩრდილს პანანინას და შუქზე გასვლას აღარც ვაპირებთ...

ოცნება ჩემი დამაქვს რითმებით, როგორც აყრილი ლიანდაგები და მარადიულ ლაბირინთებში სახტად დარჩენილ ჩრდილებს დაყვები...

ვით წვიმის წვეთი ისე ვილევი, ვშრები ჭაობის გუბის ნაწილი და დამუნჯებულ, დაღლილ დილეგში, ვერ მოვუძებნე ჩრდილსაც ადგილი...

ვფანტავ სტრიქონებს ნაწილ-ნაწილად, დავატრევ ლაგამს და უნაგირებს, ჩვენ შეგვაჩვიეს ჩრდილს პანანინას და შუქზე გასვლას აღარც ვაპირებთ...

ჯარისკაცის სიმღერა

ლამეს სანგარში ვათენებ ისევ, ტაძრიდან ლოცვა მესმის – აქსიოს! მე მივეჩვიე დენთის სუნს ისე, არ მინდა ვინმემ გადამაჩვიოს...

მაშხალით ლამის მოსვლა მანიშნეს, ვდარდობ ავადმყოფ, მოხუც დედაზე და თავი მიდევეს განა ბალიშზე ტყვიით განგმირულ მოძმის ცხედარზე...

ის დღემდე თბილი იყო ძალიან: – კლდე უშიშარი, მთა უღალატო, ახლა გაცივდა, საოცარი და აღარ ძალმიძს დალილს გავათბო...

ლამეს სანგარში ვათენებ ისევ, ტაძრიდან ლოცვა მესმის – აქსიოს! მე მივეჩვიე დენთის სუნს ისე, არ მინდა ვინმემ გადამაჩვიოს...

ქუჩაა ტანგო

ერთი ვარსკვლავი მათობს და მართობს, რომ გამელიმა იგრძნო იმანაც, მე ხმელი პურიც მეყოფა სარჩოდ და პოეზიის მცირე ნირვანაც...

თურმე გზა არის არც ისე შორი, ქუჩაა ტანგო, აუ, რა ნელი, და ვცხოვრობ ასე პოეტებს შორის, ჩემი ლექსივით აუტანელი...

ხვადი მგლებივით არა ვართ მარტო, ლობე - ყორეებს კლანჭით ვეცემით, და პოეტებიც ჩვენს ციციქნა ფართობს შემოვინიშნავთ ხოლმე ლექსებით...

ოდისევსივით არ სძინავს სოფელს, ვგრძნობ ქალის სურნელს, როგორც სახსოვარს...

ნეტავი მთვარეს – ჩემს პენელოპეს, ვარსკვლავები ვინ შემოაქსოვა?

ერთი მნათობი მათობს და მართობს, რომ გამელიმა იგრძნო იმანაც, მე ხმელი პურიც მეყოფა სარჩოდ და პოეზიის მცირე ნირვანაც...

პოეტის ნიშა

გზა არის უკვე იმდენად ვიწრო, ვერავის ვუსწრებ, ვერავინ მისწრებს და ხელებს მტვრიან ჯიბეში ვინყობ, როგორც დამსხვრეულ საათის ისრებს...

მუჯღუგუნების წვიმა სადამდე?! მთელი დილაა და საღამოა ჯიბიდან ხელებს, როგორც საათებს ისევ უდაბნოს მტვერი ამოაქვთ...

ლექსს ვტოვებ, როგორც პოეტის ნიშას, ფეხის ტერფებით ვსინჯავ დაბლობებს

მზეც მიუყვება გამომწვარ ქვიშას, როგორც დაღლილი მეუდაბნოე...

გზა არის უკვე იმდენად ვიწრო, ვერავის ვუსწრებ, ვერავინ მისწრებს და ხელებს მტვრიან ჯიბეში ვინყობ, როგორც დამსხვრეულ საათის ისრებს...

უცნაური სვლები

მზე დილიდან ისევ სათევზაოდ წავა, ღრუბელი აქვს ბადედ ხელში აკეცილი,

ახლა მეტეხის კლდეც ქიმზე შემდგარ ქალაქს მტკვარში გადაკიდებს ძველი ანკესივით...

ჩქერში ჭანრის ჭერით ერთად დავიღლებით, მეც მაქვს ჩემი ხერხი, უცნაური სვლები, ეს სახლები ახლა თავის აივნებით, ანკესს გამოვავი როგორც ტივტივები...

ამ ქალაქში ლექსთან ერთად დავიბადე და მადლობის ნიშნად ცისკენ ვინვდი ხელებს, მტკვრის ჩქერებში გაშლის მზეც სულ მალე ბადეს და თბილისთან ერთად ფეხებს დაისველებს...

მზე დილიდან ისევ სათევზაოდ წავა, ღრუბელი აქვს ბადედ ხელში აკეცილი, ახლა მეტეხის კლდეც ქიმზე შემდგარ ქალაქს მტკვარში გადაკიდებს ძველი ანკესივით...



სეპარაციონ ნადირაძე

გამი

ელოდებიან ხომალდებს უკან, ზღვა კუნძულებზე ფიქრობს და შფოთავს...

გემი კი, როგორც მეკობრის რუკა ხელში უჭირავს პატარა კომპასს.

გზებს მეგობრობის შუქურად დებენ, ოცნება სად არ გაგიყოლიებს და ხელს უქნევენ უწყინარ გემებს, როგორც ზღვის გულზე გაშლილ თოლიებს...

როგორც კი ტალღას ჩაჰყვება ქვევით, და თვლას დაუნყებს ზღვისფერ თარიღებს,

კვლავ ყავარჯენზე შედგება გემი და ცალ თვალს შავი ზენრით აიხვევს ...

ელოდებიან ხომალდებს უკან, ზღვა კუნძულებზე ფიქრობს და შფოთავს...

გემი კი, როგორც მეკობრის რუკა ხელში უჭირავს პატარა კომპასს.

ბუდეებს

დედა ჩიტისთვის გამოცანას ტოტი ვერ იტევს, კვირტები მშიერ ბარტყებს გვანან, ბარტყები კვირტებს...

ბუდეებს სხივი ბუბუნა მზის ოქროსფრად ანთებს, ჩემს ხეზე დედა ბუბუნა ზრდის კვირტებს და ბარტყებს...

მე მხოლოდ სუსტი ოცნება მომაქვს, ვეცემი, ვდგები, ისევ ვეცემი, მამულის საზღვრებს ქარიშხლით ვზომავ, ხოლო სიმაღლეს წვიმის წვეთებით...




სანდრო ხალაძე

ჰერმეს ბერძნულ მითოლოგიურ პანთეონში მეტად საპასუხისმგებლო მისია აკისრია: ადამიანებამდე მიაქვს ღმერთების ნება. კაცობრიობა მითოსური მსოფლმხედველობის წიაღში, აზროვნების განვითარების პრიმიტიულ ეტაპზე გრძობდა ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართების სირთულეს და მრავალფეროვან ჰორიზონტს, მე-20 საუკუნიდან მოყოლებული კი ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიად ექსისტენციალიზმის ფარგლებში ჰერმენევტიკა ყალიბდება.


ანდრეი ტარკოვსკი იყო არამარტო რეჟისორი, არამედ ფილოსოფოსიც, რომელმაც სამყაროს კანონების თავისებური ხედვა ფილმებში განახორციელა. ჰერმენევტიკის ამ სახეცვლილებაში – კინოჰერმენევტიკაში რეჟისორი მკვლევარია და არა კვლევის ობიექტი. შესაბამისად, მისი ფილმოგრაფიის ანალიზი შესაძლებელია ტარკოვსკის ინდივიდუალური ჰერმენევტიკის წვდომით.

„სტალკერი“ ანდრეი ტარკოვსკიმ 1979 წელს გადაიღო. სიუჟეტი ვითარდება გაურკვეველ ადგილას, ზონაში, სადაც გამცილებელი სტალ-

გასმით აფიქსირებს მწყობრიდან გამოსულ სამხედრო ტექნიკას, ამა თუ იმ ყოველდღიური მოხმარების საგნებს, რომელთაც არანაირი ფასი ან დატვირთვა არა აქვთ ამ მეტაგარემოში. ზონასთან შერკინებაში ადამიანმა მარცხი განიცადა, ვერ მოახერხა მისი განადგურება ვერა საშუალებით და აკრძალულ ხილად აქცია. სწორედ ეს აკრძალვა და იდუმალეობა იზიდავს ორ სკეპტიკოსს: მწერალსა და პროფესორს და მხოლოდ სტალკერს შეუძლია ერთეუ-



ერთი სტალკერის ქრონიკა



კერი მოგზაურობს პროფესორისა და მწერლის თანხლებით. ზონაში, ამ იდუმალ და ირაციონალისტურ წარმონაქმნში, არსებობს ოთახი, სადაც ყველაზე წმინდა და ღრმა სურვილები ახდება. სტალკერი კი მიუძღვება ორ უიმედო და რწმენადაკარგულ ადამიანს.

თავად სტალკერი ტრაგიკული პერსონაჟია, რომელმაც არაერთი წელი გაატარა ციხეში აკრძალულ ზონაში მეგზურობისთვის. უფრო მეტიც, სტალკერის შვილი დაინვალიდებულია რადიაციისგან და მას უფლება არა აქვს, თავისთვის რაიმე ითხოვოს. როგორც ტარკოვსკი წერდა: „სანამ მსხვერპლშენიშნავ იარსებებს, ადამიანის არსი ცოცხალია“.

სწორედ ეს ღრმად ქრისტიანული მსოფლშეგრძნობაა არეკლილი ტარკოვსკის შემოქმედებაში. სტალკერი მსხვერპლია, ის უსისხლო მსხვერპლი, რომელიც დაშვებული არის ქრისტეს შემდგომ. ქრისტეს ჰერმესმა-სტალკერმა ექვსარსტიის საიდუმლო უნდა განახორციელოს სეკულარიზებულ და იმედგამქრალ კაცობრიობაზე. ზონა რწმენის ის ბოლო ნახევარკუთხეა, რომელიც ადგილი არა აქვს რელიგიურ დოგმატიზმსა და სქოლასტიკას. აქ პირველხარისხოვანი შინაგანი თვითანალიზი და სიმბოლოების სამყაროს აღიარებაა, რაშიც ტარკოვსკი გრიგორი სკოვოროდას გაველენას განიცდის, ეს უკანასკნელი კი სიყვარულისა და სათნოების რელიგიის ძიებამ პანთეიზმამდე მიიყვანა. ქრისტიანული მეტაფორითაა გაშუქებული სტალკერის მასწავლებლის ეპიზოდიც, რომელმაც საკუთარი ძმა დალუპა ზონაში, რათა თავად გამდიდრებულიყო. თუმცა იგივე ხვედრი ერგო, რაც იუდა ისკარიოტელს: გამდიდრების შემდეგ თავი ჩამოიხრჩო. როგორც მართებულად განმარტავს მწერლის პერსონაჟი, ის ძმის გადარჩენას ემუდარებოდა ზონას, თავი კი იმიტომ მოიკლა, რომ ერთადერთი, რისი მიღებაც შეეძლო, სიმდიდრე იყო.

ანგარიშგასანევი და სიმბოლურია ზონის იერსახეც. კინოკამერა სტატიკურია და ხაზ-

ლი ადამიანების მეგზური იყო. მთელი ფილმის განმავლობაში სტალკერი ცდილობს, დაარწმუნოს თანამგზავრები ზონის შესაძლებლობებში და ამზადებს მათ სურვილების ოთახისთვის. ტარკოვსკი არ მიმართავს არავითარ სპეციფიკს, თუმცა ყოველ კადრს დაძაბულობა და სასწაულის მოლოდინი სდევს თან.

გზა მთავრდება სურვილების ოთახთან, რომელიც ერთი დატბორილი და ტალახიანი ნანგრევია. მიუხედავად სტალკერის მონოდებისა, ინამონ, პროფესორის პერსონაჟი გადწყვეტს, აამოქმედოს პორტატული ატომური ბომბი და ზონას ბოლო მოუღოს. პროფესორსა და მწერალს ვერ წარმოუდგენიათ სასწაულის შესაძლებლობა, ტალახსა და სიბინძურეში იმ ერთ ნაბიჯსაც კი არ დგამენ, რომელიც ალთქმულ ოთახს აშორებთ. ტარკოვსკი აცოცხლებს დოსტოევსკის იდეას რწმენაზე, რომელიც არ ემყარება სასწაულს, რომელმაც დროზე ადრე გაბრუნა ბერთუხუცესი ზოსიმე და სასწაულის მომლოდინეები ეჭვში ჩააგდო. არავინ ჩაიდენს დანაშაულს პოლიციელის თვალწინ და ყველა ინამებს ხილულ სასწაულს, თუმცა ეს ვერ გახდება ინდივიდუალური მორალის საფუძველი. ქრისტემ, როგორც ჭეშმარიტმა მორწმუნემ უარყო უდაბნოში სამივე სასწაული და რწმენის რეგულატორად სინდისი დაანესა. მწერლის პერსონაჟი კი იმეორებს დიდი მწერლის აკუტაგავას სიტყვებს: „მე არ მაქვს სინდისი, მე მხოლოდ წერვები მაქვს“. სასწაულსა და პერსონაჟი აღნიშნავს, როგორ ცდილობდა მკითხველის გადაკეთებას, არადა, მათ გადააკეთეს ის თავის ხატად და მსგავსად. ხოლო ტარკოვსკი მთელი ფილმის განმავლობაში მაყურებელს ამყოფებს სასწაულის მოლოდინში, რომელიც არ ხდება და სუბიექტს თავად უწევს არჩევანის გაკეთება სინდისსა და წერვებს შორის.

ფილმის დასასრულს საბრალო და შემინებული სტალკერი ცრემლმორეული ითხოვს, არ გაანადგურონ ზონა, რადგან ეს მისი ერთადერთი თავშესაფარი და ნუგეშია. მხოლოდ ამ გარემოში გრძობს თავს მშვიდად და ევედრება მას და მისნაირებს, ნუ მოუკლავენ უკანასკნელ იმედს. საბოლოოდ კი პროფესორის პერსონაჟი მიიჩნევს, რომ ზონას არავითარი სასწაულმოქმედი ძალა არ გააჩნია და ბომბს წყალში მოისვრის. სწორედ აქ ხდება „სასწაული“ – გადაგებული ბომბიდან რადიოაქტიური სითხე გაჟონავს წყალში, რომელიც ვერ კლავს იქვე მცურავ თევზს და მთელი წყლის ზედაპირზე იდობება. თევზი კი ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნება როგორც: იესო ქრისტე ძე ღვთისა მსხენელი.

ზოგიერთი კინოკრიტიკოსის აზრით, „სტალკერი“ სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნება, მე კი მიმაჩნია, რომ ის წმინდა წყლის მისტერიაა. მისტერია, რომლის ბოლო ეპიზოდშიც ჩანს, როგორ მისტიკის სტალკერი რწმენის ორგანოების ატროფიას და ჟღერს მეცხრე სიმფონიის ფინალი შილერის ლიბრეტოზე. ■

ქართული და აზნაული ხალხის ურთიერთობა

ბორის ლავიტაია

ფრანგ სწავლულს, ბლეზ პასკალს აქვს ასეთი ფრაზა: „რაც უფრო ჭკვიანია კაცი, მით უფრო თავისებურებებსა და მრავალფეროვნებას პოულობს მოყვასთა შორის“. სწორედ ეს შეგრძნება მეუფლება ახლა, როცა დიდ შემოქმედზე ქართველი ხალხის უსაყვარლეს მწერალსა და მთარგმნელზე, ჯემალ აჯიაშვილზე ვფიქრობ. დასაბამია, რომ იგი ფიზიკურად ჩვენთან არ არის, მაგრამ დარჩა სულიერი ნალღვანი, რასაც თვალისჩინივით ვუფრთხილდებით.

იგი იყო ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის სიმბოლო: ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი. მის გარეშე ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ ყოფას ბევრი რამ დააკლდებოდა.

ჯემალ აჯიაშვილი სამეგრელოს შუაგულში – სენაკში დაიბადა, აკაკი ხორავას, გიორგი ჭალაღიდელის, შალვა დადიანისა და ვალერიან გუნიას აღმზრდელ ქალაქში. საქართველოს უახლოესი ისტორიის გმირის, ჟიული შარტავას თანაკლასელი იყო.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამტავრების შემდეგ იგი გაემგზავრა ირანში, სადაც სამი წელი ცხოვრობდა და მუშაობდა ისპაჰანსა და თეირანში. სწორედ იქ ეზიარა ძველადმოსავლურ კლასიკურ პოეზიას, თუმცა ლექსების თარგმნა ჯერ კიდევ სტუდენტობის ჟამს სცადა და წარმატებითაც.

ყველაზე დიდი წარმატება ებრაელი პოეტების, შუა საუკუნეების პოეზიის ბრწყინვალე თარგმანებმა მოუტანა.

ასევე უზადოდ თარგმნა ძველგვიგობური საგალობლები, დავით მეფის ფსალმუნები. დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს სონეტები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტორსო დე მოლიანას, კარლო გოცის დრამატული პოემები, რილკეს, ნელი ზაქსის, მაიაკოვსკის, პასტერნაკისა და სხვათა შემოქმედებითი ნაღვანი.

იგი ბრწყინვალედ ფლობდა ძველებრაულსა და შესანიშნავად იცოდა ქართულიც. სხვანაირად იგი მაღალ დონეზე ვერ თარგმნიდა მსოფლიო შედეგებს.



როცა ჰკითხეს, ლექსიკონების მეშვეობით ხომ არ თარგმნიით, ბატონმა ჯემალმა უპასუხა: ლექსიკონებით შეკონინებული თარგმანს, ბოდიში მომიხდია, ნაფტალინის სუნი ასდის. ძველი ქართული რაბინმა „ბიბლიასთან“ ერთად მასწავლაო.

შესანიშნავად გრძობდა რიტმს. მის შემოქმედებას სდევდა ქართული პოეზიის დამატყვევებელი სურნელი, ქართული სიტყვის ჰაეროვნება, მზე და სინათლე.

მისი თარგმანების თითოეული სტროფი ჟღერადი და ორიგინალურთან ერთობ მიახლოებულია.

არასდროს უთქვამს, რომ საქართველო მისი მეორე სამშობლოა – მან ხომ დედის რძესთან ერთად შეითვისა ქართული და მეგრული, ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიის სამშობლოს ჭეშმარიტ ღირებულებებს, რაც მთელი ცხოვრება გახდა მისი სულიერი თანმდევი და გრძობათა და ფიქრთა გამომხატველი.

მან იტვირთა დიდი მისია: ქართველი მკითხველისთვის გაცნო კლასიკური ებრაული პოეზია და არა მხოლოდ ებრაული შედეგები. გრძობდა ორი ხალხის სულიერი და ინტელექტუალურ სიახლოვეს. გრძობდა და დაულავლავად იღვწოდა, ფრთები შეესხა არა საკუთარი გატაცებისთვის, არამედ მოვალეობამდე გათავისებული მოწოდებისთვის.

ვარ მონანილე და დღემდე სასიამოვნო მოგონებად მრება ის შეხვედრა, რომელიც მწერალთა სახლში მოუწყეს ბატონ ჯემალს დაბადებიდან მე-60 წლისთავზე. მაშინ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა ფენის წარმომადგენელი ერთხმად აღნიშნავდა ბატონი ჯემალის დიდნიჭიერებასა და იმ ღვანლს, რაც მან დასდო მთარგმნელობით ხელოვნებას. მომეცა საშუალება, მივსალმებოდი მისი მშობლიური კუთხის სახელით.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სამახსოვრო სურათი გადავიღეთ მის მეუღლესა და პოეტ ბიეტა აბშილავასთან ერთად, რომელსაც ვთავაზობ მკითხველს.

ბოლო წლები ჯემალს საქართველოში არ უცხოვროვია, თუმცა სულიერი კავშირი არასდროს გაუწყვეტია. იგი არ დაავიწყდება მათ, ვინც იცნობდა, ვისაც მისი შემოქმედების სიღრმე უგრძნია, მისი თავმდაბლობით მოხიბლულია. ■

მღოვანის მარცვლები

ვინ იცის, რამდენჯერ მომიწყვიტავს მკერდიდან სიჩუმე და მიმისვენებია სუსტი ტერფების ჩრდილში –

ვინ იცის, როგორ შიშინებენ ქარში შვრიის ღეროები, მოლუშულები და მწყურვალეები

და ეს თითები ვინ იცის – თეთრი ფუნჯები შემონყობილი გაბზარულ ნიჟარებზე

დედაჩემი ისაა, ვინც თოფის ლულაში ამოზარდა ჩვილი ყვავილები – მწვანე ღვივები და ცრემლით რწყავდა.

იქნებ ამ კორიდორში – ყვითელი მოლალური შემოფრინდეს და გასასვლელი ველარ იპოვოს

სალამოს ლოცვა

ეს ის ქარია, მე რო წამილო, მერე იქიდან ჩემით დავბრუნდი - ჩემს სამშობლოში, ჩემს ქალაქში, ჩემს ქუჩაზე, ჩემს კორპუსთან, მეოთხე სართულზე, დავდექი ჩემი სახლის კართან და ამ უკანასკნელს შევუძახე: „სეზამ გაიღე, სეზამ გაიღე, სეზამ გაიღე ბოლოს და ბოლოს“ მერე დედაჩემმა გამიღო კარი –

დედაჩემს არ გაკვირვებია ჩემი თითები, რომლებიც ჰგავდნენ რკინის პინტუსებს, ნახევრად დაუანგულეებს. დედაჩემს არ გაკვირვებია ჩემი თმა, რომლის თითო ღერზე, თითო ოკეანიდი იჯდა, დედაჩემს არ გაკვირვებია ჩემი თვალეები, რომლებიც ცხელი ოლიფით დამენვა და აგონიურად დუღდა ჯერ კიდევ, როგორც – მივიწყებული ჩაიდანის გაზის ქურაზე, დედაჩემს არ გაკვირვებია ჩემი ფეხსაცმლები, რომლებიც ამომეთხვარა გუდრონში, დედაჩემს არ გაკვირვებია გუდრონში ამოთხვრილი ქარიტებიც, რომლებიც გამალებით ეძებდნენ თასმებს, რათა შეეზინათ ისინი ჩემთვის და გადავრჩენილიყავი ძვლების დაჩეჩქვას ნაბორძიკების შემთხვევაში...

დედაჩემს სულაც არ გაკვირვებია, მკვდარი მამაჩემი, რომელიც საკვამურიდან ჩამოცოცდა გაჭვარტლული და თქვა ესე: „მე ვარ სანტა, გილოცავთ ახალ წელს“ მე კი ძალიან გამიკვირდა... დედაჩემს არ გაკვირვებია ჩემი გულმკერდი, რომელიც იყო სპილენძისა და ქრომალის და რომელიც – ხავსებით იყო შემორკალული, და რომელიც – ჭრიალებდა და ნერვებს მიშლიდა მე...

დედაჩემს არ მოუტანია ჩემთვის ვამელანის და მექსიდოლი დასამშვიდებლად. დედაჩემს არ გაკვირვებია, როცა იქვე იატაკზე წამოვგორდი და წითელი იატაკი ქოქოსისფრად შეიღებდა... დედაჩემს არ გაკვირვებია,

როცა ვალებინე – და ჩემი პირიდან გადმოვარდა თხუთმეტიანი კლუჩი (ჩემი ველოსიპედის მამველი)...

დედაჩემს არც ის გაკვირვებია, როგორ ვიდექი ხატების წინ და როგორ ვჩურჩულდებოდი ასე: „ქარი დაბრუნდეს, ქარი დაბრუნდეს, ქარი დაბრუნდეს – დაბრუნდეს ქარი“

მადლობა

ჩემი მშობლები ზღვის ფსკერზე ცხოვრობენ. მე და ბაბუაჩემმა მათი სხეული ხის ყვითელ ნაგს გაავაყოლეთ დაბინდებისას

როგორც მზე იკარგება ზღვაში აი, ისე დაგვეკარგა ყვითელი ნავი.

ვიჯექი ნაპირზე და ვხედავდი – როგორ იპოხებოდა სიკვდილის ღვინით ბაბუაჩემის ქვევრებივით ღრმა თვალეები.

დედაჩემის თბილი ბალიში – მამაჩემის მკვდარი მკერდია

და მამაჩემის მკვდარი მკერდია რკინის გალია, სადაც მოემწყვდა დედაჩემის სიცოცხლის ჩიტი

ჩემი მშობლები ზღვის ფსკერზე ცხოვრობენ. მათ აღარ ესმით ჩემი სიმღერა - ძილის წინ, რომ ვლიღინებ ხოლმე.

ტრაქტატი (5)

(დასასრული)

ამ ერთ ლექსში მე და შენ – ერთად ვიქნებით.

რა საჭიროა – ისედაც სუსტ ხელისგულებზე ტაციტები ავიყვავილო ხარბი ფუტკრების გამოსაძლობად.

იქნებ ჯობია, ვაძლიო მათ მუქი სისხლი ხელის მტევანში გამავალი არხებიდან – რომ გაძლენ, რომ გაჩუმდნენ.


წითელი სიჩუმეა ჩემში – ლავის გუნდებს ვკრეფ ყვავილებივით, რომ ჩემი მკერდის ღრმა ქანებში ჩავრგო ისინი

რა საჭიროა – იყო შემწყნარებელი ?!

შეინყნარო ყოველი გემი, რომელიც შენს ზურგზე მიცურავს ასეთ დროს უბრალოდ უნდა ამოტრიალდე –

ახედო ცას მალინისფერ ორთქლში, თოლიები გზას მიიკვლევენ.

რა საჭიროა – არსებობდეს შიმშილი თუ მე და შენ შორის საზღვარი, მხოლოდ შენი მხრების



ბექა ყორშია

მრუდე თხემებზე გადის ალბათ, არ არსებობს სული – შაქარყინული, რადგან ბაბუაჩემისავე ფაფუკი, მხოლოდ შენი რბილი ტერფები შეიძლება იყოს.

რა საჭიროა – ავდგე და თავი მოვიკლა შენი სახლის წინ – ვარდებით ხელში – რა ბანალურია ! მე ასეთ სიკვდილს არ ვიმსახურებ.

მე ვარ looser-ი კოსმონავტი! საჰაერო ხომალდის კაბინაში უნდა ავფეთქებულიყავი – მე ვარ looser-ი კოსმონავტი! ახლა სკაფანდრმოცმული დავხეტები ამ ჭუჭყიანი ქალაქის ქუჩებში – დავექებ უჰაერო, რადიაციულ მღვიმეებს – ვინძლო, ობობის ქსელში გაბმულ სიტყვებს ხელით შევეხო – დეციმეტრებში გავზომო მათი სიშორე – თუ რა მანძილთ სცილდებიან ერთმანეთს სიტყვები: „სიყვარული“ და „სიძულვილი“ გავათავისუფლო ისინი ფუჭი სოფიზმისგან – რა სისულელეა! მე ვარ looser-ი კოსმონავტი – და თავს უნიჭოდ ვიმართლებ!

უბრალოდ მინდოდა – ამ ერთ ლექსში მაინც ვყოფილიყავით ერთად – ჩანს ვერ შევეძელი...

მკვდარი (ციკლიდან: ფირები)

მე იქ ვიყავი და კარგად მახსოვს – თუ, როგორ ჩამოაფარეს კაცებმა ფარდები და სარკმლებს იქით დატოვეს თოჯინები ქუჩური წარწერით: ისმაილ, კალე...

რომ გაგეხედა კედლის ღრიჭოდან ნახავდი ბავშვებს და კიდევ ქალებს, მათი ტერფები - სუსტი ტოტები გადაფხრენილი ცისფერ ნავეებზე.

ხიმსანის მტვერი ქალის ჰიჯაბზე – შემონაყარი თავშლის მლილია ჩადგმული მუხლი კი წითელ ქვიშაში – გამორიყული თევზი ნაპირზე...

იდგნენ სახლები – მარჯნის რიფები, შიშველი მკერდი – წყლიანი უბე, ჩახსნილი ძარღვი ხმელი ხეების, ერთ დროს უდაბნოს ღვთიური შუბლი.

მე იქ ვიყავი და თვალწინ მიდგას პატარა ბავშვი სწეულ დედამისს, როგორ ეხება თმაზე ხელებით...

ასეთ პატარა ქართულ მიწაზე

(ბაზალეთის ძმათა ომის გამო)

ჭეშმარიტება ერთადერთია, მისი მდევარი შავი შურია. სიყვარული კი თვითონ ღმერთია და სიძულვილი სატანურია. ღმერთის წილხვედრი გერგო მამული, წმინდა გიორგის გედგეს ხატება... ღვთისმშობელი და სხვა სასწაული ყველა სინმინდეს აღმატება. გყავდეს დავითი, გყავდეს თამარი, გიორგი მეფე, ერეკლე მეფე და არ იცოდე, რაა მთავარი ანდა ძაღლები რაისთვის გყეფენ. ფეხს წამოიკრავ თუ არ ინამე დაუსაბამო ბედის ხატება. ასეთ პატარა ქართულ მიწაზე(!) ამხელა ვნება როგორ ეტევა... ამხელა შური და სიბრაღული სიყვარული და მტრობა ამხელა, გრძნობა ცხოველი, თანაც ფარული, ცოდვის მალვა და მინც გამხელა. როგორ ეტევა კდემა ქალური და ცხოველური მასზე შეტევა. ამხელა მტრობა და სიყვარული(!) ორივე ერთად როგორ ეტევა?! საოცარია ჩემი ქვეყანა, რასაც გაყინავს თვითონვე ალხობს. „კეთილი ხანა“ და „ცუდი ხანა“ ეს ყველაფერი ჩვენა ვართ, ხალხო!

მოვატიჟება გალაქტიკიდან...

მარსი თუ ვენერა, მერკური, მთვარე, მზე, იუპიტერი, სატურნი, ურანი სახლში მოვიწვიე, შევწირე ცხვარი, ვულხინე, ვუკითხე ბიბლია, ყურანი, მაგრამ ჩამოხნელდა, დაიწყო ქაოსი, და გალაქტიკიდან მოისმა ქადილი: დაბრუნდით, თუ გინდათ პლანეტის ტაროსი, თუ გინდათ მსოფლიო წესრიგი ნამდვილი. რა ვქნა, შეველიე სტუმარ პლანეტებს, გავეშვი, გაფრინდენ ვით ჩიტი მარჩილო. ღმერთმანი, ნამდვილად არაფერს ვამეტებ, ყველაა თავთავის ადგილას საჭირო.

არ გააღვიძო სტიქიონები

ცივი გულით და ცივი გონებით თუკი სურვილმა ისევე იძლია, არ გააღვიძო სტიქიონები, თუ მათი მართვა არ შეგიძლია. პლანეტას ჩვენსას გულს აუჩქარებს, პულსს აუჩქარებს ვულკანი მძაფრი, ქარბორბალა რომ ჩამოსხნის კარებს, კატამარანი გაქრება აფრით. მიწისძვრა მოსდებს იღეთებს ახალს და აერევა პლანეტას ფეხი. სიმწვანეს თავში ჩაარტყამს ლახვარს, ცეცხლს გააჭენებს ელვა და მეხი.



წყალდიდობები აივლის კიბეს და დაბრძანდება ტახტზე მალულად. ყველა მოსავალს მოახვევს ჯიბეს და ხეობებიც იწყებს წაღებას. ვერ შეაჩერებ! ვერ წვდები ყელში, ვერას დააკლებ იმათგან ვერც ერთს. ჯადო კვერთხიც რომ ეჭიროს ხელში, ვერვინ შეასმენს ვერც კაცს და ვერც ღმერთს, ცივი გულით და ცივი გონებით, თუკი სურვილმა ისევე იძლია, არ გააღვიძო სტიქიონები, თუ მათი მართვა არ შეგიძლია!

ტაძარში

შეველ ტაძარში, ყველა ხატის წინ, ყველა შანდალზე სანთელი ენთო. დავეშვი მუხლზე, ჩუმაღ ვილოცე, - ალილუია, დიდება, ღმერთო. ხატებზე იდგა რწმენის ნათელი, ფრთებს შლიდა სული და ანგელოსი. დღეს სად დავანთო წმინდა სანთელი, სად არის ხატი საქართველოსი. უმალ ჩამესმა ხმა იდუმალი და მერე სიტყვაც ველარ დავძარი. სამშობლოს ხატი არის უფალი, რწმენის დვრიტა და რწმენის ტაძარი. დიდება უფალს! ვემთხვიე ხატებს და დავდგი ყველგან თითო კერონი აქ ყველაფერი ძალ-ღონეს მმატებს და მეშხურება სულში მირონი, რადგან „ხატია ჩემი სამშობლო“ დიდი „სახატე – მთელი ქვეყანა“ ლუხუში შედგა ლაშარის გორზე, დიდების მზე რომ ამოეყვანა.

დავადგი ფეხი

(შავებს) ბევრს დავაგლიჯე სამხრეები ყურებთან ერთად, ელვის უსწრაფეს მივამსხვრიე ელვა და მეხი. ძალმოსილებით ვინც მიაჩნდათ ლომად და ღმერთად, ნამოვაქციე და ზედ გულზე დავადგი ფეხი. სულ ვამწვიტინე, როგორც გოჭი თვალწინ ყასაბის, რომლის ხელებშიც ალესილი დანები ჩანდა. ვირის ბაგაზე საიმედოდ იგი დავაბი და ვირი იგი მივუყენე უკანა ტანთან!..

წნეხი

ნისლები ედო მინდვრის ყვავილებს, თითქოსდა გულზე დაადგეს ფეხი. მე უნებურად გულში გავივლე, რომ ყვავილების ეს იყო წნეხი. წნეხი! –

ჯიქალ ჯიქალი

სურვილის ძალით გატანა და თავსმოხვევა პირადი ნების. წნეხი! – ეს არის შავი სატანა, უბედურების და დანანების.

ხამს გაფრთხილება იმისა

ვინც არის ჭკუათმყოფელი, დროზე მიიღოს რგებული, „თორემ წაგვივა სოფელი, ასე არს გარიგებული“. წაგვივა, წარიტანება მისი ეშხი და ლაზათი, დაგვიბრძანდება თავნება დრონი სერესმთა ხალათით. აღარც სოფლისა დიდება, არც სუნთქვა ოქროს წვიმისა. რაც ფულით არ იყიდება, ხამს გაფრთხილება იმისა.

კოლხეთი

ქარს ვერ აკავებს ფაცხა დაწნული, კრთება ასული ესოდენ კოხტა, ფიქრობს კოლხეთი სილაგანწული, რაც მოხდა, იგი რაისთვის მოხდა. რად გადათელეს ჯინის კარეტიტ მხარე, ხმობილი ხილულ ედემად, რად აამღვრიეს სული აიეტის, რატომ შეაჭრეს თმები მედეას. საფიცარ კოლხეთს, – ნატიფ პატარძალს რატომ უბოძეს ტალახის გუნდა. ეს ვინ გატრუსა, დასწვა, გულანძა ძველი მითების ზღაპრული გუდა. ვაი თუ იყო ზოგიც მარგალი „ოდოიას“ და „ნანას“ ჩამხშობი. ვინც ჩაუქცია სოფელს სამკალი, ვინაც სატანის იყო ნაშობი. ... გაითბე გული, დიდო კოლხეთო, და, რაც შენა ხარ, ისევე იმ ედემს უნდა მიხედო! უნდა მიხედო მშვენიერ ცირებს, მითებს, იმედებს.

ციკლიდან – სამოქალაქო ლირიკა

ქართველ ჯარისკაცებს საკვირველება დღიდან გაჩენის მოგვდევს მავანთა საგმო-საქებად. ჩვენ სამშობლო გვაქვს გადასარჩენი და ავღანეთში რა გვესაქმება?! სამშობლოს ორი მკლავი მოაჭრეს, მიტომ იცვალა ფერი განგებამ. იმ მავანს ხალხის ბედით მოვაჭრეს, – იქ, ავღანეთში რა გვესაქმება. სხვამ რიმ დააქოს, თავს ურჩევნია და ეს დაქება ძვირად გვიჯდება. მთავარი რომ ვერ გაურჩევია ძარღვებში სისხლი მიტომ გვიშრება. ჩვენ სამშობლო გვაქვს გადასარჩენი და გულში ცეცხლი მიტომ არ ქრება. მომავალი გვაქვს გადასარჩენი და ავღანეთში რა გვესაქმება?! ასე ჰგონია, რაც გვინატრია, სხვათა ომებით იგი ახდება. ქვეყანა ასეთ ბედოვლათობით დაეცემა და გაპარტახდება. არა და არა! დღიდან გაჩენის ვინ გაიმეტა ხალხი ამქრებად?! მომავალი გვაქვს გადასარჩენი და ავღანეთში რა გვესაქმება?!

მონღოლებისაგან დევნილ თურქ-მან ჯალ-ალ-ედინს ქართველთა სისხლი მოსწყურებოდა. საუკუნოვანი უძლეველობა და წინა აზიაში მათი პირველობა აღიზანებდა. ყველა მუსლიმანს მოუწონდა იარაღი აეღო ქრისტიანთა წინააღმდეგ.

საქართველოს დასაპყრობად საღვთო ომი გამოაცხადა, დაიძრა მთელი მუსლიმანური სამყარო. ადიდებულ მდინარესავით მოდიოდა და სიკვდილს თესავდა.

ხალხი შემოსულ მტერს თავგანწირვით ებრძოდა. დამპყრობელმა ქართველთა ცხოვრების წესი რომ ნახა (თავად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა), იშვიათი გემოვნებითა და შრომით გამშვენიერებული მიდამო, სახლ-კარი, შეიხივით ნახარდი ზერები, ბალები, მომხიბვლელი ქალ-ვაჟები, მათი სილამე, სიმამაცე, ხალხის გმირული სული, თავისუფლების სიყვარული, ბოლმა მოერია, შურმა დაახრჩო. სიძულვილი გაუმძაფრდა, გაცოფდა.

თბილისი ღალატით აიღო, გაძარცვა, ააოხრა, ქვეყნიდან საუკუნეებით დაგროვილი განძი, ოქრო-ვერცხლი გაზიდა. სიონის ტაძარს გუმბათი ახადა. უგუმბათოდ დარჩენილ ტაძარს კედლებს, რაღაც უმსგავსო, სასაცილო ტახტი დაადგა, ზედ მორთბით დაჯდა, იქიდან იძლეოდა ბრძანებებს და ხალხის უძლურებით ტყებობდა.

ერთ დღით მის მხედრთა გონებას ამპარტავნული აზრი შემოენთო, სახე ავის-მომასწავებელმა ღიმილმა დაუხერა. ტაძრის თავზე, ტახტზე მჯდარმა დონჯემორტყემით ბრძანა, ისინი ხიდან მთელი ქალაქის მოსახლეობისათვის თავი მოეყარათ.

საყვირის ხმამ ააფორიაქა ქალაქი: ციხის მოედანი, კლდის უბანი, კალა, შურის, თაბორის, კოშკის მიმდებარე ქუჩები, აბანოთუბანი და ოქრომჭედლებისა.

შიშმა მოიცვა ხალხი, – ნეტავი რატომ გვიხმობსო, – გაისმოდა შემამოფოთებელი შეძახილ-გადაძახილები. მაცნეები თავ-ქუდმოგლეჯილები დარბოდნენ ქუჩებში, გაჰყვიროდნენ მბრძანებლის სურვილს და ცხვრის ფარასავით მიერეკებოდნენ ავი წინათგრძობით დაზაფრულ ხალხს.

ხიდან აუარებელი ხალხი მოგროვდა, ტაძრის თავზე საშაროდ გალაჯულ ჯალალ-ედ-დინს გულისცხვრით, შემოფოთებით შეამტერდნენ, მათ ირგვლივ მტრის მსტოვრები ქოფაკებით ტრიალებდნენ.

ჯალალ-ედ-დინმა ხალხს გესლიანი ღიმილით გადმოხედა, მერე თავის მსახურთა ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი გამოატანინა და ხიდე პირაღმა დაადებინა. ბრძანა, რიგრიგობით მოეყვანათ ქრისტიანები და დედაღვთისას ხატის ნაბილწვა დაეძალებინათ, ხოლო ვინც არ დაემორჩილებოდა, თავი მოეკვეთათ. მოედანზე მოჯარული ხალხი, თითქოს ქარბორბალამ გადაუარაო, შეტორტმანდა, გმინვა აღმოხდა. მერე საშინელი, გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოხვდა. ქანდაკებასავით გაშეშდნენ. სუნთქვა შეეკრა. ყველას სასონარეკვეთა. ირგვლივ ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა, ადვილად გაიგებდი მოფარფარე პეპლების ფრთების შრიალს.

ერთმა თურქმა ხელისკვრით ხიდე თეთრწვერა მოხუცი შეაგდო, ხატისკენ უბიძგა, ხმალი მოუღერა და დამტვრეული ქართულით შეუძახა: – დააფურთხე! დააფურთხე!!!

ბერიკაცი ფრთამოტყვილი ჩიტივით ერთ ადგილზე გათანგული იდგა. გატანჯულ სახეზე უმწეო ღიმილი აუთამამდა. ზეცას ისე ახედა, თითქოს იქ უფალს ხედავდა. პირჯვარი გადაიწერა, ყრუოლისმომგვრელი კენჭა აღმოხდა, ხატს გვერდი აუარა და მდინარისკენ შეტრიალდა... მოქნეულმა ხმალმა თავი ტანს მოსწყვიტა. ხალხმა ამოიგმინა, ატყდა ჩორჩოლი. დედაკაცები მუხლებზე იცემდნენ ხელებს. ჩურჩულითა და ვაი-ვიშით მოელოდნენ ახალ მსხვერპლს. ხმადაბლა ლოცულობდნენ.

მტკვარზე მწუხრის ღრუბელი ჩამოწვა. ხალხს ღვთისა და ქვეყნის სიყვარული ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, მათთვის ჯვარი და ხატი ამქვეყნად ყველაფე-

რი იყო. ზოგს სიცოცხლე არ ეთმობოდა. ტკბილი იყო ამვეყნად ყოფნა. ქედუდრეკნიც ბევრი იყვნენ, შეჭირვებულები, მაგრამ ამაყნი, მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდათ, ბედს შეგუებულნი, შემადრწუნებელ წუთს ელოდნენ.

ხალხში ერთი ნინველი ბიჭი იდგა და თავზარდაცემული გაჰყურებდა ხიდე

ერთ მუჭად შეჰკრა გათანგულები. ხიდე მყოფნი მხნედ დაიძრნენ. მათი თვალბიდან გაბრწყინებული სული ანათებდა. სხეულსა და სულში შიში გაჰქრობოდათ. პირზე ღიმილმომდგარნი, მორჩილად ეგებებოდნენ სიკვდილს. ეს იყო ჩუმი ამბოხი და დიდებული, მაგრამ ზარდამცემი სანახაობა.

ამბავი ერთი ბიჭისა

ზვარაკად მირეკილ ბერებს. ქალაქს მთაზე შეფენილი სოფელი გადმოჰყურებდა და იქიდან ჩამოდიოდა ხოლმე. „მოლაპარაკე“ ჩიტებს ჰყიდა. ამ დღითაც ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ მოდიოდა, დღევანეაპირებდა უკან გაბრუნებას, მაგრამ არ დასცალდა.

პირველად ნახა ადამიანის პირუტყვივით დამდაბლება, რისთვისაც ყური კი მოეკრა, მაგრამ, საღაც შორს, დასაღიერში, არამქვეყნიურში ეგულივოდა.

შემზარავი სურათის დამნახველს უნდოდა ყვირილით ცა და მიწა შეეძრა, მაგრამ გულს ის უკლავდა, რომ უძლური იყო. მიუსაფარ და პანანკინტელა არსებდა გრძობდა თავს. ახლა ღმერთიც კი ვერ დაამშვიდებდა მის აფორიაქებულ, ჩანჩხლულ სულს. ვერაფრით ჩაეკლა გულში უსუსურობის განცდა. ენით აუნერელი, შემზარავი სანახაობით აკანკალებულმა გულზე ხელი დაიდო. უცებ, უბეში რაღაც გაფაჩუნდა, გაახსენდა, ახალუხის უბეში თავისი გამოზრდილი შოშია და კაჭკაჭი რომ ჰყავდა. კეთილი არსებების სიახლოვით გამოწვეულმა ნამიერმა სიხარულმა და სითბომ დაუარა სხეულში. მოფერების სიტყვები წაიღულღულდა. გვერდით მდგარმა მამაკაცმა იდაყვი ნაჰკრა, რა დროს ეგ არისო.

ბიჭი გონს მოეგო, სასაკლაოს გახედა. ხიდე ხელის კვრით შემოყარეს ტაძრიდან გამოძევებული სამღვდელი. ბიჭის გვერდით ახალგაზრდა ქალმა მალულად პირჯვარი გადაიწერა და ჩაიჩურჩულა: – ღმერთო მოწყალო, შენ ხარ გზა ჭკმ-მარტებისა, მოგვეცი ყველას ძალა და გამბედაობა...

სამღვდელით მღვდელმთავარი მიუძღოდა. მის მოჩვენებით სიმშვიდეში ენით გამოუთქმელი მწუხარება და სევდა იმალებოდა. მოაბიჯებდა მაღალი, გამხდარი, მკერდზე დაფენილი თეთრი წვერით. ზეცისკენ თავანუული ელოდა თავის რიგს.

ბიჭმა ისევ იგრძნო მკერდთან ფრთხილი და უცებ, მის თავში ელვასავით ერთმა აზრმა გაიკვესა, ზვავივით მოასკდა გონებას და სურვილის ასრულებად იქცა. უბიძგა ჯერ კაჭკაჭი ამოიყვანა, რაღაც ჩასჩურჩულა და ჰაერში ააფრინა. ჩიტმა ნასწავლი სიტყვების ჭიკჭიკ-რატრატით ხალხს შემოუფრინა, ხიდეც შეინავარდა და სამღვდელივით დამარცვლით ჩასძახა: „სი-კვდი-ლი-თა, სი-კვდი-ლისა დამორგე-ვე-ლი!“ – ფრენდა და გამუდმებით ამ სიტყვებს მარცვლავდა.

ახლა შოშიას ჩაუდღინა ბიჭმა და გაუშვა. ისიც კაჭკაჭს აჰყვა ფრენაში და ბიჭისგან ნასწავლ საგალობელს უსტვენდა. ხალხი თავიდან ვერაფერს მიხვდა. თვალის უხალისოდ გააყოლეს ჩიტებს. მაშინდა გამოფხიზლდნენ, როცა ზეცა კაჭკაჭებისა და შოშიების გაუნდა დაფარა. ისინიც ბიჭის გამოზრდილი, სოფლიდან ჩამოყვანილი, გაყიდული ფრინველები იყვნენ და ბიჭის უბიდან ამოფრენილებთან მიფრინდნენ, გალობაში აჰყვნენ.

ხალხს ჰანგი ეცნო, ეს საეკლესიო გალობაო, გაიხარეს და სენება იქცნენ. ყველამ ერთი და იგივე გაიფიქრა: „სასწავლებლები მარტო ზეცაში კი არა, მიწაზეც ხდება“. ხიდეც მყოფ განწირულებს სახეზე ნათელი დაეფინათ, ტანჯული სახეები დაეწმინდათ, ბეჭებში გაიშალნენ, თავი მაღლა ასწიეს და ჩიტებს ჯერ ჩუმად, ნელ-ნელა, მერე ხმამაღლა აჰყვნენ და ნაღვლით შეფერილი საგალობელი მიდამოს მოჰფინეს. ბაგიდან-ბაგეზე დაფრინავდა საგალობლის სიტყვები,

გუგული ტობონიძე



გამოჰყურებო“ – გაიფიქრა ბიჭმა და ის იყო ტყვიდან უნდა გამოსულიყო, რომ მოულოდნელად წინ აზვარასხული მეომარი გადაუდგა.

– ვინ ხარ? – შემოფოთებით იკითხა ბიჭმა.

– იყუჩე ბალო, არაფერს გერჩი, მტერი რომ არ ვარ, არ მეტყობა? – იყო პასუხი, – წამომეყვი, ყველაფერს აგისხნი. ბიჭი ხმისამოულებლად გაჰყვა. მალე, მთვარით განათებულ ტყეში ნაკაფ ადგილზე წამომართული კარავი და მის ახლოს შეკაზმული ცხენები შეამჩნია: „მეფეს ზოგიერთმა თავადმა უღალატა, ზოგიც განზე გადგა, ნეტავი ესენი...“ – ფიქრი ვერ დაასრულა. კარვის კალთა ასწიეს და ბიჭს შიგ შეუძღვენენ. კვარის შუქზე ახოვანი, წარმოსადგევი იერის კაცი შენიშნა. იგი საომრად იყო მოსილი.

ბიჭი გუმანით მიხვდა, კაცი დიდგვაროვანი იყო. მან დაბნეულ ბიჭს ახლოს მოდიო, ხელით ანიშნა და დაკვირვებით აათვალი-ჩათვალიერა, სახეზე დარდი და ნაღველი რომ შენიშნა, აღერის ჰკითხა: – საიდან მოდიხარ, ან საით მიდიხარ მარტოდმარტო, ამ გაუსაძლის, არეულ დროში?

ბიჭი მისმა მშვიდმა და ნათელმა მზერამ დაანყნარა. დაკვირვებით შეაცქერდა და დიდებულს. მის სახეს უცნაური შუქი დაჰფენოდა, სულის ნათელი ალამაზებდა. მისმა გარეგნობამ და სახემ სითამამე შეჰმატა. მორიდებით კითხვითვე მიმართა:

– თავად ვინ ხარ? მეფის ერთგული თუ?..

გაეცინა კაცს: – ავაზაკს ვგავარ?! ბიჭი დაბნა. თავი ჩალუნა, მისთვის თვალის გასწორება გაუჭირდა. წინაპართა ნაქებ ზრდილობას ვერ უღალატა. მამაპაპურ რაინდულ ჩვევას იყო ნაზიარები. დიდებულის წინ მუხლი მოიყარა და ესლა თქვა: – ქალაქიდან მოვდივარ, აქაური ვარ.

დიდებულმა ბიჭს აღერისთ თავზე ხელი გადაუსვა. მერე მკლავზე მოჰკიდა და წამოაყენა.

– ქალაქში ყოფილხარ, იქაური ამბები მომიყვი. შევიტყვე, ისეთი რამ მომხდარა!.. ნეტავი ის, ჩიტების მომთვინიერებელი ბაღლი მანახა...

უეცრად კარავში მაცნე შემოვიდა.

– ბაკურ ჩემო, რა ამბავი მოიტანე? – შეაგება დიდებულმა.

– სოფლები შემოვიარეთ. ხალხი ბრძოლისთვის არის შემართული, ღმერთისა და თქვენი იმედით.

– ნაღვლიანი ჩანხარ, მოხდა რამე? – ჰო... ჩემი ძმანაფიცო რატი, გახსოვს?

– იმ ლომგულს რა დამავიწყებს? ცუდი რამ ხომ არ შეემთხვა?

– საკვირველი ამბავი ჩაიდინა. – ხელგაშლით შეხვდა თავისი საგვარეულო სასახლის კარებზე მომდგარ ურიცხვ მტერს. სეფე-დარბაზში იწვია, მათობეულა შარბათი მიართვა. მტრებმა კარგად მოილხინეს, უგონოდ მიეყარნენ. მაშინ, დარბაზის დედაბოძს დაეძგერა ეს გოლიათი კაცი, სახლს ფუძე გამოაცალა და მტერთან ერთად მის ქვეშ მოჰყვა... ეს ამბავი მისი ახლობლისაგან შევიტყვე, იგი წინასწარ გააფრთხილა, შინაურები დარ-

ბაზიდან გაიკრიფეთ და ტყეში გაიხიზნეთ.

ამ მონათხრობმა კარავში მყოფთ სევდა მოჰგვარა. იყურეს.

– მთელი ქალაქი დაზარალებულია, – დაარღვია სიჩუმე მოსულმა, – ვერსად ნახავ მოღიმარ სახეებს. ისეთ რამეს შევესწარი, ისეთი რამე მოხდა, ახლაც ვერ მოვსულვარ გონს, – ჩაიჩურჩულა ხმამიმქრალმა. აქამდე განცდილი შიში, დამცირება, მიუსაფრობა ყელში მოაწვა. ველარ შეძლო თავის შეკავება და ღანჯზე კურცხალი ჩამოუფორდა. ცრემლნარევი ხმით დაინყოს ნანახისა და განცდილის მოყოლა.

მეტყველებდა ადელევიტის დაღვინებით თხრობა უჭირდა. ფრინველების ამბავს რომ მიადგა, რატომღაც ბიჭს ჩააცქერდა. თხრობა რომ დაასრულა, ისევ ჩააშტერდა:

– ეს იყო, ეს! – ნამოიძახა. – მაშინვე მეცნო, – ახლა ერთბაშად გამინათდა გონი, ჩემს გვერდით იდგა, ამან აუშვა, ჰო, ეგრეა, აქ შემოვული თუ არა, მეცნო, მისი შეპყრობაა ნაბრძანები.

ბიჭმა თავი დახარა.

– მაშ გააცოფე?! .. ყოჩაღ, ბიჭო, შენ ატეხე იქ ისეთი ალაქოთი?! – გაეცინა დიდებულს. მერე ნაღვილიანად დაამატა:

– ისინი ურიცხვნი არიან, მეტად ურიცხვნი, რაღაც უნდა ვილონოთ.

– ჩვენები დანიშნულ ადგილზე გუნდგუნდად მოვლენ. ახლა კი, ცოტას დავისვენებ და გზას გამთენიისას გავუდგები – თქვა მაცნემ და გარეთ, ჩალაზე მიწოლილი, ნაბადში გახვეულ მხედრებთან გავიდა.

კარავში წამით დუმული ჩამოწვა. ბიჭმა ღრმად ჩაფიქრებულ დიდებულს თვალი შეავლო და გაუბედავად უთხრა:

– ჯალალ-ედ-დინმა მგოსნების შეპყრობაც ბრძანა, ვინც მათ შეიპყრობს, ოქროთი ავავსებო. ჩემს სოფელშიც არის მგოსანი, გამიშვით, უნდა გავაფრთხილო.

– აკი მაცნემ თქვა, შენზეც ნადირობენო, მტერი ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ დაძრის, ამაღამ აქ დარჩები, განთიადისას კაცს გაგაყოლებ.

ბიჭი უხმოდ დაემორჩილა. მერე რაღაცის თქმა დააპირა, ჭოჭმანი დაიწყო.

– მგონი რაღაცის თქმა გინდა, – ჰკითხა დიდებულმა.

– ქალაქიდან წამოსული, გზაში სულ ერთ რამეზე ვფიქრობდი. მტკვარი თავმოჭრილი ადამიანებით გაივსო, მათ ხატის ნაბილწვა არ ისურვეს... უამრავი ხალხი ჩაიხოცა. ნუთუ სხვა გამოსავალი არ იყო?..

კაცი ჩაფიქრდა, მერე ფიქრში წასულმა ხმამალა თქვა:

– ზოგის ცხოვრება უკვალოდ ქრება, ზოგის კი ლამაზად ანათებს, რწმენას ბადებს, და ცამდე მალდება: ქრისტიანობა ჩვენთვის მარტო სარწმუნოება როდია. საუკუნეობით დამკვიდრებული ჩვენი ცხოვრების წესია: ჩვენი ჩვეულებები, ჩვენი წარსულია. ვერ ვვგუბობთ სხვათა ცხოვრების წესსა და ზნეს. ჯავრი და ხატი ჩვენთვის სიცოცხლეზე მეტია, როცა მათ უარყოფთ, მაშინვე იწყება ჩვენი გადაგვარება. ჩვენში ასეთი: მამული მამისაგან წარმოსდგება, იგი გაიგივებულია უფალთან, უარყოფ უფალს, ამით უარყოფ მამულს, უარყოფ მშობელს. ეს ნაანდერძევი საუკუნეებს უძლებდა და არ ქრებოდა.

ბიჭი ჩაფიქრდა და მერე ისევ იკითხა:

– წელან თქვი, ხვარაზმელები ბევრნი არიანო...

– ჰო, მაგრამ ბრძენთ უთქვამთ: „არაფერია ისეთი, რისი მიღწევაც მოხდომებას, ერთგულებას, ერთობას არ ძალუძდეს“, ნათქვამია, რწმენა მთებსა სძრავსო, გამარჯვების იმედი არ უნდა დაეკარგოთ... აი, მაგალითად, მონიშნულ ადგილზე ყოველ დღე მუჭით მიწა რომ მივიტანოთ, მთა აღიმართება.

ამ სიტყვებით ბიჭს ტკივილები დაუამდა, საოცარი იმედი ჩაესახა.

ბიჭი უკვე შინ იყო. შინაურებთან ყოფნით ხარობდა. დაღამებამდე ჰყვებოდა ნახულს და გაგონილს.

კარგა ხანია ჩასძინებოდათ საღალა-მათი შვილიშვილის ნახვით გახარებულ ბაბუას, ცეცხლის პირას ნაბადზე მიწო-

ლილ იქაურ შეფიცულებს, მათთან მყოფ მგოსანსაც.

ბიჭს არა და არ ეძინებოდა, ფიქრით ისევ ქალაქში დაბორილობდა. სევდით იგონებდა ნანახსა და განცდილს.

ჯალალ-ედ-დინზე მგოსნის ნათქვამი გაახსენდა... „რაო, რაო, ოქროთი ავავსებ, ვინც ამ საგალობლის დამწერს მომიყვანსო? ბეჩავმა არც კი იცის, მაგის დამწერს რომ ვერ დაიჭერს, ზეცაშია. აბა, საიდან ეცოდინება, ამბობენ, ჯალალ-ედ-დინმა წერა-კითხვა არ იცისო“.

ამ ფიქრებში იყო ბიჭი, რომ გარედან ძალიან წაკეცავი შემოესმა. სმენად იქცა. ქალაქიდან დაბრუნებულ თვალწინ ხმალმეშართული მტერი ედგა. გულმა არ მოუსვენა, წამოდგა, ფეხაკრეფით უკანა კარისკენ გაემართა. შემოღობილში ღორების კოლტის ღრუტუნი ისმოდა. უცებ, ჭალიდან უცხო ხმა მოესმა. ყურადღება დაძახა. მთავრით განათებულ შუქზე ჩალმები დაღანდა. დაზარალებული მტერი ჩამანდა, ღობის სარს ჩაეჭიდა. ღობეში ჩანწულმა ტოტმა გაიტყაცუნა. ხმაურზე ღორებმა წაიღრუტუნეს. მათ ღრუტუნზე გონებაში ერთმა აზრმა გაუელვა: „მუსლიმანებს სიკვდილივით ეზიზღებათ „უნმინდური“ ღორები... გაურბიან ისე, როგორც კეთროვანს...“ ბიჭი საღორეში შევიდა, ერთ გოჭს ფეხი ჰკრა. გოჭმა ჭყვიტინი მორთო, დაფეთებული წამოვარდა, აქეთ-იქით მიანცდა, მერე სხვებს ეძგერა. დაფრთხენ ღორები, ზენამოვარდნენ, ატყდა გინასი, აიჯაგრნენ, დამდურებულელებით ეცნენ ღია კარს. საღორეს კარი ჭალისკენ ჰქონდა. ზვავივით დაეშვა დაფეთებული ღორების კოლტი.

იქაურობა ღრინაცელ-ღორინაცელში აიკლეს. თქარათქურით შეცვივდნენ ჭალაში. ბუჩქებში მიმალული ხვარაზმელები დაფრთხნენ. ღვარცოფვით მოვარდნილი ღორების კოლტის შემოსევას ვერ გაუძღეს და ალაჰის ძახილით, თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. მიბრუნდნენ, ღორები კი ჭყვილით უკან მისდევდნენ.

პალატაში მყოფთ ხმაურზე გამოეღვიძათ. გარეთ გამოცვივდნენ და როცა შეიტყვეს რაც მოხდა, ეგ რამ მოაფიქრაო, ბიჭს მონონების ნიშნად მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ. მერე შეფიქრიანდნენ: ახლა გადავრჩით, მაგრამ ისევ ამოვლენ, სოფელში ხალხი უნდა გავაფრთხილოთ.

მთელი დღის ნაჯაფ-ნანვალზე ბიჭს ძილი არა და არ ეკარებოდა, რაღაც გაახსენდა. წამოდგა, ფეხზე ქალამნები ამოიკვია, სხვები არ გავაღვიძოო, პალატაში ფრთხილად გაიარა, კედლის თაროდან პატარა ზანდუკი ჩამოიღო. თავი ახადა, იქიდან გარდაცვლილი დედის ნაჩუქარი ორი ხელნაწერი – სახარება და „ვეფხისტყაოსანი“ ამოიღო, ხბოს ტყავის უსახელო კაბაში გაახვია და გარეთ გავიდა, მტერი სახლს თუ გადაწვავს, ეს უნდა გადარჩეს, – გადაწყვიტა. ერთ ხესთან მიწა ამოთხარა, და შიგ ჩადო, ის იყო მიწა გადააფარა, გადატყუენა, რომ ცხენის ფლოქვების ხმა შემოესმა. „კიდევე რა ხდებაო?“ – გაიფიქრა და მაშინვე ცხენოსანიც საჩინოდ გამოჩნდა. ამ ერთს სხვებიც მოჰყვნენ. „ჩვენები არიან“, – გაუხარდა ბიჭს. გაახსენდა შინ რომ თქვეს... მოვლენო. სახლში შევარდა:

– მოვიდნენ, მოვიდნენ! – დაიძახა, პალატაში მიწოლილები ზეზე წამოცვივდნენ და გარეთ გავარდნენ.

წინ მავალი მხედარი ჩამოქვეითდა, დამხედურთ მიესალმა. სხვებიც ჩამოსდნენ.

რჩეული მეომრები იყვნენ, იარაღში ჩამსხდარნი. მათ ქუდებს ოქროს, ზოგსაც ვერცხლის სირმები ჰქონდა შემოვლებული. ბიჭმა მხედრები იცნო. ტყეში რომ ნახა, ისინი იყვნენ. მათაც იცნეს ბიჭი: – მაგალობელი ჩიტები კიდე გყავსო? – გაუღიმა მენწინავე დიდებულმა – კიდევე, – დაუმონმა ბიჭმა.

დიდებულმა არ დააყოვნა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: – ჯალალ-ედ-დინს თავისი ქვეყნიდან ღალატის ცნობა მოუვიდა და იქითკენ გაეშურა. აქ თავისი ვეზირი დატოვა. მისი წასვლით უნდა ვისარგებლოთ. სოფლები დაიარეთ, ვისაც მისწვდებით დღესვე მოვიდნენ ჭალაში, იქ ვიკრიბებით. ქუდზე კაცს უხმეთ. ახლავე დაეწყეთ, ამ სახლიდან.

– აქ მარტო მოხუცი და ეს ობოლი ბიჭი ცხოვრობს, სხვა არავინ, – თქვა ერთმა დამხედურმა.

– როგორ თუ არავინ! – წამოიყვირა ბიჭმა... ელვასავით გაურბინა თავში ქალაქში ნანახმა. რა დაავიწყებს მოჭრილ თავებს, ტაძრის თავზე მორთხმით მჯდარ, ღვთის მგმობელ ჯალალ-ედ-დინს, ო, როგორ ნატრობდა იმ წუთებში დევგმირად ყოფნას, რომ ხმლით აეკაფა სისხლისმსმელი მოძალადენი. „ახლა, ახლა, მგონი ამისრულდება ნატვრა!“ – გაიხარა და წამოიძახა:

– ქუდზე კაცი?! მეც მოვდივარ საომრად!“

„სმენამ ხომ არ მოგვატყუაო“, გაიფიქრეს მხედრებმა და აღმაცერად გადახედეს ჯერ კიდე უწვერულვამო წინეებს.

ბიჭი პასუხს არ დაელოდა, შინ შევარდა. ტოვა გადაიკვია, ზემოდან ბეგთარი.

მოზრდილ გულსჯიბეში ყვავილის, გუგულის კაბის – ჯადვარის ბოლქვები ჩაილაგა. იცოდა, მისი ჭამა ძალღონეს მატებდა ადამიანს. წელზე ხმალი შემოირტყა, ქამარში ხანჯალი გაიჭო და საომრად გამზადებული გარეთ გავარდა.

ხელში მენწამულისფერი, თეთრტარიანი დროშა ეჭრა, ტარზე ჯვარი იყო გამოსახული, ალაშზე – თეთრი წმინდა გიორგი.

– ეს დროშა ჩემს მამას ეყრა, არასოდეს შეურცხვინია, – რიხიანად, უფროსეზივით წარმოთქვა, – წამიყვანეთ, თუ არა, მაინც არ დავდგები, მარტო წავალ“.

იქ მყოფნი გაოგნდნენ. აღრ იცოვდნენ რა ექნათ. ბიჭი თავისას არ იმლიდა...

ჭალაში მეომრების მოსახმობად, სოფლების შემოვლით დაღლილი, ერთი შეფიცული ღორი ჩამოიჭდარი ისვენებდა. უქნიდან უჩუმრად ხმალმეშართული ხვარაზმელი მოადგა. შეფიცული საფრთხეს გუშანიტ მიხვდა. ფოცხვერით წამოვარდა და თავდამსხმელი ფეხქვეშ მოიგდო.

– ნუ მომკვავ და ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, – შეეხვეწა შიშით აცხცახებული მაჰმადიანი...

– თქვი, არ მოგკლავ, ჩემს ღმერთსა და ჩემს მეფეს ვფიცავ!

– ხვალ, ან ზეგ ქალაქიდან ოცი ათასი ხვარაზმელი შეფიცულების დასარბევად გამოემართება.

ქართველები ხომ საკუთრი წამუსით ზომავდნენ მტრის სინდისსა და ნამუსსაც. ფიცი, ფიციო და, გოლიათმა ხვარაზმელს სიცოცხლე აჩუქა. თან დააყოლა: – სიცოცხლეს იმიტომაც გრუქნი, რომ გახსოვდეს, რა ახლოს იყავი სიკვდილთან და რომ ქრისტიანის ფიცი გაუტყებელია. ხვარაზმელმა უკანმოუხედავად მოკურცხლა.

შეფიცულმა ჩოხის კალთა ჩამოიბერტყა, შორიასლოს მობალახე ცხენს მოუხმო. იქვე დაგდებული თავისი ნაბადი დაგრაგნა, ცხენის უნაგირს უკან სანყვეტებით მიბაბა, ცხენს მოფერებით ზურგზე ხელი გადაუსვა და ზედ მოეველო. ცხენმა სადავის მოწვევაზე კისერი მორკალა, ყელი მოიღერა, მათრახის მოხვედრისთანავე ადგილს მოსხლტა და ისე გაფრინდა, ისარი ვერ დაენოდა.

შეფიცულმა ხვარაზმელის ნათქვამი სანდოდ მიიჩინეს. ხუთასი შეფიცული ადგილიდან დაიძრა და ჭალა დატოვა. მართლაც, მერე დღეს შავი დროშით ჩამომავალ მტერს წინ შეეგებნენ ქართველები. ხვარაზმელებს ჭალაში ეგულეზოდ შეფიცულები და მოულოდნელად რომ მოადგნენ, დაიბნენ. მაგრამ რა იხილეს ქართველების მცირე ლაშქარი გაიხარეს. ცოტანი არიანო, გათამამდნენ და ხმალი იმიშვეს. შეფიცულმა შეუტყის, ყოფინით მიეჭრნენ მტერს. დაბლა, ვაკეზე ჩამორეკეს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ატოკდა მიწა და აკვილდნენ მთები. მოსკდა სისხლის ღვარები. ქართველები თავის მიწა-წყალს, თავის კერას იცავდნენ და სძლიეს შემოსეულ მტერს.

ქართველთა წინამძღოლმა თვლი მოავლო ბრძოლის ველს. მოკლულ მუსლიმანთა ცხედრები ადგილ-ადგილ ბორცვებზე დახვავებულიყო. დროა ომი შეწყვიტოთ, – გაიფიქრა, მესაყვირეს საყვირი ჩამოართვა, ამაღლებულ ადგილზე შედგა და საყვირს ბრძოლის შეწყვეტის მაუწყებელი ჰანგა ჩაჰპერა. თავის მეომრებს უხმობდა.

– რათა მბრძანებელი?! – შემოესმა დიდებულს.

ორიოდ ნაბიჯზე, ალისფერი დროშით ხელში, ბიჭი იდგა. გაუღიმა, მოახლოებულს თავზე ხელი გადაუსვა:

– დაიმახსოვრე, ჩვენს წინაპრებს წესად ჰქონდათ, ბრძოლის დროს მოკლული კაცი თუ ფეხალმა დაეყუდებოდა, სწამდათ, ღმერთს ომი აღარ სურსო. იმ ადგილას, სადაც კაცის ფეხი დაეყუდებოდა, სამანს – ქვის ნიშნისვეს ჩააგებდნენ და პირჯვრის წერით იტყოდნენ: – ვინც ამ წესს დაარღვევს, უკუნითი უკუნისამდე, მისი მოდგმა ღმერთისგან შერისხული ყოფილიყოსო. ველს გავხედე და მოკლულთა გვამებზე ფეხალმა მკვდარი კაცი დავინახე. ეგ ნიშანია, რომ ბევრი დაიხოცა, – ღმერთს აღარ სურს ომი, ჩემო მამაცო ბიჭო, აჰა, გამომართვი საყვირი, ჩაჰპერე.

P.S. ჟამთააღმწერელი ასე გვაუწყებს ამ ბრძოლის ამბავს: „იქნა შეტაკება, ოციათის ხვარაზმელისაგან ბრძოლის ველზე დარჩა ხუთასცამეტი მუსულმანი და ხუთასი ქართველიდან – ხუთი“.



შენ მოგიტაცეს სამეგრელოდან,
როცა ჭალებში ჩაკვდა ზამთარი.
შენ, გაყიდული ვენება გელოდა
და ჰარამხანის მდიდრული კარი.
შენ უცხო კაცის გათბობს ლოგინი
და ქმარს უძღვნიან ლექსებს და ოდებს...
მე კი ყინვასა თუ სიცივეში,
შენს ლერწამივით სხეულზე ვგოდებ.
მაგ სილამაზეს მცხუნვარე მზეზე,
ჰქონდა სხვაგვარი სითბო და ფასი.
იმ ფერმკრთალობას, შენ რომ დაკარგე
შენი შვილი და ტკივილი აგსებს.
ფრჩხილებით იგვემ ცოდვილ ძუძუებს,
დაეძებ თითქოს უჩინარ-ხილულს
და როგორც ადრე, – შენს ბავშვობაში,
გეძახი – ცირას, გეძახი – ცირუს!..
როგორ ძნელია გატეხვა ღამის,
დარდი, რომელიც უბით ატარე,
რადგან დროშაზე, შენ რომ შეკერე
ეხატა ჭრელი ნახევარმთვარე!..
გახუნებულა როგორ სასტიკად
შენი თოვლივით წმინდა სახელი.
ჩემს უსასრულო მოგონებაში,
რჩები მუდამყამს მოუნათლელი...
გეხები ფრთხილად, სევდით, კანკალით –
ასე მინიერს და ასე ციურს
და როგორც ადრე, – შენს ბავშვობაში
გეძახი – ცირას, გეძახი – ცირუს!..
არაფერს უკვე აზრი არა აქვს,
გაქრა, თუ რამე ისევ მჯეროდა...
მე უკვე ვეღარ გპოულობ... ჩემთვის
შენ მოგიტაცეს სამეგრელოდან!..
როგორ ძნელია გატეხვა ღამის,
დარდი, რომელიც უბით ატარე,
რადგან დროშაზე, შენ რომ შეკერე
ეხატა ჭრელი ნახევარმთვარე!

პოეტი

ლამაზი ქალი... ლამაზი ბავშვი...
ლამაზი გული – უთბილესია!
მშვენიერებას არ უნდა ლექსი,
მშვენიერება თვითონ ლექსია.
ლამე ჩაინვა, ჩაქრა სანთელი –
სული მწუხრისგან ღამის დაობლდეს...
ერთი სტრიქონის მანძილი არის
პოეზიიდან სასაფლაომდე!..
ვეღარ მასწავლეს ხელების ლოკვა –
მავანთა შორის – უსაფრთხოება...
პოეტი ქვეყნად თუ გინდათ მოჰკლათ,
მოუნესრიგეთ პოეტს ცხოვრება!

ლაყვარდი დაღუპულ, განწირულ სულს ითხოვს
და ბედი ჟამისფერ მოსასხამს გაშლის.
მე, იქნებ, სიკვდილის ვასრულებ სუიტას –
უფალო მაჩუქე მოტივი მაშინ!
დაჩეხილ სივრცეებს მოედო ხანძარი
თუ იწვის ნუხილი მწითურა ალში?
როდესაც დალილი ლოცულობს ტაძარი,
სამყაროც ლოცულობს უფალო, მაშინ!
ტყვიებით ან დაშნის ცბიერი დაგდებით,
ყინულის ჩაგდებით მთრთოლვარე ხმაში
ან როცა ღამეში კვიან ღანდები,
დაინდე თვალები, უფალო, მაშინ!
მე ისევ ვიმზადებ სანამლავს... ვერთობი
და ეჭვის სიშმაგეს შევურევ შხამში...



როდესაც მინაზე დადიან ღმერთები –
უფალო, იხსენი სამყარო მაშინ!
ვერ ვხედავ... ეს იქნებ ძვირფასი მკვდრებია
თუ ცეცხლი წივილით ავარდა ცაში?
როდესაც ლექსები კედლებთან დგებიან,
უფალო, სიცოცხლეც ცოდვას მაშინ!..
მე თვითონ გავნასკვავ ხორკლიან ხვეულებს,
მე თვითონ გავსხლტები სისხლიან ქარში...
და როცა მძიმდება, მძიმდება სხეული –
ჰაერიც მძიმდება უფალო, მაშინ!


ვიზონებ თამაშს

ძვირფასო მკვდრებო! დალილ გონებით
ვიგონებ თამაშს მარტივს და ადვილს:
სიამოვნებით, სიამოვნებით,
სიამოვნებით გაგიცვლით ადვილს!
მე მიყვარს მინა, ამიტომ იგი
იქნება ჩემთვის უცხო ესოდენ...
თქვენ გქონდეთ ჩემი საბანი ლიგვი,
თქვენ ქუჩის მძიმე ხმები გესმოდეთ!
მე მიყვარს მინა და ბოლო წუთი,
მე მიყვარს თოვლი და თოვლზე ყვავი.
სხვას თუ არაფერს, ცეცხლიან სუნთქვით
გავუთბობ საბანს გაყინულ ყვავილს...
ძვირფასო მკვდრებო! დალილ გონებით
ვიგონებ თამაშს მარტივს და ადვილს:
სიამოვნებით, სიამოვნებით,
სიამოვნებით გაგიცვლით ადვილს!

ხარხარით ცივი ცრემლების დენას
გვაპატიებენ ძვირფასი მკვდრები.
კუბოსთან როგორ ვივინყებთ წყენას,
კუბოსთან როგორ კარგები ვხდებით.
ხელაპყრობილი გოდებს მარიამ
და სისხლიან კვართს მალავს უფალი,
და სამძიმარიც ათასგვარია,
როცა ჩვენ არ ვართ ჭირისუფალი.
სული ჩიტისგან მოითხოვს შეველას
და განწირული წივიან ხმები.
კუბოსთან როგორ ვმშვიდდებით ყველა,
კუბოსთან როგორ კარგები ვხდებით.
ანთია ბორცვზე წყვილი მიხაკი,
ნაყიდი ასე: სულ ერთ მანეთად
და სინამდვილეს ჩამოივარებს –
ერთმანეთს ვკარგავთ უერთმანეთოდ!
მზე ყინვიან ხელს აფარებს სურათს,
ამგვარად იძენს პატივს ოცნება
და დაბიჯებს საფლავებს შუა,
ჩაფიქრებული პატიოსნება.
ცაში სინათლის მახვილი ელავს,
მოგვაქვს ტკივილის სიჩუმე მხრებით...
კუბოსთან როგორ ვიცვლებით ყველა,
კუბოსთან როგორ კარგები ვხდებით!

ლოცვა

გველივით სრიალებს სიჩუმე სუროში
და შაშვი შავ ნისკარტს შხივილით ილესავს.
მარიამ, ფერმიხილ მთვარის სხივს ულოცე –
ნუ გამოაღვიძებს პატარა იესოს!
თითები... ძუძუსთან ცოცავენ თითები –
ამ თითებს მოელით ხვალ სისხლის გაღება
და ზურგზე (თოვლივით!) ცა დაიტვირთება,
და ცაზე წითელი მზე დაიდალება.
ღიმილი ბავზე – ეგ სიზმრის ბრალია, –
ჭინკებს და კუდიან ეშმაკებს – ლახვარი!
ამბორჰყავ ის მაჯა დედაო მარიამ,
რომელსაც ჩვენ სამჭვალს გავურჭობთ
ხარხარით!..
აძგერდა სიცოცხლე, იმგვარად აძგერდა,
თითქოსდა აკვანთან მზე დაუკიდესო...
მარიამ, უფრთხილი მთვარეში ნაკვერჩხალს –
ნუ გამოაღვიძებს პატარა იესოს!..
ის მოვა ქალაქში, როდესაც ინათებს
და შიშველ სიკეთეს სამოსელს ჩააცმევს.
ის ცოდვილიანთა სიყვარულს მიმართავს,
სიყვარულს, რომელიც გულცივად ჯვარს აცვეს!



შოთა რუსთაველი

.....
იძინოს, იძინოს მშობლიურ კალთაში,
ჯერ მზერა ჩამოქნას და გაიორბოს...
აგდია პოეტი გაყინულ სარდაფში
და მისი ბუბუბუტი აშინებს მსოფლიოს!

მომბეზრდა ჩემი ამგვარი ყოფა –
დღეს ისევ ვეღარ ვხდები მეგობრებს.
დიდიხანია პოეტი „დიდი“,
მიცქერის შიშით, როგორც მეკობრეს!..
რალაც მიყურდა ჩემში ძვირფასი!..
რალაც მინელდა... რალაც ჩაკვდა.
რა ვქნა თუ მიჭირს წრეზე ტრიალი,
თუ ჩემი ლექსი ვერ დგება ჩარხთან!
სალამო გადის... ვერც ვამჩნევ ზოგჯერ,
ვიცი, გარშემო რალაც იცვლება,
რადგან აგდია მტვერში უიღბლოდ –
ცხვირდაჩქევილი ქუჩის ღირსება.
და თითქოს უცბად, თითქოს უეცრად
გულს შავი წვიმა მოედო ობად...
რა მარტივია და რა უბრალო –
დღესასწაულობს... უამინდობა!..
ეს არის უფრო ნაღდი და მშვიდი,
აღარ ჭირდება სიტყვები უხვად...
გაქცეულ პალტოს მოვეფერები
და გაყინული ხელებით ვუხმობ...
ლურჯ მონასტერთან მტრედების გუნდი
შეფრთხილდება – ცას შეასკდება...
რა ლამაზია – ის იბადება,
ის იბადება, რადგანაც... კვდება!

ძართული ლექსი

ინოდა გული ჩამავალ მზესთან,
ემწუხრებოდა ღამე დასავალს
და მიყვებოდა სამშობლო ჩემი –
ქართული ლექსის თავგადასავალს.
როცა გკუნავდნენ სტრიქონ და სტრიქონ,
როცა ჭრილობა ღვიოდა მხართან,
მაშინ გიცავდა უფალი შენი,
მაშინ ღვთისმშობლის გფარავდა კალთა.
გაყინულს, ზოგჯერ, მუჭში გათბობდნენ,
ხან ვეფხვის ტყავზე ვეღარ გატევდნენ.
ხან საიდუმლო შარავანდედი,
სიმაღლეს შენსას ცისფერს მატებდა!
ათასჯერ ცხელი შანთით ჩამწვარი,
ყოფდა შენში დალილი გენი...
თუ დუმდი? – დუმდი!.. ლაპარაკობდი? –
ლაპარაკობდი ღმერთების ენით!
და შენ – სისხლიან ფიქრში განბანილს,
ვერ გეკარება ჭუჭყი ვარამის
და როგორც უნდა უხეშად გთარგმნონ,
გამოგიცნობენ მოსმით ყალამის!..
და მზე და მთვარე – წყვილი ტკივილი
თვალეზე გადგას წმინდა ცრემლებად...
ჩემი სამშობლო – ეს არის ლექსი,
სულ სხვა მელნით რომ დაინერება!


სულ ახლახან გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „ელენე დარიანი – ქალი პაოლოს უკან“.

გამოცვა კატალოგი, რომელიც ილუსტრირებულია უდავოდ საინტერესო მასალებით, წერილებით, სურათებით. მუზეუმის დირექცია კატალოგის დასასრულს აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობას უხდის პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს (ელენე დარიანის შემოქმედების პირველ მკვლევარს) პატარძელის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის დირექტორს, დარეჯან ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორს, ნოდარ გრიგორაშვილს, ელენე დარიანის ახლო ნათესავს – მარინე მხეიძეს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, სახელმწიფო უნივერსიტეტს, ცენტრალურ არქივს, ქალთა ფონდს საქართველოში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრ რადიქსს, ზურაბ ალხანიშვილს.

კატალოგზე მუშაობდნენ ლაშა ბაქრაძე, თეა თვალავაძე, ფატი გაგულია.

მუზეუმის საგამოფენო დარბაზის შესასვლელში წარწერა გეგვებათ: ელენე დარიანი – ელენე ბაქრაძე-ბერიძე-ქართველი-ქართველი (1897–1979 წწ.).

თავად ისინიც გეგვებიან, ჩვენი დღევანდელი მასპინძლები, ცნობილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი და ცისფერყანწელთა დედოფალი, ელენე დარიანი – სიგარეტით, თამამი მხერით, უდარდელი ღიმილით. ლაღები ჩანან, რაც მთავარია, ბედნიერები. მუყაოზე ამოჭრილი მათი სახეები შთამბეჭდავად გამოიყურებიან. ნაცნობი სილუეტები ისე ჰარმონიულად ირხევიან სივრცეში, თითქოს წარსულიდან დღევანდლობაში გადმოდიან, გამოფენაზე მოსულ მნახველებს თავისკენ ეპატიჟებიან. სურთ, ის დაგმანული სივრცე გააღონ, რომლის შეხსნასაც ამდენი წელი დასჭირდა. ლამის მთელი საუკუნე!



ელენე დარიანი

რატიომდაც ფიქრი ამედევნა. მაინც რა დაჩემება?! ზოგიერთებმა (მათ შორის, მეცნიერებმა) რატიომ ირწმუნეს, რომ ელენე დარიანი რეალური პიროვნება არ იყო! ან რატიომ ურჩევნიათ, უარყო პოეტი ქალი, ეროტიკული განცდებით სავსე, ხოლო თავისი ვაჟკაცობით, შეუვალაობით ცნობილ პიროვნებას, პაოლო იაშვილს ქალური განცდებით სავსე პოეზია მიაწერონ, მის კუთვნილებად გამოაცხადონ.

„სამყარო გაგაოგნებს თავისი სიბრმავეთი“. – წერდა მერაბ მამარდაშვილი.

თუმცა თავად ელენე ბაქრაძეს არასდროს დაუკარგავს იმედი, რომ მომავალი თაობა თავის სათქმელს იტყობდა, სიმართლეს ამხელდა. მარიჯანის ლექსების გარე ყდაზე (1956 წ.) ელენეს ასეთი ლექსი წაუწერია:

**„მე სხვანაირი მენვია ბედი,
ის არ იკლებდა ჩემით გართობას,
თბილ თანაგრძნობით აღარ მოხვედი,
არ შემოგჩვილე მეც მარტოობა.
დღეს ჩვენი ხალხი გათბობს
გვიგვივინით,
წელთა გუგუნე შუბლზე განათებს,
იყავ დღევანდელი, ჩემს
გულისტკივილს
სულ სხვა თაობა გაასამართლებს“.**



ფიქრები ელენე დარიანზე

„სიმართლეს შეიძლება გაუჭირდეს, მაგრამ არასდროს არ კვდება!“ – გემოდ-ვრავს წინაპარი. დღევანდელი გამოფენაც ამის დასტურად მიმანჩნია...

მუზეუმში ხალხმრავლობა, ტელევიზია იღებს, წყვილები მიმოდინან, გაფაციცებით შესცქერიან კედლებზე გამოფენილ ნარსულს, გაფერმკრთალეულ სტრიქონებს, ფოტოებს, ერის სასიქადაულო შვილთა ძნელად დასავიწყებელ სახეებს, მათ სიხარულსა და ტკივილს. მათთვის პოეზია ხომ იგივე იყო, რაც სული სხეულისთვის. პოეტი ძმები არასდროს აკლდა ელენე დარიანს, პოეტ ქალებთან მეგობრობაზე, მათთან სიახლოვეზე სწავლობდა გული. მუდამ განზე იდგა, მიჩუმათებული, მიჩქმალული. არც არავინ მოიძია, მოიკითხა. მარტოობას შეატოვებს.

ამიტომაც, დამთვალეირებულთა შორის პოეტ ქალებს ვეძებ ახლა. ვპოულობ კიდევ: შარლოტა კვანტალიანი, დოდო ჭუმბურიძე, მანანა ჩიტიშვილი, ნინო ქუთათელაძე. მეც მათ შორის ვარ... იზა ორჯონიკიძე რომ ცოცხალი იყოს, ჩვენს შორის იქნებოდა (ნათელში იყოს მისი სული!).

უეჭველად დგება უამი, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, მკვლევართა შორის ვინმე ჭმომარტყმის მიძიებული გამოერევა და იგი იტვირთავს მთელ სიმძიმეს – სურს, ღირსეულს კუთვნილი მიაგოს. თუმცა ეს არც ისე ადვილია. ამგვარი პიროვნება აღმოჩნდა მკვლევარი და მეცნიერი, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი (საარაკოა მისი მონდომება, დაუზოგავმა და დაუთმობელმა მეცნიერმა ომი გაუმართა ყველას და ყველაფერს). თავისი წერილებით, ნიგნებით, გამოსვლებით, ლექციებით წარმოაჩინა სიმართლე. მისხალ-მისხალ მოიძია ყოველი დეტალი, ფაქტი, არქივის უძვირფასესი ფოლიანტები ჩვენ თვალწინ გააფინა, ამით ხელახლა გააცოცხლა ელენე დარიანი (იგივე ელენე ბაქრაძე), მივიწყებული პოეტი ქალი. გამოცემის მიერ ოდესღაც დაშვებული შეცდომის გამოსწორებასაც თავად შეეცადა (შალვა დემეტრაძეს ვგულისხმობ, პაოლო იაშვილის კრებულის შემდგენელს, „ელენე დარიანის დღიურები“ ავტორად პაოლო რომ მიიჩნია (1959 წ.)).

თუმცა სიმართლის აღიარება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერთაგან ზოგმა ნიგნი დაწერა პაოლოს შემოქმედებაზე, ზოგმა დისერტაცია დაიცვა, სიმართლის აღიარება ერთობ გაუძნელდათ (რაც მათ რეპუტაციას უეჭველად ჩრდილს მიაყენებდა).

ამიტომაც, დღესაც რომ გრძელდება დავა...

რაკი ვინაობა გაცხადდა და ელენე ბაქრაძის საცხოვრებელ ადგილს მიაკვლიეს, მნახველებიც გამოჩნდნენ, მათ შორის მეცნიერი ქალბატონი (რომლის გვარსაც შეგნებულად არ ვასახელებ!), ვინც, როგორც თავად აღნიშნა, ხანდაზმული, თვალისჩინდაკარგული, მიუსაფარი ქალბატონი იპოვა, რომელსაც საერ-

თო არაფერი ჰქონდა პაოლოს გატაცებასთან. სადღა იყო „მშვენიერი ელი“, „ნუთუ ეს ის ქალია?!“ – გაოცებულია მეცნიერი. არადა, ელენე დარიანი ვარო, აცხადებს მასპინძელი. საუბარი არ შედგა, არც პირადი არქივი აჩვენა, თითქოს შინაგანად იგრძნო სტუმრის დაეჭვება.

არცაა გასაკვირი, – ესოდენ სათუთი ბუნების ადამიანი უმალ შეიცნობდა მას...

ხსოვნის, მოგონების რთულ ლაბირინთში გაძნელებით მივიკვლევ გზას...

1907 წლიდან ელენე ბაქრაძის ოჯახი საცხოვრებლად განჯაში გადადის. ათი წლის ელენე წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში შეიყვანეს, თუმცა განჯიდან სამშობლოში ყოველ ზაფხულს ჩამოდის და იმერეთსა და რაჭაში მცხოვრებ ნათესავებს სტუმრობდა.

პაოლოსაც აქ შეხვდა.

შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად. თავად განგება არჩევს დროსა და ადგილს. პაოლოს და ელენეს პირისპირ შეყვრის საოცარი წუთებიც მან შეარჩია. ისინი პოეზიამ დააყვამირა ერთმანეთს... პოეზია მათთვის მარადიული სიჭაბუკე იყო!..

მოგვიანებით, 50-იან წლებში, ელენე ბაქრაძე იგონებს: „ეს იყო 1915 წლის აგვისტოში. ის იყო დავამთავრე წმ. ნინოს სასწავლებელი. სოფ. არგვეთში ვესტუმრე ჩემს ნათესავს. ერთხელ, როცა ცხელი მზიანი დღე გრილმა საღამომ შესცვალა და მე სხვებთან ერთად ვიჯექი ეზოში, უეცრად ვიგრძენი, როგორ დაარღვია რაღაცამ სოფლის მყუდროება და სულში განახლდა უკანასკნელ წლებში ჩემში გაბატონებული უცნაური განწყობილება: ჩემს წინ იდგა თეთრ ტანსაცმელში დე კრავებში პაოლო იაშვილი. უნებურად ფეხზე წამოვდექი და აღელვებული ვუმხერდი მის ზღვასავით მოლივლივე დიდ თვალს. ისიც აღელვებული ჩანდა. რამდენიმე წუთი ხმა ვერ ამოვიღეთ.“

...ამ ხნისთვის მე უკვე გაზეპირებული მქონდა მთელი ფურცლები ოსკარ უაილდის „დორიან გრეიდან“, ვიცნობდი, როგორც სულის მესაიდუმლე, ზოდ-ლერს, ვერლენს და ყველა რუს პოეტებს. ვბოდავდი ანა ახმატოვათი. მხოლოდ ფუტურისტების არაფერი მესმოდა, მაგრამ ამას არავის ვუმხელდი. საზღვრის გავლა სიმბოლისტებსა, აკემისტებსა და სხვა მათ მოდგამათ შორის მე არ შემეძლო. შეპყრობილი ვიყავი საერთო სენით და თან აღტაცებით ვადევნებდი თვალს რევოლუციის საიდუმლო განვითარების ამბებს, რის შესახებ მელაპარაკებოდნენ ზოგიერთი ახალგაზრდები. ერთი სიტყვით გონებაში საკმაოდ ქაოტური მდგომარეობა მქონდა. მაგრამ მაშინ, ცხადია, ამას არ ვგრძნობდი. ჩემი თავი მონიშნავდა ქალად მიმანჩნდა და დეკადენტებით გატაცება ამის სარწმუნო და დამამტკიცებელი საბუთი იყო. სავსებით დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ მე განსაკუთრებული და იშვიათი პიროვნება ვიყავი. ჩემს გარშემო სხვა არავინ იცნობდა და ზეპირად არ იცოდა არც კუზმინი, არც მანდელშტაიმი, არც ბლოკი, არც ახმატოვა. ჩუმათ ვთარგმნიდი ზოგიერთ ლექსებს.

...როგორ სწრაფად წამოვდექი ადგილიდან, როცა პაოლო დადგა ჩემს წინ. გა-

ლილა მისი

ტაცებულნი საუბრით ჩვენ მხოლოდ ვუსმენდით და ვხედავდით ერთმანეთს. მას ჩემი უკვირდა, მე იმისი. არა, ამბობდა ის, მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგინდი, რამეს ამის მსგავსს შევხვედებოდი ჩვენს სოფელში. ის ასახელებდა პოეტებს, მე მათ ლექსებს ვეუბნებოდი ზეპირად. არ ვიცნობდი მხოლოდ რემბოს და ის მიაბობდა იმაზე. თითქმის ერთმა კვირამ განვლო თავბრუდამსხმელ გატაცებულ ლაპარაკში. დაასარულ პაოლომ დაასკვნა, რომ ის აუცილებლად დააარსებდა ჟურნალს, სადაც ის თავს დაატყუებდა ჩვენს ლიტერატურას, განსაკუთრებულად პოეზიას, დაატყუებდა ჩვენს მეშინურ ყოფაცხოვრებას, ააყირავებდა მთელს ყოფას ჩვენსას, შემოიტანდა სულ სხვა ფორმას და შინაარსს პოეზიაში; მზად იყო, თავი შეეშვირა ლაყე კვერცხებისათვის და მკერდით დახვედროდა მოქნულ მუშტებს... მას იმედი ჰქონდა მეგობრების. ის ჯერჯერობით ასახელებდა ვალერიან გაფრინდაშვილს, ტიტე ტაბიძეს, გალაქტიონს ქუთაისში. თბილისში ჯერ კიდევ არ იცოდა ვინ დაუჭერდა მხარს.



ელენე ბაქრაძე

– რა სათაური მივცეთ ჩვენს ჟურნალს, ელი? – მეკითხებოდა პაოლო.

მე კიდევ თუთიყუშივით ვასახელებდი უკვე ცნობილ სიმბოლისტების ჟურნალებს, მაგრამ ის თავს უარის ნიშნად იქნევდა. მე მიწოდდა „ლურჯი ფრინველი“ მეტერლინიკისა, როგორც სიმბოლო ბედნიერების ძიებისა. პაოლოს არც ეს მოსწონდა. ქართული უნდა იყოს, ქართული, – ამბობდა ის.

და, აი, სათაური გამოიძებნა სრულიად შემთხვევით. მე ველოდი წერილებს სახლიდან და დამჭირდა საჩხერეში ფოსტაში წასვლა. პაოლომ აღმითქვა ცხენებით გასვირება. შედგა მთელი კავალკა და შეიდი კაცისაგან. ვალიკო მაჭავარიანი, მედია ჯაფარიძის მამამ, გვათხოვა თავისი საუცხოო მერანი. უკვე ნამუაღდევის ორი საათი იქნებოდა, როცა ცხენებზე შევჯექით. მე და პაოლო დავწინაურდით. პირამიდებსა და ეგვიპტეზე, ფარაონებსა და მათი დროის კულტურაზე ვლაპარაკობდით, ალბად, პაპანაქება სიცხის გამო (ამ განწყობამ შექმნა შემდეგში ელენე დარიანი-ბაქრაძის ლექსები „პირამიდებში“, „ნილოსის ნაპირზე“).

ყვირილას მივადექით. იმ ზაფხულს წყალდიდობა იყო. ხიდი წაუღო მდინარეს. მოშუიდა და იმუქრებოდა ყვირილა, რამდენადაც შეეძლო. ამ დროს მოგვესმა ვალიკო მაჭავარიანის ძახილი – პავლე, არ შეხვიდეთ წყალში, ცხენი არ დამიღუპოთო. სწორედ ამის გამო, შემთხვევით, რომ ფოსტაში ვეღარ გავიდოდი, ცხენი წამსვე შევაგდე მდინარეში, დავხუჭე თვალები და მივენდე მას. ხელზე როცა სხვა ხელი ვიგრძენი, თვალები გავახილე. ორივე მხარეზე მომდევნენ პაოლო და მისი ბიძაშვილი – დათიკო იაშვილი. ცხენები მიაგულვებდნენ, თითქოს გრძნობდნენ ჩვენს ახალგაზრდულ ძალას და გამბედაობას. ნელამდე დასველებულნი გავედით მეორე მხარეზე. ვალიკო შუბლზე

►► გაგრძელება მე-18 გვ.

◀◀ 80-17 გვერდიდან

ხელს ირტყამდა, მაგრამ რალას იზამდა. გამინურა პაოლომ ამაზონის ქვედატანი, კვლავ შევსხედით ცხენებზე და ამავე გზით დავბრუნდით უკან. მთელი საჩხერე, ე.ი. წერეთლები, ვინც გზაზე იდგნენ, ესალმებოდნენ პაოლოს და უსაყვედურებდნენ ქალის ასეთ განწირვას, ამ დროს ყვირილაზე გადმოსვლას. პაოლო იცინოდა, თავისებური აღერსიანი სიტყვებით ესალმებოდა ყველას და არაჩვეულებრივად კმაყოფილი იყო ჩემი ასეთი თავხედობით.

ღმერთო ჩემო, ახლა პატარა რუხე გადასვლა მიჭირს.

...გზაზე, აღარ მახსოვს, ვისთან შევიარეთ სოფელ სავანეში, უკვე გვიან იყო, რომ წამოვდით. შუალამე სრულდებოდა, როცა მივედით ჩემს ნათესავთან, ელენე კურცხალიასთან. იქ სწრაფად გაშალეს სუფრა პირდაპირ მოღზე. ყველაფერს ჯადოსნური ცისფერი ედო. პაოლო თამადაობდა, მხოლოდ დაუფიქრებელი ახალგაზრდობით თუ მეპატიება მისი მაშინდელი სადღეგრძელოების ჩაუნეროება. მაგრამ შემდეგმაც არაერთხელ ჩავიდინე ასეთი ცოდვა. ყანები მოითხოვა და ჩემმა პაპიდაშვილმა პატარა თეთრი ყანები გამოიტანა. პაოლომ ჩაასხა ღვინო, ასწია მაღლა და უეცრად თვალი მომტაცა ამ ყანის ლურჯმა ფერმა.

– პაოლო, შეხედე, რა ცისფერი ღვინოა! – წამოვიძახე მე.

– ცისფერი ყანა, დაელოთ, ასწით! – წამოიძახა ვიღაცამ.

პაოლო გაჩუმებული უმზერდა ყანს და უეცრად წამოიძახა:

– ვერიკა, ელი! ჩვენს ჟურნალს დავარქმევთ „ცისფერ ყანას“.

მახსოვს, როგორ წამოვდგა ზეზე და მთვარის შუქს მიუშვირა ყანა, წმინდა ცისფერი იყო შიგ ღვინო. მართლაც მშვენიერი იყო ეს მიგნება. ქართული ყანა, ღვინო, როგორც სიმბოლო თავდავინყებული გატაცებისა და კადნიერებისა, რაც საჭირო იყო ახალი ჟურნალის იდეური მიმართულებისათვის და ცისფერი, რო-

გორც სიმბოლო ბედნიერების, გამარჯვებისა.

პაოლო ღელავდა, ეჩქარებოდა წასვლა ქუთაისში. – სული მეხუთება, სანამ დავინახავ „ცისფერ ყანას“ ჟურნალზე გამოხატულს. – ამბობდა იგი.

ერთ წუთს არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ ის, რასაც პაოლო იწყებდა, არ იყო მოწინავე აზრის მატარებელი. პირიქით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის გიგანტურ ნაბიჯის გადადგმას აპირობდა. „ცისფერი ყანა“ მე წარმომედგინა როგორც ახალი ლიტერატურა, როგორც ახალგაზრდული ცხოვრება, რომელსაც უნდა შეეცვალა ის უსაქმო, თათქარიძისეული, უშინაარსო ყოფნა, რომელსაც მე ვხედავდი ქართლის თავადურ გარემოცვაში. პაოლო იწვოდა ჩირაღდანით ანთებული, ბორგავდა და ვეღარ ითმენდა მოუთმენლობით შეპყრობილი“.



პაოლო იაშვილი

განჯიდან წერილებთან ერთად ლექსებიც გამოგზავნა ელენემ. ერთ წერილს მეორე მოჰყვა. გასაოცარია პაოლოს პასუხები, ეს არის უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟის თავდავინყება. ტრფობა. მათზე უკეთესი სიყვარულზე რა უნდა დაინეროს...

1916 წელს ჟურნალ „ცისფერი ყანების“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ელენე დარიანის უსათაურო ლექსები „უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა „მაგიუბს სითბო! ვერ ვიგუფ ფარჩის საბანი“.

„აი, მოვიხსენ ტანზე საფარი გადახსნილ მხრებსაც მოელანდა შეხება შენი, ვნებიან გზაზე ჩამობნელდა, არ ჩანს არავინ ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი, ჩამეძინება.. სიზმრებია ზანტი და მღორე. დამინყარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები, ძილში ვიღაცა დამაკვდება, მეამბორება, ვნების სურვილით მელუნება მწარედ მუხლები“.

ასე თამამად და გაბედულად ამეტყველდე საკუთარ განცდებზე, მით უმეტეს, იმ დროინდელ ქუთაისში, ერთობ ძნელი იყო. საზოგადოება განაწყენებით შეხვდა მათ. გაიმართა დისკუსიები, თეატრში სიტყვით გამოვიდა მანდილოსანთა წრის მეთაური კატო მიქელაძე: „როგორ შეიძლება ქართველმა ქალმა ასე ურცხვი ლექსები შექმნას“. – განაცხადა მან... ერთ საღამოზე ცისფერყანელთა მეთაურს ელენეს პრესაში გამოქვეყნებულ ლექსებს საზოგადოებას რომ აცნობდა, ლაყე კვერცხები დაუშინეს...

არადა, ამ მშვენიერ, ქალური ვნებებით დამუხტულ ეროტიკულ ლექსებს სიცოცხლე სურდათ, მათ უნდა მიეღწიათ ნამდვილ მკითხველამდე და სამუდამოდ დაეპყროთ მათი გულები (ამიტომაც იტვირთა პაოლომ მეგობარი ქალის „ურცხე“ ლექსთა ავტორობა, თავად „იშვილა“ და ამით ცისფერ დედოფალს ტვირთი შეუმსუბუქა). თუმცა პაოლოს არასდროს უღიარებია მათი ავტორობა.

„ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე, დიდი მოთმენა მოვიახლე და შევითვისე“ – წერს ელენე. ეს სტრიქონები 1923 წელსაა დაწერილი.

„შენი ლექსები მე მამარია, როგორც ბავშვობის წმინდა კრებული, მაგრამ მოწყენით ხშირად არიან შენი ალერსის დანატრებული“.

– პასუხობს პაოლო... ეს მოხდა შემდეგ წლებში, ხოლო მა-

ნამდე... მანამდე ქუთაისი უკვე სუნთქავდა ცისფერი ლექსებით, დაიწყო ცისფერყანელთა სიგიჟაჟე, უძილო ღამეები, მთვარეული ზმანებები. ქუჩებში ცისფერპერანგიანი ვაჟები და ცისფერკაბიანი ქალიშვილები დასეირნობდნენ...

დილით მეეტლემ სახლის წინ ეფენები რომ აახმაურა, პაოლო ეტლში ჩაჯდა და ხიდისკენ დაეშვა. საყვავილესთან გაჩერა ეტლი და მინდვრის ცისფერი ყვავილებით შემოსა კოფო, აღვირ-ავშარის გაყოლებზეც ცისფერი აბრეშუმის ზონარი შემოავლო.

იმ დღეს ცისფერყანელთა ცისფერი დედოფალი ელენე დარიანი, იგივე ელენე ბაქრაძე, თბილისში მიემგზავრებოდა... ცისფერყანელი ძმები აცილებდნენ. ყველასდა მოულოდნელად პაოლომ ცხენი ეტლიდან გამოუშვა და თვითონ შეება შიგ... ეტლში ცისფერმანდილშემოხვეული და ცისფერყვავილებდაბნეული ელენე ბაქრაძე „ძვირფასი ელი“ იჯდა. სანამ ეტლი რკინიგზის სადგურს მიუახლოვდებოდა, თეატრალიზებული სანახაობის მნახველი მრავალი ქუთათური აღმოჩნდა (შემდგომ წლებში ალტაცებით იგონებდნენ!).

არადა, ელენე დარიანი არ არსებობდა, დღესაც იჩემებს ზოგიერთი: „ელენე დარიანის დღიურები“ პაოლოს ეკუთვნის და ყოველივე „ცრუ“ ქალბატონმა გამოიგონაო.

ცისფერი ეტლიც მისი შეთხზულია?!

მით უმეტეს, ამგვარი თეატრალიზებული სანახაობები სჩვეოდა ქუთაისს. ჯერ კიდევ 1908 წელს, აკაკი წერეთლის იუბილეზე, გიმნაზიელებმა ცხენები გამოხსნეს და თავად შეებნენ შიგ. მოგვიანებით პირადად გახლდით მონმე, ირაკლი აბაშიძეს როგორ მოართვეს ეტლი; ხოლო სულ ახლახან ქუთაისის მკვიდრი, ცნობილი მწერალი რეზო ჭიჭიშვილი ეტლით მიაბრძანეს თეატრში...

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

თქვენი გიორგი

დაბადება

მუსიკა ცაში ქარში ხმაურობს, უსიტყვებო და უსათაურო.

შემდეგ ფარფატი ეშვება ნელა, მოიკვლევს შენსკენ სავალ გზებს ძნელად.

გპოულობს! გერტყმის ირგვლივ აურად, ყოფნას გადგიქცევს დღესასწაულად.

ხარ განცხრომაში, ხარ სამოთხეში, განვიმს ღვთიური ჰანგების თქეში.

ფეხქვეშ გეცლება სამყარო ფლიდი, ვიღაც გაძალებს – დანერე, მიდი!

არჩევანში ხარ დიდში და დიდში და აწყობ სიტყვებს მუსიკის მჭიდში.

სტროფი სტროფს მისდევს და წარმართული, არის ჯახება ქართან ქართული.

და ჰა, სიონმაც შემოჰკრა ექვსი. გათენდა, იშვა მიწაზე ლექსი.

ზეცის ხელდასმით, ქართა ვალებით,

ღამის ტეხვით და ტკბილის ნვალებით.

და როს დაღლილი თვალებს მილულავ, გენვევა შეება, კოკისპირული.

● ზღვა ხმელს ტორავდა, ღმუოდა ქარი, ხე ჩაფრენოდა ფეხებით მიწას. მარტს დარჩენოდა თებერვლის ვალი, აწვიმდა გაგრას, ათოვდა რინას.

ყურს ისევ ახსოვს ნივილი „პიჟის“, ვერც ამინდს ვხედავ საავადაროს და გულს მიწურავს შეკითხვა „გიჟის“, – ავად რად ხარო? – ავად რად ხარო?

● ბაყაყის კლონები უტევენ ეკლესიას, ხარობს ანტიქრისტე, სულთა რეგრესია. ყარს და ერთობა „ცისფერი ჭაობი“,

სურს გადაგვარება მომავალ თაობის. „მეფე“ გიჟია, ამაღა შიშველია, ვუშველოთ სამშობლოს, სხვები ვერ გვიშველიან.

● პაპას ეზო, ორი „ბიჭი“, ბოთლით ჭაჭის არაყი. თქარათქურით ჩავლილია წლები, ალაყ-მალაყით, თავზე თმები დაეთვლებათ, გასცვენიათ ვარაყი. ეზოს თავზე განოლილო მოგონების ღრუბელო, რა დამართე ამ მოხუცებს, ჰგვანან კვიცებს უბელოს. ნუ იჩქარი, ნუ გარდახვალ ცოტა კიდევ „უბერონ“. პაპას ეზო, ორი „ლოთი“ „სათითურით“ არაყი.

● იყო სამოთხეს, მაგრამ ირჩია ყოველდღე ლედვის ფოთლების მტვრევა, ჰოდა აცდუნა ბრიყვი ადამი ევამ. შესცოდეს, მიირთვეს ვაშლი და ატამი, ჩაუტკბნენ ერთმანეთს ევა და ადამი.

გახსნეს პირველი „ბორდელიერო“, შეუნდე უგზურთ, გამჩენო ძლიერო. ინყეს „ჩარფუზანა“, საფიქრი რა ჰქონდათ,

სამოთხის ხეხილებს ლინინი გაჰქონდათ. და რა ეს იხილა, განცვიფრდა უფალი, შემქმნელი წყლის, მიწის, ცის ხელისუფალი.

განცხრომა ამგვარი მამას არ ევასა, კარზედ მიუთითა ადამს და ევასა.

..... მიჰქროდნენ წყვდიადში, ვარსკვლავებს შორის და ცრემლს ღვრიდნენ ედემზე, სამოთხე ნეტარზე,

უეცრად მოიღეს ტყაპანი ორივემ უცხო პლანეტაზე.

P.S. დღესაც იქ ცხოვრობენ, ტანჯვით და ღადავით, ნაშობნი ევასგან, ნამრავლნი ადამით.



ელენა ციკლაური - 90

(1923-1988)

„არ ვიცი, გაუზნებამ თუ არა რამეს მისი სახელი და გვარი. დღეს ჩვენი ხომ ცოტაა გვყავს მკითხველი, განსაკუთრებით კი ისეთი ჩრდილში მდგომი პოეტებისა, როგორც ეს მანდილოსანი იყო. მისი ლექსები კი ჭეშმარიტი პოეტის ლექსებია, უნაზის ღირსებით, ქალური კლემანოსილიტით და ძველ-ძარბაზის სიღრმისით ალსავე.“

თამაზ გიბილური
1988

ეთერ სახვაძე წლების განმავლობაში უძღვებოდა ჩვენი გაზეთის პროზისა და პოეზიის განყოფილებას.

ეს არის ფიცი, მე კი – ფიცის ტყვე...
რა მაღალია დღევანდელი დღე.
რა მდუმარეა ბეთანიის ტყე
და ეს ბილიკი,
სად ედემს ზრდილი
მეხვევა შენი მთრთოლარე ჩრდილი.
მარტოდენ ჩრდილი და მთების ქარი...
ძვირფასო, ხედავ ამომავალ მზეს,
როგორ ამშვენებს იაღლუჯის სერს
მისი სისხლივით წითელი ზარი!
თქვი, არ გაგონებს მზის ამოხედვა
პირველ გამხელას – „მე შენ
მიყვარხარ!“ –
სიტყვას, უნათლესს ყოველ
სიტყვათა,
ლამაზ ბაგეებს რომ აღმოხდება,
როგორც მნათობი ამ მშვენიერ
მთებს.
თქვი, არ გაგონებს?

ჰოი, ბათალბეგ!

ამ ბნელ ღამეში მსგავსად
ვარსკვლავის,
საფეთქელს ზემოთ შემრჩა და
ჰყვავის
უუკრძალესთა ბაგეთა კვალი.
ჰოი, ბათალბეგ, ზეცაა მკრთალი,
ვით შენი სწორი, ლამაზი შუბლი!
დაგტოვე, მივალ ქარით და
ღრუბლით.
მიყვები ქვემოთ ცხენს და
ცხენისწყალს.
და საფეთქელიც ქარში ღვივდება,
როგორც ნატეხი ნაკვერჩხალია,
მე მთებში ყოფნა არ მომწყინდება,
ნელი სურნელი ყარამფილისი,
მაგრამ მიჩქარის ჩემი თბილისი,
ჩემი ლურჯთვალა მზეთუნახავი,
მზის ღიმილით და ოქროს ნაწნავით.
ო, დაიფიცე, მარად იქნები
ჩემი ძმა, ჩემი ჩუმი რაინდი.
მწუხარების ჟამს არ ჩამიქრები,
მარტოობის ჟამს ვით დას
დამინდობ,
ისევ შემხვდები ალვიან გზაზე,
კვლავ გავიხარებთ, რითაც
ვხარობდით,
ჰოი, ბათალბეგ, სულია სავსე
მხოლოდ ალვებით და საღამოთი.

მე მზე ვარ მაშინ

როცა სულს მაძლევ,
როცა იგი, ვით მარგალიტი,
ჩემს ხელისგულზე იწვის და
ტოკავს,
როცა სულს მაძლევ,
როცა ამ სულს კრძალვით და
რიდით
მე ვეფერები, ვით ვარდის რტოსა,
მე მზე ვარ მაშინ,
არ მირევია წვეთიც კი ბინდის,
ვერ სწვდება ჩრდილი ჩემს შუბლს
სხვიოსანს,
ჩემი სხივები
თავად სახავენ კიდიდან კიდით
ზოგან ნათელ ველს,
ზოგან – ჩრდილისა,
ულამაზესი ვარ სერაფიტი,
რა უნდა ჩემთან ეჭვების ჭიდილს,
უუბრწყინვალეს სულს მაძლევ
როცა...

არაგვეული

მივდივართ,
მზეა და აღმართი,
ჯერ კიდევ შორსაა ხახმატი,
ხან მოლზე,
ხან გზაზე,
ხან ხნულში
სხლტის ჩვენი ჩრდილების ნახატი.
ქმენ, მზეო, ისინი უკვდავად
და მთებში დატოვე ღალადად:
ხარტიშოს, ხახაბოს, გუდარახს,
არახვეთს, არახინჯს, ახატანს,
ვით სახლში სამოსი გვაქვს
დატოვებული
ბამბის თუ შალისა,
ეკიდონ ისინიც ამ მთებში
შამბსა თუ
შალდას თუ
შალიბას.
მივდივართ,
ცამ მხრები გაზიდა
და მთა უნაგირაც გამაღლდა,
რომელიც გაბმული ხაზითა
ასე ჰგავს ძველ ქართულ ქარაგმას.

ბედმა მიჰმართა საით,
საით უბრძანე ცხენთა?
ეს ხეობაა ხრამის
თუ მშვენიერი მცხეთა!
მოულოდნელი მთები
რას გვპირდებიან ნეტავ?

რომ...

ცაში წასულო აკაცებო,
სახლებს ზემოდან რომ იცქირებით
და ვიდრე მოჩანს შუქი მცირედი,
აღფრთოვანებულ თვალს არ
აცილებთ
მზეს, დასავლეთის ქვეყნისკენ
მავალს,
რად მედიდურობთ სიდიდით
თქვენით?
მეც რომ ერთ ადგილს ვმდგარიყავ,
ალბათ,
ეგრე თქვენგვარი უდრტვივულ
ლხენით
და არ მქონოდა გული, რომელიც
წვაესა და ფლანგავს დაუხანებლად
ძალს სიცოცხლისას, წადილს,
ხარებას,
გული უწვდომის წვდომის

მდომელი,
თქვენზეც მაღალი გავიზრდებოდი
და, რომ ფიქრები, ქვიშაზე ხშირი,
არ იკარგვოდნენ უკვლოდ ესოდენ,
არამედ მხოლოდ
ლურჯ ფოთლებად გადიქცოდნენ,
მე მექნებოდა
თქვენზე მეტი და გრილი ჩრდილი.

საით მიფრინავთ სივრცეების
დასათრგუნავად,
ჩემო თეთრონო,
ჩემო ლურჯავ,
ჩემო ქურანავ?
იმ გზებს შეჰბედავთ, თუ მართლა
ხართ დაუცხრომელი,
ყმანვილქალობის სათავისკენ
მიდის რომელიც,
იქ მიმიყვანეთ – და ამ დღეებს
გადაასწარით –
სად ოქროს მილით
სილამაზის ისმის წკანკარი.

მე შენი სული მსურს

ტაბანყურელო რაინდო,
გადმომევიწინე სით?
თავფარავნელი ჭაბუკი
დაგიჯაბნიდა რით!
შენზე უსწრაფეს იორლით
გადათელავდა მთებს,
ჩაეხვეოდა ასპინძას
სატრფოს ბროლივით ყელს,
თუ შენზე ფიცხელ გაჰკვეთდა
ტაბანყურსა და ქარს,
შეუყვივლებდა ღამეს და
ბებერ, გულბოროტ ქალს?
ტაბანყურელო რაინდო,
მე შენი სული მსურს.
მსურს, შენი ცოდო დავიდო,
გზა აგიბნო სულ,
გამოღმით სანთელ აგინთო,
გაღმით ღელავდე შენ,
მერე ქარიან ღამითა
წამოაფრინდე ცხენს,
გზა შეიმოკლო, ისწრაფო,
გადმოასწორო ტბას,
ქარმა კელაპტარ ჩაგიქროს,
სურვილ აგიგდოს ბანს,
გაგწიროს, უფსკრულს წაგიღოს,
დაუსასრულოს, ვრცელს,
ატირდეს შენი იორლა,

მინას ტორები სცეს,
მეც ჩემი დღენი გგლოვობდე,
შავები მეცვას სულ...
ტაბანყურელ რაინდო,
მე შენი სული მსურს!

საინებლოს გზაზე

რას სჩადი, კატეხისწყალო,
რალა დროს ეგებია,
არც მე ვარ ოცი წლის ქალი,
შენც თმები შეგათეთრებია,
რა დროს ხვევნი და კოცნა,
ქვეყანა მოგვჩერებია.

ფიქრებს რომ ჰქონდეთ თვისება
ქალის,
ფიქრებს რომ თოვლზე რჩებოდეთ
კვალი,
გაგაკვირვებდა მოსვლა დილისა,
როს შენს პანია ქუჩის ყურეში
შემოგხვდებოდა ნაფეხურები
ღამეგარეულ ჩემი ფიქრისა.
ფიქრის, რომელიც ღელავდა
დიდხანს,
ტკეპნიდა თოვლს და ღამის
სიბნელეს,
გაბედა ბოლოს და ჭიშკარს მიღმა
კრძალვით აუყვა რკინის კიბეებს.
ღამის თოვალში ჩადგმულ კიბეებს.
ის მოდიოდა შენთან, ვით
ღმერთთან,
მაღლა, სულ მაღლა,
ჩუმი და მუქი,
ის მოდიოდა შუქის იმედად,
შენი უცნობი, საკვირველ შუქის...
სხვა უარყო ყოველივე,
განერიდნა, დაჰვიწყებოდა...

ღილით

შენ იქნებოდი ღამაზი ხარი,
შენ იქნებოდი მაღალი ხვამლი,
შენ იქნებოდი მდინარე დიდი,
მაგრამ შენ გაჩნდი ადამიანად.
და დღეს მოდიხარ ჩემს გვერდზე
რიდით,
ლომივით დინჯი და ნაღვლიანი,
ნამიან ვარდებს უხდებთ დარი,
მაღალი ტანით კანკალებს სვია...
მე და ვარ შენი, უმცროსი დაი,
როგორც გრივალის და არის სიო –

ლექსია მისი სულის საგზალი

მანანა ჩიტინიძე

პირველი და დღემდე ერთადერთი წიგნი „მწარმჩივარი საღამოები“ 71 წლის ასაკში, 2009 წელს გამოსცა. მანამდე თავისი არც ერთი ლექსი დაბეჭდილი არ უნახავს. ეს კრებულიც მისი ახლობლის, ჟურნალისტ მედეა მოსულიშვილის და მეგობრების ძალისხმევითა და დახმარებით გამოვიდა.

„იმდენი კარგი პოეტია საქართველოში, მათი ნათქვამისთვის რაღა უნდა შემემატებინაო“ – მითხრა სამიოდე წლის წინ სატელეფონო საუბრისას, როცა ამგვარი დუმილის მიზეზი ვკითხე. ეჭვი არ მეპარება ამ სიტყვების სინამდვილეში, თუმცა არანაკლები მიზეზი მკითხველისადმი დიდი პასუხისმგებლობა, ქართული პოეზიის შესაშური ცოდნა და ერთგვარად თავისებური, კახელი კაცისთვის დამახასიათებელი ხასიათის გამოვლინება მგონია.

ვარლენ იაგანაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას მკვიდრია, პროფესიით აგრონომი. ამ საქმეს შეაღია თავისი ძალა და ენერჯია, მაგრამ უფრო მართალნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ის „წიგნის მკითხველია“, უფრო ზუსტად – მხატვრული ლიტერატურის თავდადებული მეტრე და გულმოდგინე შემკრები მშობლიურ ენაზე დასტამბული მრავალი ნიმუშისა, ამავე დროს, თავადაც ჩინებული შემოქმედი, ქართული ლექსის სიღრმეს ჩანვდენილი.

მთელი ცხოვრება წიგნის სიყვარულს, მასთან მეგობრობას შეაღია. მისი შვილიძირიც ეს იყო და ოჯახიც, ფიქრის გამზიარებელიც და ჭკუის დამრიგებელიც. სხვა სულიერი მეგობარი არ ჰყოლია მარტოობის უღელში გაბმულს. შინაგანად ერთგვარად გაუცხოებული, თავის ამ განწყობილებას და სულის მოძრაობას სოფლის თავის საგულდაგულოდ უმალავდა, რომ სამკვიდრებელ-სამეგობროდან ერთგვარად განაპირებულად არ ეგრძნო თავი.

წუთისოფლის დიდი სამდურავი არც ლექსებში დასცდენია, ღრმად ჰქონდა განსჯილ-გააზრებული, რომ ამ ქვეყნად „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“ და მოთმენისა და შენდობის უნარიც საამქვეყნიო გასაძღვებად უბოძებია უფალს მისთვის.

„დიდად გაოცებული დავრჩი, რომ ასეთი მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანს, ვისაც ტრავმაზმის უმძაფრესი განცდა აქვს, ლექსის ფორმაც უაღრესად ნატიფი, დახვეწილი, თავისი უკიდურესი მორიდებულობისა და უცნაური ხასიათის გამო დღემდე არაფერი გამოუქვეყნებია. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი მხოლოდ ლიტერატურით, პოეზიით სულდგმულობს, ძირფესვიანად შეუსისხლხორცებია ჩვენი კლასიკური მწერლობა.“

გულწაფთობილ, სიტყვაძუნუნ შემოქმედს უზადოდ აქვს ათვისებული ჩვენი ხალხური პოეზია და თანამედროვე ქართული ლექსის მიღწევებსაც კარგად იცნობს, რაც ფორმის ესოდენ სასურველ ფლობაში ვლინდება – წერს ბატონი ემზარ კვიციანი-ვილი ვარლენ იაგანაშვილის პოეტური კრებულის წინასიტყვაობაში და ჩვენც სრულიად ვეთანხმებით, დარწმუნებულნი, რომ ეს წიგნი მართლაც ერთგვარი აღმოჩენა იქნება პოეზიის მოყვარულთათვის.

წიგნის გამოსვლის შემდეგ, იმავე წელს, ვარლენ იაგანაშვილის ოცამდე ლექსი გაზეთ „კალმასობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა. გაზეთის რედაქტორი, პოეტი შარლოტა კვანტალიანი მიესალმა შემოქმედის ნაგვიანვე დებიუტს, მაღალი შეფასება მისცა მის ლექსებს და გზა კეთილი უსურვა ავტორსაც და მის პოეტურ ნაღვანსაც. იაგანაშვილის თითქმის ამდენივე ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ხელეურის“ მეორე ნომერშიც ჩვენი მცირე წინათქვითით. ესაა და ეს.

არაერთგზის შეხშიანების მიუხედავად სამი წლის შემდეგ ძლივს გავაბედიე ლექსების დათმობა, თუმცა გამოგზავნილ მონაფურ რეველს სიტყვაც მოაყოლა: „რკინის ცხავში გაატაროსო“.

„ცხავში გატარებისა“ რა მოგახსენოთ, შერჩევით კი საგულდაგულოდ შევარჩიე „ლიტერატურული საქართველოს“ გემოვნებიანი მკითხველის სამსჯავროზე წარსადგენი ნიმუშები. მჯერა, რომ კახეთის ერთი პატარა სოფლიდან დაძრული ნაკადული იპოვის სადინარს და ქართული პოეზიის დიდ მდინარეს პირნათელი შეუერთდება, ბოლოს და ბოლოს მივა იქ, სადაც კარგა ხნის წინ უნდა მისულიყო.

ვარლენ იაგანაშვილის პოეზია თავისებურია, ტკივილებით მოპირთავებული, ნრფელი და იმდენად ბუნებრივი, რომ მხოლოდ სათავისოდ დაწერილი გეგონებათ. სტრიქონებს მშვიდი, ბედს შეგუებული კაცის სევდა ამოსდევს, შიგაშიგ – ჭკუშარიტი კახური იუმორი – უბოროტო, მაგრამ ტყვიასავით ზუსტი და სულისგამლაღებელი, ერთგან თუ თავანკარა ქართულით მოგზიბლავთ, მეორეგან ისეთ ძირძველ სიტყვას ან კახური დიალექტის ისეთ ნიმუშს დაგახვედრებთ, რომ „სიტყვის კონსაც“ მოგაძებნინებთ და განმარტებით ლექსიკონებსაც. თუ ერთ ლექსში ფორმა ნიუანსებამდეა ჩამოხვეწილი, მეორეგან ირემივით საბალახოდ გაშვებულ-განავარდებულს ჰგავს და ეს – არა უნებურად, არამედ ავტორის ნებით, იმ ლექსიკონს პოეზიად ქცევის სურვილით, მეზობელ-მეგობართაგან რომ ესმის და დაბადებიდან სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი.

ვარლენ იაგანაშვილი სახალხო მოქმედი არ არის, საამისოდ მეტად განათლებულია და დახვეწილი ლიტერატურული აზროვნების მქონე, მისი ცხოვრების წესს (და არა – შემოქმედებას) ვერც „პოეტი“ მივუსადაგე, მეტისმეტად მქედრი და ხმაურიანი მომეჩვენა ბატონი ვარლენის შიგნიდან ჩაგმანული ბუნებისთვის. ჩემს ფიქრში მას „ლექსის კაცი“ შევარქვი, კაცი, ვისი საამსოფლო საგზალიც ლექსი და ამ ლექსით მინიჭებული ბედნიერებაა. შეუძლებელია ასეთმა თავდადებულმა, ჩუმმა და თავგანწირულმა ერთგულმა პოეტური სიტყვისადმი სუნთქვა არ შეგიკრას და გული არ აგითრთოლოს.

ათეული წლები „ლიტერატურული საქართველოს“ ერთგული მკითხველი გახლდათ, მხოლოდ პენსიის ამარა დარჩენილმა ახლაც გურჯაანის რაიონში ერთ-ერთმა პირველმა გამოიწერა წლების შემდეგ აღდგენილი მისთვის საყვარელი გაზეთი.

ცხოვრობს სოფელ არაშენდაში ერთი ჩვეულებრივი, თითქოს არაფრით გამოორჩეული „ლექსის კაცი“. მარტო ებრძვის წუთისოფლის უკუღმართობას თუ ასაკით მოგვირდოვნი ყველა სიავს, მხოლოდ ლექსია მისი ჭირისა და ღვინის თანამგრობი და გამზიარებელი. მას თქვენი თანადგომა და იმედია სიტყვა ჭირდება.



რიჟრაჟიც რომ ჰგავს დაისს, ფინთუფინთესი ფინთი – სახლით-სახლით სვლაი.

რა გიფიქრია...

(ბოლო წიგნიდან), „სადღაც მივდივარ, გტოვებ, გიცილებ...“

არა, ციერო, ფიცია წმინდა, ო, ღმერთო, რატომ არ გაიცინებ!

შუალამეა, ჩამოემარცვლა, ჩამოეთვალა ყინულს მძივები, შენზე სიზმარი მაქვს სანახავი, თორემ ახლაც არ დავიძინებდი.

ფარნი და ხრმალ-მუზარადნი მომხდურთ სამუსრად დაჰქონდათ, რათა რო სხვა საფიქრალი და სხვა მამული არ ჰქონდათ.

ხმანი, წინაპართ ნაკივლნი, სამზღვარს იქითაც ვაჰქონდათ, მთა-ველს უცთომლათ იცავდნენ და ძვალნი მინას ჩაჰქონდათ.

ის, რაიც ვაჟამ აჩვენა, ცა – ხმელი ჩვენად აჩვენა, სიკეთის გული გაუხსნა, ავს აწყველინა გაჩენა.

ყველას ერთფერად ეფერა – მთებსა, ველებსა, ყვავილთ და იმათ გოდებით გათავდა, გულხელდაკრეფით წაივდა.

ვიცი, სამსალა გასვეს ენებმა, ტკივილისა და განსჯის გარეშე, რა დაგმავებს მთვარიანებმა? გადი ველად და... ფიქრი დაგეშე.

ევედრე ზეცას, გააგდებს ნამსაც, დაუწოქე და ევედრე კდემით, ახედე მნათობს, ვარსკვლავებს ფერმკრთალს, დაცრემილ სიმებს შეახე ხემი.

დაყვედრებული ლუკმა, მწართუმწარესი ფლავი, სულის გაფრენა უქმად, სერს დაფრენილი სვავი. არარაისი ბინდი,

ირონიული ნათქვამი

ეს თუ სიბერე არ არი, მაშინ ბებრობა რა არი? რაღა გიკლია ასამდე – ოცი და კიდევ რვა არი. არც რა ყოფილა სიცოცხლე, სუყველგნით მოკლე გზა არი, ტიალი წუთისოფელი ცრემლის და სისხლის ზღვა არი.

გადაცემა – „იმილის გმირაზი“

სული აივსო სურნელით ჩვენი ველის და მთებისა, ვუსმენ და გული ლაღდება, ფერ-ხორცი მემატებისა.

გულს ნაგროვები ბაღლამი უგზო-უკვალოდ ქრებისა, უმრავლოს ტანჯულ სამშობლოს ღირსნი ამგვარი ქებისა.

წამდაუნუმმა წვიმებმა ქალამ – წინდები გიჟია, შენც მოგცეს ბედი საწუთრომ, განა ეგრედაც გიჟია?! წვრილ-წვრილ წინილებსა უნასთა გესლი გისია, დაგფლითა, დაგაქუცმაცა, გული და ღვიძლი ვისია?!

მწარიამა თქვა კოტრანას, ლაშქარას სახლიკაცმა და – ღირებულაო საწუთრო პერანგის გახდა-ჩაცმადა, აის-დაისთა ლოდინად, შამფურზე მწვადის აცმადა.

დაგაბეჩავა, დაგამცრო უნაცვალეო შველამა, ღრუბელთ ურძეო ჯიქნების მალი-მალ, ღამ-ღამ წველამა.

წაილო სოფელ-ქვეყანა წუნკალმა ტურა-მელამა, ჩვენ სუფრას ვიკლებთ ჰანგებით – „მოყმემა, პირშიმველამა“.

ჩვენ გვიფარავდა რუსი ჩვენივე სისხლის ფასად, თუ მოგვიგდებდა კაპიკს, ჩვენ ვუბრუნებდით ასად. დაიჟინა და გვიტყვის, უნდა, დაუდგეთ ხასად, იმას მოიმკის ხვალ-ზეგ, გუშინ თესავდა რასაც.

ვარლენ იაგანაშვილი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“

კოდი: MIBGGE22

ანგ. № GE61PC0183600100029708

ქვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნიჭინიძე

E-mail: litsaqtavelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოცემის პარასკეობით